წელიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76; მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთა 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ. —40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80.

დღიური

- დაიხურა წინასწარი კონფერენცია განიარაღების შესახებ.
- აბდ ელ-ქერიმი ფრანგებმა ფეცში ჩაიყვანეს.
- ყალბი ფულების მკეთებელთა საქმე დამთავრდა: ნადოშს და ვინდიშგრეცს 4 წლის ციხე მიუსაჯეს.
- იაპონიაში მიწისძვრის დროს 1000 კაცი დაიღუპა.
- ნოვოგრუდის (პოლონეთი) ციხეში პოლიტიკურმა პატიმრებმა შიმშილობა გამოაცხადეს.
- საბჭოთა კავშირში მოემგზავრება ოსმალეთის მასწავლებელთა დელეგაცია.

პარასკევი, 28 მაისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 119 (1574)

„სინდისიც კაი საქონელია!"

არის ერთი ასეთი ანდაზა. მისი მნიშვნელობა აი რა არის: როცა ვისმეს ენდობი, მის სინდისზე და პატიოსნებაზე აყენებ საქმეს, მან ეს უნდა დააფასოს, ეს შენი ნდობა მან უნდა გაამართლოს, თუ მას სინდისი და პატიოსნება აქვს. ეს ელემენტარული მოთხოვნაა. სამწუხაროდ, ცხოვრებაში ეს ხშირად არ მართლდება: ადამიანი, საზოგადოება და ხანდისხან მთელი სახელმწიფოც კი მოტყუილებული ხდება. რაშია საქმე,—უთუოდ შეგვეკითხებიან. სიტყვას ბევრს აღარ გავაგრძელებ, მოკლედ მოგახსენებთ. მეექვსე წელიწადია, რაც საქართველოში საბჭოთა წესწყობილება დამყარდა. მეექვსე წელიწადია, რაც ქართველი ხალხი ძმური კავშირით არის გადაბმული როგორც რუსეთთან და რუსის ხალხთან, ისე ამიერ-კავკასიის სხვა ხალხებთან. საქართველოს და ქართველი ხალხის ცხოვრებაში ამ ხნის განმავლობაში ჯერ არნახული და არ გაგონილი ცვლილებები მოხდა ყოველი მხრით: სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ წესწყობილების მხრივადაც და კულტურულ-განმანათლებელ და ეკონომიურ დარგშიაც. ამ ცვლილებებმა მიაღწიეს საქართველოს თითქმის ყველა მიყრუებულ და ჩამორჩენილ კუთხეებამდე. მშრომელმა ხალხმა გამოიღვიძა, სამუდამოდ მოიშორა თავიდან ყველა ის კლასები, რომელნიც მას საუკუნოების განმავლობაში ყვლეფდენ და იმონებდენ, და შეუდგა **ახალი საზოგადოებრიობის** გამოჭედას, რასაც **სოციალიზმი** ქვიან.

მოსალოდნელი იყო, რომ ამ ახალი პირობების შექმნაში, ამ სრულიად ახალი ცხოვრების გამოჭედაში უმახლობელეს და მხურვალე მონაწილეობას მიიღებდა კულტურის, ტეხნიკის, სწავლა-ცოდნის და საერთოდ მეცნიერების ის **კერა** ანუ **ტაძარი,** რომელსაც **საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ეწოდება.** უწინარეს ყოვლისა, აქ უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველოს საბჭოთა მთავრობა თავიდანვე უდიდესი პატივისცემით მოეპყრა ქართულ უნივერსიტეტს, მუშურ-გლეხურმა მთავრობამ სრული ნდობა გამოუცხადა მას, თუმცა მან კარგად იცოდა, რომ უნივერსიტეტის პროფესორებში და მასწავლებლებში არ მოიპოება თუნდაც ერთი მარქსისტი ან კომუნისტი. მაგრამ საქართველოს ახალი მთავრობა დარწმუნებული იყო იმაში, რომ უნივერსიტეტში არიან ობიექტიური ჭეშმარიტების მკვლევარნი, არიან ნასწავლი პირები, მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, რომლებიც სწორედ ახლა არიან საჭირო სახელმწიფოსთვის, როცა მეცნიერება უნდა დაუახლოვდეს ცხოვრებას, როცა მეცნიერების ყოველივე შენაძენი უნდა გადავიდეს ხალხში და გამოყენებულ იქნას მშრომელთა სასარგებლოდ. ასე ფიქრობდა საქართველოს საბჭოთა მთავრობა დიდი ხნის განმავლობაში. თუმც უნდა გამოტეხილი ვთქვათ, ამ ხნის განმავლობაში, სამწუხაროდ, ჩვენ ბევრი ისეთი ფაქტი გვქონდა ქართული უნივერსიტეტის ცხოვრებიდან, რომლებიც აშკარად ღაღადებდენ, რომ, როგორც იტყვიან, ყოველივე იქ თავის ადგილას არ არის, რომ ობიექტიური კვლევა-ძიების მაგიერ იქ სულ სხვა რამე კეთდება, რომ ახალგაზრდობის ტვინს წვრთნიან ტენდენციურად, რომ მას უნერგავენ თავში შოვინისტურ იდეებს, ურჩევენ ამ ახალგაზრდობას ზურგი შეაქციონ საბჭოთა რუსეთს, შეაძულონ მას რუსული ენა და სხვ. და სხ. კიდევ სხვა უფრო არასაკადრის მოვლენებსაც ვხედავთ ჩვენ ამ უნივერსიტეტში, მაგრამ ჩვენ ვითმენდით, დარწმუნებული იმაში, რომ ეს ხალხი, რომელიც ქართულ უნივერსიტეტს მოექცა სათავეში, ბოლოს მაინც გონს მოვა, ყურებს გამოიფხეკს და თვალებს გაახელს, და ისინი დაინახავენ, თითონ მიხვდებიან თავის მოქმედების ყოვლად შეუსაბამობას და შეუფერებლობას. მაგრამ როგორც ჩანს ჩვენ მოვსტყუვდით ანგარიშში. თქვენ ალბად წაიკითხავდით ამხ. კ. **სულაქველიძის** წერილს ქართულ უნივერსიტეტის შესახებ, რომელიც გუშინწინ იყო მოთავსებული ჩვენ გაზეთებში („კომუნისტი" № 117) მაგრამ მე მაინც ნებას ვაძლევ თავის თავს მოვიყვანო ამ წერილიდან ერთი ადგილი, სადაც ნათქვამია: „რა მუშური სული იქნება იქ, სადაც საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებიდან ყოველ დღე, ყოველ საათში გაისმის თავშეუკავებელი **ლაღადი იმის, რომ მუშური მსოფლმხედველობა, მუშათა კლასის ბრძოლის მაჩვენებელი და მისი გამშუქებელი მეცნიერული კონცეპცია სისულელეა და მეტი არაფერიო".** აი თურმე როგორ ყოფილა დაყენებული მეცნიერების კვლევა-ძიების საქმე ამ მეცნიერების ვითომდა „ტაძარში"! აი თურმე რას უნერგავენ თავში იმ ახალგაზრდობას, რომელიც მეცნიერულ ცოდნას მოწყურებულია! შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენთვის ის, რასაც ამხ. სულაქველიძე ამბობს ქართული უნივერსიტეტის შესახებ, მთელი აღმოჩენაა, მართალია, ჩვენც ვიცოდით, რომ როგორც ზევითაც შევნიშნე, ქართულ უნივერსიტეტში ყველაფერი თავის რიგზე არაა, მაგრამ თუ იქ ახალგაზრდობას ამზადებენ და წვრთნიან მუშურ-გლეხური ხელისუფლების და სოციალიზმის წინააღმდეგ, და თუ იქ სწარმოებს აშკარა პროპაგანდა მუშათა კლასის წინააღმდეგ,—ეს ჩვენ არ გვეგონა. ამიტომ ეს ნამდვილი აღმოჩენაა ჩვენთვის მაინც.

უნდა გამოვტყდე, მეც ჩემი ერთი თუ ორი საათით ყოფნის დროს ქართულ უნივერსიტეტის კედლებში, სადაც მე ყოველთვის დიდის მოწიწებით მისულვარ ხოლმე, მეც შემიმჩნევია, რომ იქ რაღაც **სულ სხვა ქვეყანაა,**—არა ის ქვეყანა საბჭოების, მუშურ - გლეხური, სოციალისტური ქვეყანა, რასაც დღეს საბჭოთა საქართველო წარმოადგენს, არამედ ძველი, საშუალო-საუკუნეების ქვეყანა, რომელსაც, ჰოი საკვირველებავ, ამ მეცნიერების „ტაძრის" კედლებში მოუკალათებია, რომელსაც ჩვენდა შესარცხვენად აქ მოუპოვებია სავანე. მთელი საქართველო დღეს ახალ ცხოვრებისაკენ მიისწრაფვის, ახალი საზოგადოებრიობის გაჭედის კოლოსალურ მუშაობაშია ჩაბმული და მოსალოდნელი იყო, როცა ქართველი უნივერსიტეტი ამ საქმეში ქართველ მუშებს და გლეხებს თუ დახმარებას არ აღმოუჩენდა, ხელს არ შეუშლიდა მაინც. გამოდის კი სულ სხვა. ქართველი ხალხის განვითარების გზა და ქართული უნივერსიტეტის გზა ერთმანეთს აცილებულან, დაშორებიან. მაშინ როცა ქართველი ხალხი წინ იყურება და აჩქარებით აწარმოებს სოციალისტურ აღმშენებლობას, ქართული უნივერსიტეტი მას აძევინებს უკან და უთითებს საშუალო საუკუნეებზე. მაშინ, როცა ქართველი მუშა და გლეხი ძმური კავშირით არის გადაბმული რუსის, აზერბეიჯანის, სომხის და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელ მასებთან, ქართული უნივერსიტეტი ლამობს გამოთიშოს ქართველი ახალგაზრდობა საბჭოთა რუსეთის ახალგაზრდობას, ზურგი აქცევინოს მას საბჭოთა კავშირზე, რუსულ ენაზე, და აზრი და გონება მიაპყროს **ბურჟუაზიულ ევროპაზე.** როგორ გნებავთ: მთელი საქართველო, მთელი ქართველი ხალხი (ყოფილი თავადების, ოფიცრების, ვაჭარ-მრეწველების და სამღვდელოების გარდა) შედის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში, თავის ბედს უკავშირებს საბჭოთა რესპუბლიკების ბედს, როგორიცაა პირველ რიგში საბჭოთა რუსეთი. მაგრამ ქართული უნივერსიტეტი დღემდის ვერ შერიგებია ამ ფაქტს, მას არ შეუძლია ამის მონელება. ეს ჩანს ყოველგან და ყველაფერში უნივერსიტეტის მთელი მოღვაწეობიდან. ავიღოთ, მაგალითისთვის ასეთი უბრალო ფაქტები. ამ დღეებში მე გადმომცეს ერთი გამოცემა, რომელიც ქართული უნივერსიტეტის წიაღში გამოდის და რომელსაც ამ უნივერსიტეტის დაღი ასვია. ესაა **„აგრონომიული კრებული"** (სახელწოდებაც საკვირველი აქვს). მე არ ვიცი, რისთვის ან ვისთვისაა გამოცემული ეს „კრებული". მე არ ვფიქრობ აქ მის გარჩევას და დაფასებას შინაარსის მხრით, თუმცა ამ მხრით მისი ყოვლად გამოუსადეგარობის და უბადრუკობის დამტკიცება ადვილად შეიძლებოდა, რომ დრო და ადგილი იყოს. არა, მე აქ ამ გამოცემის გარეგანი მხარე, მისი ფორმა მაინტერესებს. ვიტყვი უფრო გარკვეულად: ხსენებული „კრებული" ეხება თითქო სასოფლო-მეურნეობას და მის მდგომარეობას საბჭოთა საქართველოში. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ თქვენ იქ ვერ იპოვნით ერთ ფრაზას, ერთ სიტყვასაც იმის შესახებ, თუ რა სამსახური მიუძღვის საბჭოთა ხელისუფლებას სასოფლო-მეურნეობის საქმეში*). რა ბრძანებაა. მკითხველი იმასაც კი ვერ გაიგებს, თუ სად დაიბეჭდა ეს წიგნი. რომ ერთ კუთხეში, რაღაც შემთხვევით არ ეწეროს „ტფილისი", თქვენ უთუოდ იფიქრებდით, რომ ის გამოცემულია ბერლინში, მენშევიკების სტამბაში. მართლაც და, ქართული სათაურები განმეორებულია **გერმანულად.** რა ვუყუთ მერე. ეს დანაშაული არაა. ქართული უნივერსიტეტის დღევანდელ მესვეურთ შეეძლოთ ჩინურ ენაზედაც გაეკეთებინათ ეს სათაურები. საქმე ამაში როდია. აქ სულ სხვა რამე იფარება. თვით ტექსტში, თითოეულ წერილს მოსდევს მოკლე შინაარსი (რეზიუმე) გერმანულადვე, მხოლოდ და მხოლოდ გერმანულად. ერთი ვიკითხოთ: თუ მაინცდამაინც ეს „აგრონომიული კრებული" იმდენად საინტერესო და ყურადღების ღირსია, რუსულმა ენამ რაღა დააშავა?

ან შეიძლება ეს შემთხვევით უკუგდებულ იქნა ავტორების მიერ რუსული ენა? არა, ეს შემთხვევით არ მომხდარა. ეს განზრახ ჩადენილია. შეიძლება ჩვენ გვითხრან: რუსებისთვის ეს საინტერესო არ არისო, ჩვენ ევროპას უნდა გავაცნოთ ჩვენი ქვეყანაო. კმარა, ვერავის მოატყუებთ. ეს მარტო თქვენი უნიათობის, თქვენი პოლიტიკანობის ნაყოფია, იმ პოლიტიკანობის, რომელმაც დაკარგა ყოველივე გასავალი ქართველ ხალხში და თქვენ არ გინდათ ეს იცნოთ. თქვენ გწადიათ, რომ ქართველ ახალგაზრდობას ხელი აიღებინოთ რუსულ ენაზე, კიდევ მეტი, შეაძულოთ მას ეს ენა. მაგრამ იცოდეთ, რომ თქვენი ასეთი მეცადინეობა ფუჭად ჩაივლის. თქვენ ცხოვრების წინააღმდეგ მიდიხართ და ეს ცხოვრება თქვენ თითონ უფსკრულში გადაგისროლით. აძლევთ კი თქვენ თავის თავს ანგარიშს იმაში, თუ ვის ენას გინდათ თქვენ შეაქციოთ ზურგი. იცოდეთ, რომ ეს არის **უდიდესი ხალხის ენა.** შემდეგ ეს არის ენა **ლენინის.** ენა **პირველი და უდიდესი საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის,** რაც უკვე ცნობილია საერთაშორისო მუშათა კლასის მიერ. ესაა ის ენა, რომელიც შეისწავლა **მარქსმა** მოხუცებულობის დროს, რომ უშუალოდ წაეკითხა ჩერნიშევსკის ნაწერები და სხვა დოკუმენტები პირდაპირ რუსულ ენაზე; ესაა ენა, რომელსაც დღეს ეწაფებიან და რომლის საშუალებით განვითარებას იძენენ არა მარტო აღმოსავლეთის ხალხთა წარმომადგენლები, არამედ ევროპის და ამერიკის მუშები და პირველ ხარისხოვანი მსწავლულნი და მეცნიერები, და თქვენ გსურთ შეაფურთხოთ ამ ენას და აფურთხებთ კიდევაც. მაგრამ იცოდეთ, რომ თქვენ თავის თავს აფურთხებთ ამ შემთხვევაში, და რუსულ ენას კი თქვენ ვერას დააკლებთ. თქვენი გამოცემა კი გერმანიაში გაუგზავნეთ თქვენ ნაცნობმეგობრებს, მაგრამ ვის ესაჭიროება ის? გარწმუნებთ, ის არავის ესაჭიროება, არც ევროპაში და არც ჩვენში. გეუბნებით, ეს თქვენი გამოცემა არა თუ უსარგებლოა, არამედ მავნებელიცაა. ავიღოთ მხოლოდ ის დევიზი, რომელიც თქვენი გამოცემის სათავეშია, სახელდობ **„ჩვენი ქვეყნის ხსნა სოფლის მეურნეობის აყვავებაშიო".** ჯოჯოხეთში ძახილია და გაგონება არაო. ასე გემართებათ თქვენც. ხალხნო, როგორ მოხდა, რომ მთელი თანამედროვე ცხოვრების კვლევა-ძიება, მთელი თანამედროვე სინამდვილე, ეკონომიური ცხოვრება ასე გამოგრჩათ? თითქმის ყველა ჭკუათამყოფელ ადამიანისთვის ნათელი და ცხადია დღეს ის დებულება, რომ მთელი ჩვენი უკან ჩამორჩენა და დაქვეითება იქიდან - მიმდინარეობს, რომ ჩვენში აქამდის არ იყო მრეწველობა, ქალაქის ინდუსტრია, რომელმაც უნდა გადაამუშაოს სასოფლო-მეურნეობის ნაწარმოები, როგორ გამოგრჩათ თქვენ ეს უბრალო ჭეშმარიტება. ეს მოწმობს, რომ თქვენ დღევანდელი ცხოვრების არაფერი გაგეგებათ, რომ თქვენ გამოთიშული ხართ ამ ცხოვრებიდან. და მერე საიდან ისესხეთ თქვენ ეს ლოზუნგი: „ჩვენი ქვეყნის ხსნა სოფლის მეურნეობის აყვავებაშიაო". მე დაგისახელებთ თქვენ იმ წყაროს, საიდანაც თქვენ ის ისესხეთ. ის გადმოგიღიათ თქვენ ძველი დახავსებული წარსულიდან, გასული საუკუნის მეოთხმოცე და მეოთხმოცდაათე წლებიდან. მხოლოდ მაშინ ამას ცოტას სხვანაირად ამბობდენ. აი როგორ ამბობდენ მაშინ: „ჩვენი ცხოვრების ბურჯი, ჩვენი [illegible] და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე—მიწა და გუთანია"... თავდაპირველი შემომქმედი ეროვნებისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდეც"**). ეს იგივე რჩევა და დარიგებაა, რასაც თქვენ დღეს იძლევით, მხოლოდ ცოტა სხვა ფორმებში, ამას მაშინ აყენებდა დაობებული თავადაზნაურობა და მისი იდეოლოგი ილია ჭავჭავაძე, ხოლო დღეს ამას თქვენ ქადაგებთ ქართული უნივერსიტეტის კათედრებიდან. თქვენ ერთობ დაგვაგვიანდათ. საბჭოთა საქართველო დღეს პრაქტიკულად აყენებს საკითხს ინდუსტრიალიზაციის ე. ი. ქალაქის მძიმე მრეწველობის განვითარების შესახებ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ თითქო ვივიწყებდეთ სასოფლო მეურნეობის აყვავებას, მაგრამ თქვენ უნდა გცოდნოდათ, რომ მარტო სოფლის მეურნეობის აყვავებაში როდია ჩვენი ხსნა, როგორც თქვენ გაიძახით. ერთი სიტყვით, თქვენი ლოზუნგი დიდი ხნიდან დაძველებული და გახუნებული ლოზუნგია, რომელსაც ფეოდალური თავადაზნაურობა აყენებდა ამ ორმოცდაათი წლის წინეთ.

შეიძლება ვისმეს ეგონოს, რომ ჩვენ ვაჭარბებთ ქართული უნივერსიტეტის ხელმძღვანელების და მესვეურების შესახებ, იმათ დამოკიდებულებას, როგორც რუსულ ენასთან, ისე საბჭოთა ხელისუფლებასთან და სხ. ამიტომ მე მოვიყვან აქ კიდევ ერთ ფაქტს, თუმცა ასეთი ფაქტების რიცხვი უამრავია. სწორედ ამ რამოდენიმე დღის წინად ქართული უნივერსიტეტის დარბაზში ქართველ პროფესორების ხელმძღვანელობით მოხდა საქართველოს ექიმების **მეოთხე ყრილობა.** მე დავესწარი ამ ყრილობის გახსნას. ჩემი ყურადღება პირველ ყოვლისა მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ყრილობაზე გარდა ქართველ ექიმებისა არც ერთი სხვა ეროვნების ექიმი არ ყოფილა. მეტყვიან, ეს აიხსნება მით, რომ რადგანაც ყრილობის მუშაობა უნდა ყოფილიყო ქართულ ენაზე, ამიტომ სხვა ერების ექიმებს არ შეეძლოთ იქ მონაწილეობის მიღება. ტყუილია, ყველა ჩვენგანს უნახავს ასეთი ინტერნაციონალური ყრილობები. განა ყველას ესმის რამდენიმე ენა! არა, აქ სულ სხვა მიზეზია, და მე მგონია ეს ყველასათვის აშკარაა, თუ რისთვის არ იყვნენ საქართველოს ექიმების მეოთხე ყრილობაზე სხვა ერების წარმომადგენლები. აქ გამოაშკარავდა კიდევ სხვა უფრო სამარცხვინო გარემოებაც: არც ყრილობის ორგანიზატორებმა და არც ყრილობის წევრებმა არც კი იცოდენ, რომ სწორედ იმავე დღეს რა დღესაც საქართველოს ექიმების მეოთხე ყრილობა გაიხსნა, გაიხსნა რენტგენოლოგების და რადიოლოგების სრულიად საკავშირო ყრილობა ქ. ლენინგრადში. რას ნიშნავს ეს? საქართველოს ექიმების მეოთხე ყრილობის დიდი უმეტესობას, შეიძლება მთელ შემადგენლობას, ხომ რუსეთში აქვს მიღებული ცოდნა, რუსულ ენაზე. მერე ეს ექიმები განა მთელი კავშირის ექიმების ყრილობაში არ უნდა მიდიოდენ? გამოდის, რომ საბჭოთა საქართველო და ქართული უნივერსიტეტი არ შედიან საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში. მაგრამ რას იზამთ, ასეთია ქართული უნივერსიტეტის „პოლიტიკა", მას არ უნდა კავშირი დაიჭიროს საბჭოთა რუსეთთან, საბჭოთა რესპუბლიკების მეცნიერებასთან, ტეხნიკასთან. ეს ხალხი ბურჟუაზიულ ევროპას ებლაუჭება, ბურჟუაზიულ ევროპისაკენ იყურება. მან, სამწუხაროდ, ექვსი წლის განმავლობაში ვერ შესძლო გაეგო ის, თუ საით მიდის ქართველი ხალხი. მან ვერ აართვა ალღო ქართველ მშრომელ მასსას, მას არ სურს ანგარიში გაუწიოს იმას, რაც მოხდა, იგი მიდის თავისი გზით,—იმ გზით, რომელსაც ქართველი ხალხი დაღუპვისაკენ მიჰყავდა. გრძნობენ თუ არა ამას ქართული უნივერსიტეტის მესვეურები? ეკითხებიან თუ არა ისინი თავის თავს: მოითმენს თუ არა ასეთ არანორმალურ მდგომარეობას, რომ მეტი არა ვთქვათ, საბჭოთა საქართველოს მუშურ - გლეხური მთავრობა? დეე იცოდენ, რომ ეს მთავრობა პასუხისმგებელია საქართველოს მუშების და გლეხების წინაშე ყველაფერში და, მაშასადამე, სწავლა-განათლების საქმეშიაც. უნივერსიტეტი ჩვენ მიგვაჩნია მეცნიერების ტაძრათ, მეცნიერებას ჩვენ ვეთაყვანებით, მაგრამ ეს მეცნიერება ჩვენ გვინდა ხალხისთვის.

ამით ვათავებ ამ წერილს. ვისაც აქვს ყური სმენად, ისმინოს.

ფ. მახარაძე.

---

*) პირიქით, „აგრონომიული კრებულის" რედაქცია არ მალავს თავის სიძულვილს საბჭოთა საქართველოს მიმართ, მაგ. რედაქცია აღნიშნავს რა სხვა ქვეყნების სამეურნეო კულტურის მაღალ დონეს, სხვათაშორის ამბობს, „საქართველო კი ამ მხრივ განსაკუთრებულ მდგომარეობაშია". შემდეგ საეჭვო წერტილები და ერთი სიტყვაც არაა დაძრული იმის შესახებ, თუ რა კეთდება დღეს ამ დარგში საქართველოში.

**) იხ. ჟურნალი „ივერია" 1882 წ. № 7—8.

ინგლისის სამთამადნო მუშები არავითარ დათმობაზე არ მიდიან

საფრანგეთ-ესპანეთის ჯარებმა დაამარცხეს აბდ-ელ-ქერიმი

დასრულდა წინასწარი კონფერენცია განიარაღების შესახებ

განიარაღების კონფერენციის ვადისა და დღის წესრიგის შესახებ შეთანხმება არ მოხდა

ფრანგ სოციალისტების ყრილობაზე დელეგატების მნიშვნელოვანი ნაწილი კომუნისტებთან თანამშრომლობის მომხრეა

მდგომარეობა ინგლისში

დახმარება სამთა-მადნო მუშებს

ლონდონი, 27 მაისი. შავ-მუშათა და კომუნალურ მუშაკთა კავშირის ყრილობამ გამოსთქვა აზრი სამთა-მადნო მუშებისადმი დახმარების აღმოჩენის აუცილებლობის შესახებ.

ლონდონი, 27 მაისი. ინგლისის კოოპერაციის ყრილობამ, რომელიც ბალვისტში ხდება, დაადგინა დაარსოს ცენტრალური კოოპერატიული ფონდი იმ კოოპერატივების დახმარების აღმოსაჩენად, რომლებიც სამთამადნო მუშებით დასახლებულ რაიონებში იმყოფებიან.

პროფსაბჭოთა შესახებ კანონმდებლობის რევიზია

ლონდონი, 27 მაისი. მთავრობის წევრმა **ბირკენხედმა,** სანახშირო მრეწველობაში მომხდარ კონფლიქტის შესახებ განაცხადა, რომ კანონი პროფკავშირების უფლება-მოვალეობის შესახებ უეჭველად მოითხოვს მთავრობის მხრივ ზედმიწევნით გადასინჯვას; იგი იქნება გადასინჯული ახლო მომავალში.

მოძრაობა საფრანგეთის სამთა-მადნო მუშებს შორის

პარიზი, 27 მაისი. საფრანგეთის მაღაროების მუშათა მდგომარეობის გაუარესებამ, საფრანგეთის სამთამადნო მუშების პროფკავშირების შემთანხმებელთა პლენუმი აიძულა, რომ მიეღოთ რეზოლიუცია მაღაროების მუშათა ხელფასის მომატების შესახებ.

პლენუმი იმუქრება საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებით.

უმუშევართა რიცხვი ინგლისში

ლონდონი, 26 მაისი. ბალდუინის განცხადებამ, რომ 31 მაისის შემდეგ უდრიდა 1.612.700 კაცს, რაც 36.801 კაცით აღემატება წინა კვირაში აღრიცხულ რაოდენობას, ხოლო 1925 წელთან შედარებით 427,880 კაცით მეტია.

მწარმოებელთა წინადადება

ლონდონი, 26 მაისი. კანოკის, ჩეიზის და სტაფორდშირის რაიონების მაღაროების მეპატრონეთა ასოციაციამ წინადადება მისცა ამ რაიონების სამთა-მადნო მუშებს განაახლონ 31 მაისიდან მუშაობა შემდეგ პირობებში: დაცული იქნება რვა საათის სამუშაო დღე და სამუშაო ხელფასი დარჩება აპრილის განაკვეთების მიხედვით.

მაღაროს მეპატრონეებ მზად არიან ეს პირობები დაიცვან ერთი თვის განმავლობაში და შემდეგაც, სანამ ახალი შეთანხმება არ იქნება მიღწეული. მაღაროების მეპატრონეებს, როგორც ჩანს, ამ წინადადებით სურთ გაარღვიონ სამთა-მადნო მუშების ერთიანი ფრონტი.

მწარმოებლების შიში

ლონდონი, 26 მაისი. ბოლდუინის განცხადებამ, რომ 31 მაისს შემდეგ მთავრობას ქვანახშირის მრეწველობისათვის არავითარი სუბსიდიის მიცემა არ შეუძლია, დიდი შიში დაბადა კონსერვატიულ წრეებში; ბოლდუინის მუქარის განხორციელება, ამ წრეების აზრით, მოსპობს უკანასკნელ იმედს, რომ კონფლიქტი მთავრობის შუამდგომლობით იქნება მოგვარებული.

მაღაროების პატრონებიც დიდ შიშს გრძნობენ, ვინაიდან ისინი ფიქრობენ, რომ თუ ქვანახშირის მრეწველობის შეჩერება დიდი ხნით გაგრძელდა, ეს მას დიდ ზარალს მოუტანს და არევ-დარევას შეიტანს მრეწველობის დანარჩენ დარგებში.

ჰერბერტ სმიტის განცხადება

ლონდონი, 27 მაისი. კედვორტში და იორკშირში წარმოთქმულ სიტყვაში სამთომადნო მუშების ფედერაციის აღმასკომის თავმჯდომარემ ჰერბერტ სმიტმა განაცხადა:

„ჩემის აზრით, ბრძოლა ხანგრძლივი და მძიმე იქნება. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ეხლა საჭიროა ბრძოლა, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი შვილები წყევლით მოგვიხსენიებენ იმისათვის, რომ არ ვიბრძოლეთ მაშინ, როცა ამის საშუალება გვქონდა".

სმიტი შეეხო ბურჟუაზიულ გაზეთების მიერ გავრცელებულ ჭორებს, თითქოს სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომს ეშინოდეს რეფერენდუმის მოხდენის კონფლიქტის მოგვარების პირობების შესახებ. სმიტი აცხადებს:

„ჩვენ მზად ვართ მივიღოთ გამოწვევა და რეფერენდუმში მონაწილეობა მივაღებინოთ თვით მაღაროების მუშების ცოლებსაც, თუ ჩვენი კრიტიკოსები პირობას დასდებენ, რომ რეფერენდუმის შედეგებს დაემორჩილებიან. მზად ვარ იმასაც დავეთანხმო, რომ ხმების დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე იყოს ლორდ ბირკენხედი, ინდოეთის საქმეთა მინისტრი და რეაქციონერი. მხოლოდ ამ შემთხვევაში მე თვალყურს უნდა ვადევნებდე მას. ფედერაციის აღმასკომი თანახმა ზავი ჩამოაგდოს, მაგრამ არა მიუღებელ პირობებში".

დახმარება გაფიცულებს

მოსკოვი, 27 მაისი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტ. საბჭომ წინადადება მისცა ყველა დაბალ უჯრედებს და პროფორგანიზაციებს, რომ ინგლისის სამთა-მადნო მუშების სასარგებლოდ შეგროვილი ანარიცხები სასწრაფოდ იქნას შეტანილი სათანადო გუბგანყოფილებებში, რომელნიც ვალდებულნი არიან მიღებული თანხა დაუყოვნებლივ გადაგზავნონ სრ. საკავშირო კოოპერატიულ ბანკის სრ. საკავშირო პროფკავშირების საბჭოს სახელდახელო ანგარიშზე № 548 ან სახ. ბანკის გამგეობის ანგარიშზე № 5538.

„პარლამენტისა და კონსტიტუციის ზეიმი"

ლონდონი, 27 მაისი. ინგლისის პრესის მნიშვნელოვანი ყოველკვირეული ორგანოები გასაოცარის ერთსულოვნებით აფასებენ საყოველთაო გაფიცვას. მათის აზრით, „გაიმარჯვა კონსტიტუციამ და პარლამენტმა", ბოლდუინი კი—„გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეა, ინგლისის აბრამ ლინკოლნია" (შეერთებულ შტატების პრეზიდენტი 60-იან წლებში სამოქალაქო ომის დროს).

სოლიდარობის კამპანია

ლონდონი, 27 მაისი. საფრანგეთის სამთომადნო მუშების რევოლიუციონური პროფკავშირები დიდ კამპანიას აწარმოებენ ნახშირის რაიონებში ინგლისის სამთომადნო მუშებისათვის მხარის დაჭერის შესახებ. ისინი მართავენ მრავალრიცხოვან მიტინგებს და აგროვებენ ფულს.

სამთომადნო მუშების უნიტარულმა ფედერაციამ წინადადება მისცა ინგლისის სამთომადნო მუშების ფედერაციას, რომ გამოგზავნონ დელეგაცია საფრანგეთის ნახშირის რაიონების შემოსავლელად.

ჟენევის სალაყბო დაიხურა

ბერლინი, 26 მაისი. შესდგა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის საბოლოო სხდომა. კომისიამ მიიღო დე-ბრიუკერის წინადადება, რომლის თანახმად ხანგრძლივი კონტროლი უნდა დაწესდეს შეიარაღებასა და სამხედრო მრეწველობაზე.

ამერიკის წარმომადგენელმა **გიბსონმა** განაცხადა, რომ ის თავს იკავებს კენჭის ყრის დროს, ვინაიდან წინადადების ნაწილი ერთა ლიგის საბჭოს უნდა გადაეცეს განსახილველად, ამერიკა კი ერთა ლიგის საბჭოს წევრად არ ითვლება.

სამხრეთ - სლავიის წარმომადგენელმა გენერალმა **კალაფონტოვიჩმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ **წინააღმდეგობით სავსეა განცხადება ლორდ სესილის, რომელსაც საეჭვოდ მიაჩნია გაზით ომის აკრძალვის განხორციელება, და ამავე დროს თვითონ წარმოადგინა წინადადება ასეთი ომის აკრძალვის შესახებ.** კალაფონტოვიჩის განცხადებამ გაცხარებული კამათი გამოიწვია; დავას იწვევდა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენათ შეუძლია ერთა ლიგას წინააღმდეგობის გაწევა გაზების გამოყენებისათვის ომის დროს. ფინეთის და რუმინეთის წარმომადგენლები მოითხოვდენ იმ ქვეყნებისაგან, რომელნიც განსაკუთრებული მდგომარეობით სარგებლობენ, იმ ღონისძიებათა გაძლიერებას, რომელთაც ერთა ლიგის წესდების მე-16-ე მუხლი ითვალისწინებს. ამით დაიხურა სხდომა. **არავითარი შეთანხმება განიარაღების კონფერენციის არც პროგრამისა და არც მოწვევის თარიღის შესახებ მიღებული არ ყოფილა.**

საგარანტიო ხელშეკრულება

ბალტიის სახელმწიფოებთან

მოსკოვი, 27 მაისი. ფინეთმა ესტონეთმა და ლატვიამ წარუდგინეს საბჭოთა მთავრობას პროექტი საგარანტიო ხელშეკრულებისა, რომელიც ამ სახელმწიფოებს განზრახული აქვთ დასდონ ურთიერთ შორის და აგრეთვე საბჭოთა კავშირთან.

ყალბი ფულების მკეთებელთა საქმე

განაჩენი

პარიზი, 27 მაისი. ბუდაპესტიდან მიღებული ცნობით, სასამართლომ ნადოშის და ვინდიშგრეცს 4 წლის იძულებითი სამუშაო, 3 წლით პოლიტიკურ უფლების შეზღუდვა და 10 მილიონი კრონა ჯარიმა მიუსაჯა. ორი ბრალდებული გამართლებულ იქნა. ორმა ბრალდებულმა განაჩენი გაასაჩივრა და განთავისუფლებულ იქნენ, გარდა ნადოშისა და ვინდიშგრეცისა.

რიფების რესპუბლიკა დაასამარეს

დამარცხება

პარიზი, 27 მაისი. ჰავასის სააგენტო ფეციდან იუწყება, რომ აბდ-ელ-ქერიმის განკარგულებით **საფრანგეთის ყველა ტყვეები ტარგუისტში ჩამოიყვანეს.** თვითონ აბდ-ელ-ქერიმი მივა საფრანგეთის გამაგრებულ ხაზზე, საიდანაც ტაზაში გაიგზავნება.


აბდ-ელ-ქერიმი

აბდ-ელ-ქერიმი ფეცში

ლონდონი, 27 მაისი. გაზეთ „დეილი მეილის" პარიზელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ აბდ-ელ-ქერიმი დანებდა საფრანგეთ-ესპანეთის სარდლობას; ის ავტომობილით ჩაიყვანეს ფეცში.

აბდ-ელ-ქერიმმა განაცხადა, რომ როდესაც ის 1924 წელში შეებრძოლა ესპანელებს — **დიდ ბრძოლაში უკანასკნელები სასტიკად დაამარცხა და მოუკლა 100 ათასი კაცი. ამ რიცხვში არ შედის დაჭრილები და ტყვეთ ჩავარდნილები.**

მისი დამარცხება გამოწვეულია საფრანგეთ - ესპანეთის ჯარების ინტენსიური შეტევით.

ფრონტებზე

ლონდონი, 27 მაისი. მას შემდეგ, რაც უდჯაში მყოფმა აბდ-ელ-ქერიმის საზავო დელეგაციამ **აზერხანის** მეთაურობით უარი სთქვა ესპანეთ - საფრანგეთის სარდლობის პირობების მიღებაზე—შეწყდა საზავო მოლაპარაკება და ესპანეთ - საფრანგეთის ჯარებმა შეტევა განაახლეს რიფების წინააღმდეგ.

აბდ-ელ-ქერიმმა თავი შეაფარა სუეიდში—12 კილომეტრის დაშორებით ზღვის ნაპირებიდან.

აბდ-ელ-ქერიმის დამარცხების შემდეგ მთელი ფრონტი მოფენილია მკვდრებით და დაჭრილებით.

საფრანგეთ - ესპანეთის სარდლობამ ჩაიბარა ყველა ტყვეები, რომლებიც განთავისუფლდენ აბდ-ელ-ქერიმის ფრონტის მოხსნის შემდეგ.

რიფების რესპუბლიკის ტომების დიდმა უმრავლესობამ მორჩილება გამოუცხადეს ჟენერალ სტეგს—საფრანგეთის ჯარების სარდალს მაროკოში.


ესპანეთის მეფე ალფონსი კმაყოფილია

ესპანეთ - საფრანგეთის სარდლობა ამჟამად იარაღს ჰყრის დამორჩილებულ ტომებს.

ეკონომიური კონფერენცია

ლონდონი, 27 მაისი. საპარლამენტო სავაჭრო კონფერენციის მე-2-ე პლენარულ სხდომაზე, რომელიც თემთა პალატაში სწარმოებდა, ირჩეოდა მნიშვნელოვანი საკითხი ქვა-ნახშირის მსოფლიო ბაზრის შესახებ.

კამათი გახსნა **ბედდოე რისმა,** რომელსაც ახლო კავშირი აქვს ინგლისის ქვა-ნახშირის მრეწველობასთან. რისის აზრით, სასურველია დაარსდეს მაღაროების მეპატრონეების და მაღაროების მუშების საერთაშორისო სამმართველო, რათა უფრო მეტი წესრიგი დამყარდეს ქვა-ნახშირის მსოფლიო ბაზარზე. სასურველი იქნებოდა ისეთი მეთოდების შემუშავება, რომლის მიხედვით სხვა ქვეყნების მთავრობები მიიღებდენ პრინციპად ერთნაირ სამუშაო დღეს და სამუშაო ხელფასის დონეს, დაახლოვებით იმავე საფუძველზე, როგორც ეს ინგლისში ტარდება.

დასასრულ რისმა მოითხოვა, რომ კონფერენციამ ურჩიოს მთელი მსოფლიოს მთავრობებს და ხალხებს დაწვრილებით შეისწავლონ მოხმარების დაცემის, კურსების დაწევის და პირობების გამოურკვევლობის მიზეზები—იმ იმედით, რომ ამ მიზეზების აღმოფხვრის გამო, ქვა-ნახშირის ამოღება მსოფლიოს მასშტაბით გადიდდება იმდენათ, რამდენათაც გაიზრდება მოთხოვნილება, შემცირებულ იქნება ფასები, დახმარება გაეწევა მრეწველობის განვითარებისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს და გაუმჯობესებულ იქნება მრეწველობაში ჩაბმულ ელემენტების არსებობის პირობები.

რისი დაეთანხმა ჰუნგრეთის დელეგატს ფორკაშს, რომელიც მოითხოვდა ხუთი კაცისაგან შემდგარ კომისიის გამოყოფას; ამ კომისიამ უნდა გამოარკვიოს ქვა-ნახშირის მსოფლიო წარმოების საკითხი და თავისი მოხსენება წარმოუდგინოს მომავალ კონფერენციას.

რისის რეზოლიუცია მიღებულ იქნა.

ფრანგ სოციალისტების ყრილობა

პარიზი, 26 მაისი. სამანდატო კომისიის ცნობით, რომელიც საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობამ გამოჰყო კლერმან-ფერანში, პარტიაში 111,000 წევრი ირიცხება.

კამათის დროს **რენოდელმა** მოითხოვა რადიკალების მთავრობისათვის მხარის და[illegible]. მემარჯვენე ცენტრის ორატორები მხარს უჭერენ ისეთ მთავრობას, რომელიც გადასახადით დაბეგრავს კაპიტალს, **პოლ ფორმა** თავისი თავი ისეთი მთავრობის მომხრეთ გამოაცხადა, რომელიც საქმიან ხალხისაგან იქნება შემდგარი. მემარცხენე ცენტრი **კომპერ - მორელის** და **ჟირომსკის** მეთაურობით მოითხოვდა მხარის დაჭერას რადიკალების მთავრობისათვის, და **ამავე დროს თეორეტიულად შესაძლებლად სცნობდა გაერთიანებულ გამოსვლას კომუნისტებთან ერთად. მორენის ჯგუფი ბურჟუაზიასთან კავშირს ამჯობინებს ბლოკს კომუნისტებთან.**

რეზოლიუცია

პარიზი, 27 მაისი. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის კონგრესმა კლერმონ - ფერანში მიიღო უმრავლესობის რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ კონგრესი უარყოფს მონაწილეობას სამინისტროში, მხარს დაუჭერს იმ მთავრობას, რომელიც შეეცდება ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობის აღდგენას და მოითხოვს კონცენტრაციას მთავრობის მიმართ ენერგიული ოპოზიციის პოლიტიკის გატარებას.

უმრავლესობამ, მასთან ერთად რენოდელმაც, უარი სთქვა ადმინისტრატიულ კომისიაში მონაწილეობაზე.

პოლონეთში

პრესა დიქტატურის წინააღმდეგ

ვარშავა, 26 მაისი. პრემიერ ბარტელის განცხადებას, რომ პოლონეთის მომავალი პრეზიდენტი საგანგებო უფლებებით უნდა აღიჭურვოს ერთი წლით, პოლონეთის პრესა დიდის ყურადღებით იხილავს.

ლიბერალური **„კურიერ პოლსკი"** ბარტელის განცხადებას კარგის თვალით უყურებს, მაგრამ ეჭვი შედის იმაში, რომ სახელმწიფოებრივი რეფორმები ასეთის გამარტივებულის წესით გატარდეს.

ნაც.-დემოკ. ორგანო **„გაზეტა პორანნა ვარშავსკა"** ჰფიქრობს, რომ ბარტელის სახით სულ სხვა ვინმე ლაპარაკობს და აცხადებს, რომ პოლონეთის კონსტიტუცია არ დაუშვებს ახალ პრეზიდენტს მიეცეს ისეთი უფლებები, რომლის შესახებაც ბარტელი ლაპარაკობს.

ნაციონალური მუშათა პარტიის ორგანო **„გლოს პოდზენნი"** ბარტელის განცხადებაში კონსტიტუციის წინააღმდეგ მომხდარ გადატრიალების გაღრმავებისადმი მისწრაფებას ხედავს.

„სოციალისტების" ორგანო **„რობოტნიკი"** აცხადებს, რომ პრეზიდენტისათვის იმ უფლებების მინიჭება, რომლებსაც ბარტელი მოითხოვს, ამჟამად არაა აუცილებელი.

უკანასკნელი ცნობები

მიწისძვრა იაპონიაში.

ბერლინი, 27 მაისი. „ტაიმს"-ის ცნობით, იაპონიაში ქალაქ ხაკკანდოში მომხდარ მიწისძვრის დროს 1000 კაცი დაიღუპა. იპოვეს 144 გვამი. ცეცხლისმფრქვეველი მთის ამოხეთქვისაგან გამოწვეული ზარალი 2 მილიონ იენს უდრის. მთა კვლავ განაგრძობს ახალ ამოხეთქვას. ქარლპში 600 სახლი დაფარა ლვლფმა.

ახალგაზრდათა ინტერნაციონალის კონგრესი

ამსტერდამი, 26 მაისი. 25 მაისს ამსტერდამში გაიხსნა სოციალისტურ ახალგაზრდობის ინტერნაციონალის მეორე კონგრესი.

უარყოფენ

ვარშავა, 26 მაისი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო უარყოფს ცნობას იმის შესახებ, თითქოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის განყოფილების უფროსი იანიკოვსკი გამგზავრებულიყოს ლიტვაში, ესტონეთში და ფინეთში საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ხელშეკრულების დასადებათ.

საქმე გერმანელი ფაშისტების შეთქმულობაზე

ბერლინი, 26 მაისი. პრუსიის შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიწყო თათბირი ფაშისტების შეთქმულობის შესახებ. უზენაეს სასამართლოს პროკურორმა გადაწყვიტა ბრალი დასდოს მათ სახელმწიფოს ღალატში.

პეტლიურას მკვლელი

პარიზი, 27 მაისი. პეტლიურას მკვლელი, რომელიც დააპატიმრეს, აღმოჩნდა საფრანგეთის მოქალაქე, იმპერიალისტურ ომის დროს საფრანგეთის ჯარებში მონაწილე.

ხანძარი კოტელნიჩში

ვიატკა, 27 მაისი. ვიატკის გუბერნიის ქალაქ კოტელნიჩში გაჩნდა ხანძარი, რომელიც ჯერ ვერ ჩააქვრეს. ხანძარი მოედო ელექტრო სადგურს, მთავრობის დაწესებულებებს და სხვადასხვა საწყობებს. ზარალი რამოდენიმე მილიონს უდრის. არის ადამიანთა მსხვერპლიც. 7.000 მცხოვრები დარჩა უბინაოთ. მატარებელთა მიმოსვლა აღდგენილია.

მონღოლეთის ჯარების მთავარსარდალი მოსკოვში.

მოსკოვი, 27 მაისი. მოსკოვში ჩამოვიდა მონღოლეთის ჯარების მთავარსარდალი ჩაიბალოანი.

„დეილი მეილ"-ის უტიფარი გალაშქრება.

ლონდონი, 27 მაისი. „დეილი მეილ"-ი მოწინავეში სწერს, რომ საბჭოთა კავშირის მთამადნის მუშების მიერ ინგლისის მაღაროს მუშების დასახმარებლად გაგზავნილი 2½ მილიონი მანეთი, თითქოს საბჭოთა მთავრობის მიერ არის გადაგზავნილი და არა მუშების მიერ. გაზეთი მოითხოვს ამის საპასუხოდ საბჭოთა წარმომადგენლობის გადასახლებას ინგლისიდან.

ინგლისის კაპიტალიზმის მზე ჩადის

ამხ. ზინოვიევის მოხსენება

მოსკოვი, 27 მაისი. არის საფუძველი ჩავთვალოთ ინგლისის უკანასკნელი ამბები საერთაშორისო-ისტორიულ მნიშვნელობის მქონეთ. იმისათვის, რომ უკეთ შევაფასოთ ის, საჭიროა გავარკვიოთ, როგორ შევიდა ინგლისი მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის ორბიტაში.

ომამდე ინგლისის მრეწველობა ყვაოდა, ეს იყო ინგლისის კაპიტალიზმის მონოპოლიის ეპოქა. ამ პერიოდში ინგლისის მოქნილი და ელასტიური ბურჟუაზია ცდილობდა საყრდენი ეპოვნა ინგლისის მუშათა კლასის ზედაფენებში, შექმნა „მოშინაურებული მუშათა კლასი", „ბურჟუაზიული პროლეტარიატი", რაც მან კიდეც მოახერხა.

ჩვენ, ჩვენი რევოლიუციის შემდეგ, დარწმუნებული ვიყავით, რომ მსოფლიო რევოლიუცია განვითარდებოდა გერმანიით ან რომელიმე სხვა გზით; ვფიქრობდით, რომ ინგლისის რიგი შორს იყო. მაგრამ ტყუილად კი არ სწერდა ჯერ კიდევ მარქსი, რომელსაც არ ჰქონდა, რასაკვირველია, გათვალისწინებული ჩვენი რევოლიუცია, რომ: „რევოლიუცია, რომელიც ვერ ჩაითრევს ინგლისს,—ქარიშხალია ჭიქა წყალში".

მსოფლიო ომმა მოსტეხა ინგლისის კაპიტალიზმი. ეხლა შეიძლება დავსახოთ შემდეგი 10 პუნქტი მისი ქვემავალი განვითარებისა:

1. ნახშირის მრეწველობა,—ინგლისის ძირითადი მრეწველობა,—მძიმე მდგომარეობაშია. ტეხნიკურმა რევოლიუციამ დაღუპველი გავლენა იქონია მასზე.
2. ინგლისის ელექტრონის მრეწველობა ჩამორჩა არა მარტო ამერიკას, არამედ ევროპის ბევრ ქვეყნებსაც.
3. ზღვათა მბრძანებელს—ინგლისს—გემთა აღმშენებლობის საქმეში არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს გერმანიას.
4. საგარეო ვაჭრობა პასიური ხდება.
5. ინგლისი ჰკარგავს გავლენას ახალშენებზე.
6. ის ჰკარგავს გავლენას თავის დომინიონებზე.
7. ამერიკა ყოველმხრივ წინ უსწრებს მას.
8. ურჩი აღმოსავლეთი დიდ ზიანს აყენებს ინგლისს.
9. ინგლისის მუშათა კლასი აღარ არის უკვე „მოშინაურებული" „ბურჟუაზიული პროლეტარიატი".
10. რევოლიუციის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში მოსვენებას უკარგავს ინგლისის ბურჟუაზიას.

ინგლისის საერთო გაფიცვის მსვლელობაში გამოაშკარავებულია მემარჯვენე ოპორტიუნისტური ბელადების უპატიოსნო თამაში. გამოაშკარავდა უსაზიზღრესი ოპორტიუნიზმი—ტომასების და მუშათა კლასის ზედა ფენების წარმომადგენლების ბლოკი,—ბურჟუაზიასთან. გამოაშკარავდა მათი ტაქტიკა იკისრონ მუშათა მოძრაობის მეთაურობა იმიტომ, რომ შემდეგ უმეთაუროთ დასტოვონ იგი.

გენერალურ საბჭოს დელეგაციის და მთავრობის შორის თათბირის სტენოგრამა გადაურეცხელ მოღალატეობის სამარცხვინო ლაქათ დარჩებათ მათ.

გაფიცვების დროს დაიფხრიწა ის ფარდაც, რომელიც კიდევ ოდნავ ფარავდა ინგლისის პროფკავშირების ჭეშმარიტ მდგომარეობას. ჩამოეხადათ ნიღაბები პროფმოღვაწეთა მემარცხენე ფრთის წევრებს—ყველა მათ თავის პოზიციები ჩააბარეს ტომასს და კომპანიას.

თვით გაფიცვის ხასიათი და მისი გამომწვევი მიზეზები მოწმობენ, რომ ესვენება ინგლისის კაპიტალიზმის მზე.

აი ამ მხრივ აქვს ინგლისის საყოველთაო გაფიცვას კოლოსალური მნიშვნელობა.

ეხლა ინგლისის მუშათა კლასის შემთანხმებელი ბელადები ცდილობენ დაუმტკიცონ მუშათა კლასს, რომ მათ გაიმარჯვეს.

ეს თვითმოტყუება უადგილოა. გაფიცვის დამარცხება უდრის კონსერვატორების გამარჯვებას. ჯერ გაფიცვის დასაწყისში ჩვენ მოველოდით მის ასეთ ბოლოს, რადგან მას სათავეში უდგა ტომასი და კომპანია.

მიუხედავად ამისა, უზომოთ დიდია დადებითი მხარე ინგლისის ამბების ასე დასრულებისა.

ინგლისელ მუშებში გაიზარდა საკუთარი ძლიერების და ნებისყოფის შეგნება. 5.000.000 გაფიცული ერთი დღის განმავლობაში სწყვეტს გიგანტურ მექანიზმის სამრეწველო ცხოვრებას.

ბელადების მოღალატეობის წყალობით მიღებულია სამარცხვინო პირობა, რომ ინგლისის მუშები აღარ გაიფიცებიან. ჩვენ ეს გვესმის ისე, რომ ინგლისის მუშები შემდეგში აღარ გაიფიცებიან მოღალატეების ხელმძღვანელობით.

გაფიცვის მსვლელობაში ინგლისის ახალგაზრდა კომპარტია სულ უფრო ღრმად იჭრებოდა მასაში. მას არ დაუშვია შეცდომები ის სწორ ლოზუნგებს ისროდა როგორც გაფიცვის დაწყებამდე, ისე მისი გამოცხადებისა და ჩაშლის შემდეგაც.

ინგლისის გაფიცვა სწყვეტს კაპიტალიზმის გაზვიადებულ „სტაბილიზაციის" საკითხს. თუ მას ღრმად დაუკვირდებით, შევნიშნავთ უკურნებელი ჭლექის ნიშნებს.

დაბოლოს ინგლისის გაფიცვამ პრაქტიკულად დაამსხვრია მეორე ინტერნაციონალის „მარქსისტების" თეორეტიული შეხედულებანი, და დაამტკიცა, რომ უაზროა გაფიცვა, მარტო ეკონომიურ ნიადაგზე დამყარებული.

ინგლისის ამბები—სერიოზული გაკვეთილია მომავალ გრანდიოზულ მომენტისათვის.

ინგლისის ამბები—რუსეთის რევოლიუციის 9 იანვარია.

თუ ინგლისის გაფიცვის ბოლო ცუდი იყო, სამაგიეროდ მისი სვლა დიდებულია.

ილიუზიები და ფაქტები

(„პრავდა"-ს მოწინავე)

ღრმა სოციალურ-ისტორიულ საფუძვლებს ემყარება ის ფაქტი, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის დაუზოგავი და სასტიკი კრიტიკა სწარმოებს მხოლოდ კომუნისტურ ბანაკში. მხოლოდ კომუნისტები აწარმოებენ ამჟამად ექსპლოატატორთა წყობილების ნამდვილ კრიტიკას. შრომასა და კაპიტალს შორის არსებულ ისტორიულ დავაში კომუნისტური ინტერნაციონალის დროშა ერთად ერთია ჩირქმოუცხებელი და სასტიკი.

მაგრამ თანამედროვე კაპიტალიზმის ბუნება ისეთია, რომ მას არ შეუძლია თვითვე არ გააკრიტიკოს თავის თავი. ყოველ ფეხის ნაბიჯზე, მუდამ დღე კაპიტალიზმი ფარდას იხდის და ააშკარავებს მასში არსებულ წინააღმდეგობებს და საბედისწეროთ იხდის საკუთარი პირფერობის ნიღაბს.

საკმარისია თვალყურის დევნება ცოტაოდენი ყურადღებით იმისათვის, რაც ეხლა ჩვენი მტრების ბანაკში ხდება, საკმარისია ოდნავ ყურის დაგდება იმისათვის, რასაც ერთმანეთს ეუბნებიან თავიანთ შესახებ იმპერიალისტური ბატონები და მათი სოციალ-დემოკრატიული მაჩანჩალები, იმისათვის, რომ ფაქტების ამ „ჯვარედიან დაკითხვიდან" გამოვიყვანოდ საკმაოდ საყურადღებო დასკვნები, რომლებიც ფარდას ხდიან კაპიტალიზმის სიმახინჯეს.

რა ხდება ეხლა საერთაშორისო კაპიტალიზმის ერთ-ერთ „უზენაეს" და უდიდეს ორგანიზაციებში—ერთა ლიგაში?

ლიგაში შემავალი სახელმწიფოები აწარმოებენ ჟენევაში გაუთავებელ, მოსაწყენ ლაპარაკს მშვიდობიანობისა და განიარაღების შესახებ. ლაყბობა ზავზე—ეს ოფიციალური „პაციფისტური" ვარდისფერი პირბადეა, რომლითაც ბურჟუაზია თავის ბნელ საქმეების დაფარვას ფიქრობს. მაგრამ ბურჟუაზიას არ ძალუძს არ გაიტეხოს იხტიბარი ბოლომდის და დაფაროს ისეთი ფაქტები, რომლებიც თვალებში გეჩხირებიან. სწარმოებს მოლაპარაკება ზავზე, შეიარაღება კი გრძელდება. სიტყვით ბურჟუაზია „ზღუდავს" შეიარაღებას, საქმით კი სამხედრო ქარხნებში მაქსიმალური, ყველა სხვა დარგის წარმოებისათვის სახარბიელო დატვირთვით მუშაობენ. ჟენევაში „მშვიდობიანობა თათბირობს", ხოლო მისი მფარველობით პოლონეთი სახელმწიფოთა სამხედრო კავშირს სჩმახავს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჟენევა „ზრუნავს" ზავზე, მუსოლინი კი ამავე დროს საცინლათ იგდებს „საერთაშორისო ძმობის ცრუ იდეებს" და „თავის ერს" სამხედრო სულს უნერგავს. ამავე დროს იტალიის წარმომადგენელი, თითქოს აქ არაფერიაო, ჟენევის მაგიდას უზის.

კაპიტალისტურ ინგლისში უფსკრული კლაინსებსა, ტომასებსა და მუშათა ფართო ფენებს შორის უფრო და უფრო ფართოვდება. ბელადებმა დაამარცხეს საყოველთაო გაფიცვა, გაჰყიდეს მუშათა კლასი, მაგრამ ამავე დროს, თავის მოქმედებით საკუთარ თავსაც ახადეს ნიღაბი. ღალატის ფაქტი ეხლა ბრმათათვისაც კი ხდება ნათელი.

ბატონმა ტომასებმა დაუჯერეს ბატონ სამუელს; „დაუჯერეს" პროლეტარიატის კლასიურ მტერის სიტყვას. მაკდონალდებმა ღალატით აიძულეს მუშები დაეთმოთ თავის პოზიციები. შედეგათ „ჯენტლმენთა შორის შეთანხმების" ნაცვლად გაფიცულთა უსირცხვილო დევნა დაიწყო. სამუელი აცხადებს ეხლა, რომ ის დაპირებებს მხოლოდ თავის სახელით იძლეოდა. ტომასები ცდილობენ ისე მოაჩვენონ საქმე, თითქოს მათ კი არ მოატყუილეს მუშები, არამედ თვით ტომასები მოატყუილა სამუელმა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მოხდა, ვინღა დაუჯერებს „ქედმოხრილ და მორჩილ" ტომასებს. ინგლისის მუშათა კლასი ეხლა მხარს უჭერს თავის ძმებს—მაღაროს მუშებს, ბელადების სურვილის წინააღმდეგ. არავითარ ღალატს არ შეუძლია გააქარწყლოს ინგლისის მუშათა კლასში სოლიდარობისა და ძმობის გრძნობა. ინგლისის პროლეტარები ეხმარებიან გაფიცულ მაღაროს მუშებს, მატერიალურ დახმარებას უწევენ მათ, შეფობას იღებენ ქვანახშირის მაღაროების სხვადასხვა რაიონებზე, აჭყავთ სარჩენათ მათი შვილები და სხვა.

ფრანგი მენშევიკები ინგლისელებზე უკეთ არ იქცევიან. ისინიც ერთგულად ემსახურებიან ბურჟუაზიას, ისევე ჰყიდიან მუშებს, მაგრამ ისევე იხდიან თვითვე ნიღაბს. ფრანგ სოციალისტების კონგრესმა, რომელიც კლერმონფერანში შეიკრიბა, ცხადყო, რა მიმართულებით ვითარდება საფრანგეთის სოციალისტური პარტია ამჟამად, რა როლს ასრულებს ის საფრანგეთის მუშათა კლასში და დაცემის როგორ საზღვრამდე შეუძლია მისვლა პარტიის ხელმძღვანელთა ზედაფენებს.

საფრანგეთის მუშათა ფენებში თანდათანობით ძლიერდება უკმაყოფილება საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის პოლიტიკით, უკმაყოფილება ბონკურის ჯგუფით, რომელიც ხელმძღვანელ როლს თამაშობს ფრანგულ სოციალისტურ პარტიაში.

მასების მარცხნივ გადახრა და მუშათა ქვედაფენების გავლენა კონგრესზე გამოაშკარავდა ოპოზიციის სახით, რომელსაც თუმცა არა აქვს უნარი რაიმე პრაქტიკული დასკვნები გამოიყვანოს თავის კრიტიკიდან, მაგრამ სამაგიეროთ შეუძლია პარტიის ნამდვილი მდგომარეობის დახასიათება.

ოპოზიციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ზედაწრეებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს ერთა ლიგაში „შებრის" საქმეში. მემარცხენე ფრთის ლიდერმა ჟერომსკიმ გამოსთქვა შიში, რომ „მეორე ინტერნაციონალი წარმოადგენს უფრო მთავრობის, ვიდრე პროლეტარულ ინტერნაციონალს". ბ-ნი ლონგე იძულებულია დარწმუნდეს, რომ პოლ ბონკური იცავს ჟენევაში საფრანგეთის გენერალური შტაბის თვალსაზრისს. კაპიტალისტური გენერალური შტაბისა და საფრანგეთის სოციალიზმის თვალსაზრისები უთანხმდებიან ერთი-მეორეს—აი სანამდე მივიდა თანამედროვე ფრანგული სოციალიზმი. 1914 წლის გამარჯვების შარავანდედი, როგორც სჩანს, ძილს უფრთხობს საფრანგეთის დღევანდელ სოციალისტურ ლიდერებს.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 27 მაისი.

სხვადასხვა

— **სერებრიაკოვი მუკდენში.** ტოკიოდან მუკდენში ჩავიდა სერებრიაკოვი, რომელსაც სადგურზე შეხვდენ მარშალ ჩან-ძოლინის წარმომადგენლები. მას აგრეთვე შეხვდენ მუკდენის და საბჭოთა კავშირის კონფერენციის რუსი და ჩინელი დელეგატები.

— **იტალიის მუშების დელეგაცია.** გაზეთი „უნიტა" (იტალიის კომპარტიის ორგანო) ამჟამად აწარმოებს ხელისმოწერას საბჭოთა კავშირში მუშათა დელეგაციის გაგზავნისათვის საჭირო თანხების შეგროვებისათვის. ხელისმოწერამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მუშათა მასებს შორის.

— **ხანძარი მუკდენში.** იაპონიის სააგენტოს ცნობით მუკდენში 22 მაისს გაჩნდა დიდი ხანძარი საჰაერო ფლოტის ანგარებში. დაიწვა 5 ჰიდროპლანი და 11 აეროპლანი.

— **ფილიპინეს კუნძულზე.** ფილიპინეს კუნძულზე მოხდა შეტაკება ადგილობრივ მცხოვრებთა და პოლიციის შორის. მოკლული და დაჭრილია 40 ადგილობრივი მცხოვრები.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

შეღავათიანი პირობები კონცესიონერებს

მოსკოვი, 27 მაისი. საკავშირო სახ. კომ. საბჭომ, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აღმშენებლობითი მუშაობის გაძლიერების და ამ საქმეში უცხოეთის ტეხნიკის მიღწევათა გამოყენების მიზნით, მიზანშეწონილად სცნო უცხოეთის სააღმშენებლო საზოგადოებისა და ფირმებისათვის სააღმშენებლო კონცესიების გაცემის დროს შეღავათიანი პირობების შექმნა.

მანქანები ინგლისიდან

ნოვოროსიისკი, 27 მაისი. მოვიდა გემი „კურკი", რომელიც ლივერპულიდან გამოვიდა საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების დროს. **გემმა ბევრი სასოფლო-სამეურნეო მანქანები მოიტანა ადგილობრივ კირის ქარხნისა და აზნეფტისათვის.**

5.200 ახალგაზრდა ექიმი

მოსკოვი, 27 მაისი. რ. ს. ფ. ს. რ-ის 15 უმაღლეს სასწავლებელში სამედიცინო ფაკულტეტს წელს დაამთავრებს 5.200 ახალგაზრდა ექიმი. ახალგაზრდა ექიმთა სასტაჟო მუშაობის ჩატარებისათვის (ისინი გაიგზავნებიან სოფლებში სამუშაოდ) ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი სახ. კომ. საბჭოსაგან მოითხოვს 900.000 მანეთს.

მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებიდან წელს 124 პარტიულ ექიმს გამოუშვებენ. სამედიცინო ცოდნით სახელმწიფო ინსტიტუტი 3 პარტიულს უშვებს. პარტიულ ექიმებს, რომლებსაც ლენინგრადისა და პროვინციის უმაღლესი სასწავლებლები უშვებენ, დასტოვებენ სამუშაოდ იმ რაიონებში, რომლებსაც ეს უმაღლესი სასწავლებლები ემსახურებიან. მოსკოვში გამოშვებულ ექიმ-პარტიულთა რიცხვიდან 47 დასტოვებენ სამეცნიერო მუშაობისათვის, ხოლო დანარჩენებს გაანაწილებენ იმ გუბერნიებს შორის, რომლებიც ნაკლებ უზრუნველყოფილნი არიან ექიმებით.

სარკინისგზო მიმოსვლა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის

მოსკოვი, 27 მაისი. გზათა სახალხო კომისარმა პოლონეთის რკინისგზათა სამინისტროსაგან ცნობა მიიღო, რომ სარკინისგზო სამგზავრო მიმოსვლა საბჭოთა კავშირთან პოლონეთის გზებზე 15 ივნისის მაგიერ ივლისში გაიხსნება.

საბჭოთა გამომგონებელი

მოსკოვი, 27 მაისი. ამერიკის ერთ-ერთმა ფირმამ წინადადება მისცა საბჭოთა გამომგონებელს ტროფიმოვს 100,000 დოლარად მიჰყიდოს მას მის მიერ გამოგონებული „ბაილსები" (უკანასკნელთა შემწეობით მინიმუმამდე შეიძლება შემცირებულ იქნეს ორთქლმავალის მოძრაობის წინააღმდეგობა, როცა ის დახურული რეგულიატორით მიდის).

ამჟამად საბჭოთა კავშირის რკინისგზებზე ამ „ბაილსებით" არის მოწყობილი დაახლოვებით 1000 ორთქლმავალი.

საზოგადოებრივ სამუშაოების მოწყობა

მოსკოვი, 27 მაისი. საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატმა საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოსთან შეთანხმებით ცირკულიარული განკარგულება დაუგზავნა ადგილებს საზოგადოებრივ სამუშაოების მოწყობის შესახებ. საზოგადოებრივი სამუშაოები ისე უნდა მოეწყოს, რომ გამოყენებულ იქნეს არაკვალიფიციური მუშა ხელი. პირველ რიგში საზოგადოებრივი სამუშაოებში ჩაბმული უნდა იქნენ მუშურ-გლეხური არმიიდან და ფლოტიდან დათხოვნილი პირები, წითელარმიელების ცოლები, მარტოხელა ქალები, პროფკავშირების წევრები, რომელნიც დახმარებას იღებენ უმუშევრობისათვის. სოფლად სამუშაოზე პირველ რიგში მიღებული უნდა იქნენ უმუშევარი მოჯამაგირეები.

უკრაინა

სინდიკატების საბჭოს სხდომა

ხარკოვი, 27 მაისი. შესდგა სრ. უკრაინის სინდიკატების საბჭოს სხდომა, რომელზედაც დაესწრო **ძერჟინსკი.** სხდომაზე გაირჩა კოოპერაციისა და მრეწველობის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი.

სიტყვით გამოვიდა **ძერჟინსკი,** რომელმაც სთქვა: „უკანასკნელ ხანებში წარმოშობილმა დავამ კოოპერაციის საქონლის გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობის შესახებ—სავაჭრო აპარატის დეზორგანიზაციამდე მიგვიყვანა; ამიტომ ამ დავას მალე უნდა მოეღოს ბოლო. სულ მოკლე ხანში უნდა ამოიწუროს კოოპერაციის ყველა პრეტენზიები, რომ მან განავითაროს სავაჭრო საქმიანობა."

ამხ. ძერჟინსკი შეჩერდა საცალო ფასების დაკლების შესახებ და განაცხადა:

„საცალო ფასების სიმაღლის და პურის ფასის დაცემის გამო, ჩვენ არ შეგვიძლია გასაღების კრიზისი ვსძლიოთ. ამიტომ საჭიროა საცალო ფასების დაკლებისათვის მუშაობის დაჩქარება".

ჭერის ჩანგრევა

ხარკოვი, 27 მაისი. 26 მაისს ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის ქიმიურ განყოფილებაში ჩამოინგრა ჭერი და სახურავი. ჩამონგრევის დროს განყოფილებაში მუშაობდა 11 სტუდენტი, რომლებიც ნანგრევებს ქვეშ მოექცენ. ნანგრევების მოსათხრელად გამოწვეულ იქნენ ცეცხლის მქრობელი რაზმი და მილიციის ნაწილები. ნანგრევებიდან ამოყვანილი სტუდენტები მსუბუქად არიან დაშავებულნი.

პროკურორის მიერ დანიშნულმა კომისიამ გამოარკვია, რომ შენობა სადაც ჩანგრევა მოხდა, ძველია; ჭერი არ შეკეთებულა 50 წლის განმავლობაში.

მუშკორთა და გლეხკორთა საკავშირო თათბირი

ამხ. კრუპსკაიას მისალმება

მოსკოვი, 27 მაისი. მუშკორთა და გლეხკორთა საკავშირო თათბირის საღამოს სხდომაზე 25 მაისს, თათბირს მიესალმა ამხ. კრუპსკაია, რომელმაც განაცხადა, რომ მუშკორებს და გლეხკორებს, რომელნიც მასებში ტრიალებენ, საშუალება აქვთ განუმარტონ მშრომელთა ფართო წრეებს ახალი მშენებლობის ფორმები. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანა დიდი მუშაობის გაწევას მოითხოვს მუშკორთა და გლეხკორთა მხრივ, რომლებიც უნდა სცდილობდენ თავიანთი ცოდნის გაღრმავებას. ლტოლვა ცოდნისადმი იმის თავდებია, რომ მუშკორები და გლეხკორები ღირსეულად შეასრულებენ თავის მისიას.

ამხ. იაროსლავსკის სიტყვა

დილის სხდომაზე 26 მაისს, **იაროსლავსკიმ** თავის მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა მუშკორთა და გლეხკორთა მუშაობის ზოგიერთი ნაკლოვანება.

„ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა მხარეები—ამბობს ამხ. იაროსლავსკი—ძალიან სუსტად არის გაშუქებული: მაგალითად, სასოფლო - სამეურნეო კომუნების და კოლექტიურ ამხანაგობათა მუშაობა, ანტი-რელიგიური ხასიათის საკითხები და სხვ.. ადგილი აქვს მომხდარ ფაქტის ერთგვარ გადამეტებას, რაც უმეტესად იმით აიხსნება, რომ ხმების შემოწმება არ ხდება.

იაროსლავსკი ფაქტების დასახელებით ამტკიცებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მუშკორები და გლეხკორები კეთილსინდისიერათ არ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას. ორატორი აცხადებს, რომ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მუშაობა დიდათ არის დაკავშირებული მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობასთან.

„ამიტომ—ლაპარაკობს ამხ. იაროსლავსკი—თქვენი თათბირის საშუალებით მე თხოვნით მივმართავ მუშკორებს და გლეხკორებს ადგილებზე კავშირი დაიჭირონ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებთან. ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელ ორგანოებს იქ უფრო ადვილად შეუძლიათ იმის განხორციელება, რასაც მიზნად ისახავს მთელი მუშათა კლასი და მშრომელთა მასები".

ამხ. კრილენკოს მოხსენება

ამხ. კრილენკოს მოჰყავს მთელი რიგი პროკურატურას განყოფილებაში არსებული ფაქტები მუშკორთა და გლეხკორთა დევნის საკითხის შესახებ. 1925 წელს მუშკორთა და გლეხკორთა წინააღმდეგ მიმართული ყველა ბოროტმოქმედებათა რიცხვი 125 უდრიდა. მოკვლა—18, მოკვლის განზრახვა—30, ცემა—36, გალახვის განზრახვა—8, სახლების დაწვა—5, სამსახურიდან დათხოვნა—11 და სხ. 1926 წლის პირველ სამ თვეში სოფკორებისა და გლეხკორების დევნის 20 შემთხვევა იყო. ამგვარად, სოფკორთა და მუშკორთა დევნას ბოლო არ ელება. ამასთან ერთად ამხ. კრილენკომ აღნიშნა, თუ რა ზომებია მიღებული ამ მოვლენის წინააღმდეგ.

სხდომის დანარჩენი ნაწილი ამხ. ბუხარინის მოხსენების გარშემო გამართულ კამათის გაგრძელებას მოუნდა.

ამხ. ბუხარინის საბოლოო სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. **ბუხარინმა** პასუხი გასცა წერილობითი შეკითხვებს.

შეეხო რა იმ შეკითხვებს, რომლებშიაც ლაპარაკია კომუნისტურ პარტიის როლის შესახებ ჩვენს ქვეყანაში, ამხ. ბუხარინმა სთქვა:

„ქვეყნის მართვა შეუძლიან მხოლოდ იმ მთლიან ძალას, რომელიც მუშებთან ახლო სდგას. ასეთი ძალაა კომუნისტური პარტია, რომელსაც შეუძლიან მოაგვაროს დამოკიდებულება სხვადასხვა ერთა შორის ძმურ ნიადაგზე. იმან, ვინც არ იცის, რატომ მუშაობენ კომუნისტები ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პუნქტებზე, მას არ ესმის ოქტომბრის რევოლიუციის არსებითი მხარე და აზრი. ოქტომბრის რევოლიუციამ, არსებითად, გააძლიერა მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობა.

ვისი ორგანოა კედლის გაზეთი? ამ კითხვაზე ამხ. ბუხარინი ასე უპასუხებს:

„კედლის გაზეთი ამა თუ იმ წარმოების მუშათა და მოსამსახურეთა, ან სოფლის ადგილების ამა თუ იმ ტერიტორიალური ერთეულის ორგანოა. ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ იმ რაიონების პარტიულ ორგანიზაციებს არავითარი დამოკიდებულება არ აქვთ კედლის გაზეთთან. ნამდვილი ხელმძღვანელობა იმაში კი არ გამოიხატება, რომ ყველგან იყოს პარტიული ეტიკეტი. ჩემის აზრით, საჭიროა ნაკლები ეტიკეტები და მეტი ხელმძღვანელობა, ვინაიდან ნამდვილი სიმაგრე გამოიხატება არა ფორმალურ ეტიკეტებში, არამედ ნამდვილ აქტიურ ხელმძღვანელობაში.

შემდეგ ამხ. ბუხარინი აცხადებს:

თუ მუშკორმა მიიღო განსაზღვრული კვალიფიკაცია, დეე წავიდეს წინ, გახდეს ჟურნალისტად, ჩაებას საზოგადოებრივ მუშაობაში, დაიჭიროს თანამდებობა სახელმწიფოებრივი ანუ საბჭოთა ორგანოში. ეს იმას ნიშნავს, რომ მასსა იწყებს მმართველობასთან მისვლას არა მარტო ქაღალდზე, არამედ საქმითაც. მხოლოდ ცუდია, როდესაც წარმოებას მოწყვეტილი მუშკორი შუა გზაში რჩება და განცალკევებულ ჯგუფს ქმნის.

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

მუშების კურორტებზე გაგზავნა

ბაქო, 27 მაისი. აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს პლენუმზე აზერ. სოცდაზღვევის მიერ გაკეთებულ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საკურორტო სეზონის დასაწყისში საკონტროლო-საექიმო კომისიაში გაიარა 8.678 კაცმა წინააღმდეგ წარსული წლის—9.018-ისა. კურორტებზე დათმობილი იქნება 7.032 ადგილი; მინერალურ წყლებზე—282 ადგილი, ბორჯომში—20, აბასთუმანში—114, არაზინდოს სანატორიუმში—215 და გაგრაში—400 ადგილი.

განაწილებულ ადგილებს შორის 80% მუშებს მიეცათ.

საკურორტო მკურნალობის ფასი მიმდინარე სეზონში აზერბ. სოცდაზღვევას დაუჯდება—270.000 მანეთი წინააღმდეგ წარსული წლის 215.000 მანეთისა.

დასასვენებელი სახლები

ბაქო, 27 მაისი. აზერბ. სოც. დაზღვევის მიერ დასასვენებელ სახლებში გაიგზავნება 11.500 კაცი. იმ მიზნით, რომ მაზრებს მიეცეთ საშუალება დასასვენებელ სახლების სარგებლობისა, მაზრის დასასვენებელი სახლები დაიყო რაიონებად. მრავალი სახლი გაფართოვდა; ამის გარდა გახსნილია ახალი დასასვენებელი სახლი ყარაბახში.

ადგილობრივ აპარატის გამოკვლევა

ბაქო, 27 მაისი. შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი შეუდგა ადგილობრივ აპარატის გამოკვლევას.

ადგილებს დაეგზავნათ მიწერილობა მივლინების, საკანცელარიო, ტელეგრაფის და ზედნართი ხარჯების შემცირების შესახებ.

აზერ. კომპარტიის ცეკას პლენუმი

ბაქო, 24 მაისი. **გაიხსნა აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას პლენუმი.** დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია: აზერ. კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმის მოხსენება; აზმრეწველობის ხუთწლოვანი პროგრამა; 1926—27 წლის ბიუჯეტი; სასოფლო-სამეურნეო გადასახადი; აზ. კომპარტიის ცეკასთან არსებულ სასოფლო თათბირის რეზოლიუციის დამტკიცება; გლეხ-ქალთა შორის მუშაობა; ბაქოს და მისი მაზრების წარმოებათა და ქონებათა ბაქოს საბჭოსა და ა. ს. ს. რ-კის სხვა ცენტრალურ დაწესებულებათა შორის გამნაწილებელ კომისიის მოხსენება; ახალი თურქული ანბანის შემმუშავებელ კომიტეტის საინფორმაციო განცხადება.

პლენუმმა უკვე მოისმინა მოხსენება პირველ და მეორე საკითხის შესახებ.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

ინგლისის მაღაროს მუშათა ფედერაცია

სრულიად ინგლისის მაღაროს მუშათა ფედერაცია შედარებით ახალგაზრდა ორგანიზაცია არის. იგი 1888 წ. დაარსდა. მანამდი არსებობდენ მთელი რიგი საოლქო კავშირები.

ეს გარემოება—მაღაროს მუშათა ფედერაციის შექმნა წინად დამოუკიდებელ საოლქო კავშირებიდან—ახლაც გავლენას ახდენს ფედერაციის ხასიათზე. ცალკე საოლქო კავშირები (მათი რიცხვი 13-დე აღწევს) დიდი დამოუკიდებლობით და ავტონომიით სარგებლობენ. მათ აქვთ საკუთარი წესდება და ფულადი საშუალებები.

ფედერაციის ცენტრალური აპარატი მეტად უმნიშვნელოა. ცენტრის—მაღაროს მუშათა სრულიად ინგლისის ფედერაციის აღმასკომის როლი განისაზღვრება საერთონაციონალური კოლექტიური ხელშეკრულების დადებით და მაღაროს მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობით საერთო გამოსვლების დროს.

ამრიგად მოძრაობის მთელი ცენტრი გადატანილია საოლქო გაერთიანებებში. ყველაზე დიდია საოლქო გაერთიანებებში მაღაროს მუშათა სამხრეთ-უელსის კავშირი, რომელიც აერთიანებს 250.000 წევრს. ეს ფედერაცია რევოლიუციონური მოძრაობის ბურჯია მაღაროს მუშათა სრულიად ინგლისის ფედერაციაში.

მეორე დიდი ორგანიზაცია არის შოტლანდიის კავშირი.

ინგლისის ფედერაციაში 1924 წ. 860.000 წევრი ირიცხებოდა. ახლა წევრთა რიცხვი გაცილებით მეტია. სულ ინგლისის ქვა-ნახშირის მაღაროებში მუშაობს 1.200.000 კაცი.

ჯერ კიდევ ომის დროს მაღაროს მუშათა ფედერაციაში, რომელიც ისე, როგორც სხვა პროფკავშირები, „პატრიოტების" გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, წარმოიშვენ ოპოზიციონური ორგანიზაციები (სამხრეთ უელსში, შოტლანდიაში, დერემში, ლონკეშირში და სხ.). ეს ჯგუფები შესდგებოდენ რევოლიუციონური ელემენტებისაგან, რომლებიც ბელადების „პატრიოტული" პოლიტიკის წინააღმდეგ ილაშქრებდენ. ეს ელემენტები მხურვალედ მიესალმენ რუსეთის რევოლიუციას და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

ამჟამად ინგლისის მაღაროს მუშათა მოძრაობაში შემდეგი მიმდინარეობებია:

1) უმცირესობის მოძრაობა. ესენი არიან პროფინტერნის მომხრეები. მათი წარმომადგენლები შედიან რევოლიუციონურ სამთო-მადნო მუშების პროპაგანდისა და მოქმედების საერთაშორისო კომიტეტში. ამ მოძრაობას აქვს განსაზღვრული პროგრამა, რომელიც შეიცავს: 6 საათის სამუშაო დღის შემოღების, მაღაროების ნაციონალიზაციის, შრომის ხელფასის გადიდების და სხვა მოთხოვნილებებს.

უმცირესობის მოძრაობის გავლენა ვრცელდება, დაახლოვებით, ინგლისის მაღაროს მუშათა ერთ მესამედზე. უმცირესობის ენერგიის წყალობით 1924 წ. მაღაროს მუშათა ფედერაციის მდივნად არჩეულ იქნა მემარცხენე **ა. ჯ. კუკი.**

უმცირესობის მოძრაობა სცემს გაზეთს, რომელიც ორ კვირაში ერთჯერ გამოდის.

2) მემარჯვენე მოძრაობას ხელმძღვანელობს **ფრანკ ხოჯესი,** რომელიც ბურჟუაზიასთან შეთანხმების ერთი თავგამოდებული მომხრეთაგანია. რათა ინგლისის მრეწველობას მოეხერხებია უცხოეთის ბაზრების დაპყრობა, ფრ. ხოჯესმა შეიტანა წინადადება „ნახშირის მრეწველობაში 5 წლის ვადით სამოქალაქო ზავის დამყარების" შესახებ. კრიზისის აღმოსაფხვრელად, ის წინადადებას იძლევა დაარსდეს საერთაშორისო ნახშირის სინდიკატი, რომელიც პირველ რიგში გააერთიანებს ინგლისისა და გერმანიის ქვა-ნახშირის მრეწველებს და მოაწესრიგებს ნახშირის ფასებს საერთაშორისო მასშტაბით. ახლანდელი გაფიცვის წინ ხოჯესი მხარს უჭერდა სამუშაო დღის გადიდებას ნახშირის მრეწველობაში. ქვანახშირის მრეწველობის გამომკვლევი კომისიის გამოქვეყნების შემდეგ, ხოჯესი მოითხოვდა, რომ კომისიის მოხსენება საფუძვლად დადებოდა მოლაპარაკებას მუშებს და მაღაროს მეპატრონეთა შორის. ასეთმა გამოსვლებმა ისე გაუტეხა სახელი ხოჯს, რომ არა მარტო მემარცხენეები, არამედ მისი ზოგიერთი მემარჯვენე ამხანაგებიც კი უარს ამბობდენ მასთან ერთად გამოსვლაზე მუშათა მიტინგებზე.

3) მაღაროს მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილი მისდევს მემარცხენე ფრთას, რომლის პროგრამა ძალიან უახლოვდება „უმცირესობის მოძრაობის" პროგრამას. ამ მიმდინარეობის წარმომადგენელია ფედერაციის მდივანი კუკი. ეს მემარცხენე ფრთა ძლიერ გავლენიანია სამხრეთ-უელსში, შოტლანდიაში და სხ. რაიონებში.

მაღაროს მუშათა ინტერნაციონალი

სამთა-მადნო მუშათა ინტერნაციონალი დაარსდა 1891 წელს. ამჟამად იგი აკავშირებს 2.100.000 მუშას. მასში შედიან: ინგლისის, გერმანიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების, ისპანიის, ჰოლანდიის, ბელგიის, საფრანგეთის და სხ. ქვეყნების კავშირები. ამჟამად ინტერნაციონალი სცდილობს კავშირი დაამყაროს იაპონიის სამთა-მადნო მუშათა კავშირთან (10.000 კაცი) და ავსტრალიის სამთო-მადნო მუშათა კავშირთან. უკანასკნელი მიმდინარე წლის აპრილში ფორმალურად მიღებული იქნა ინტერნაციონალში.

ინტერნაციონალში შემავალ უდიდეს კავშირს წარმოადგენს ინგლისის სამთა-მადნო მუშათა ფედერაცია, შემდეგ—შეერთებული შტატების სამთა-მადნო მუშათა გაერთიანება (500.00 წევრი), სამთო-მადნო მუშათა ცენტრალური კავშირი (300.000 წევრი), ბელგიის სამთა-მადნო მუშათა ცენტრალური კავშირი (50.000 წევრი), საფრანგეთის სამთა-მადნო მუშათა კავშირი (50.000 კაცი). დანარჩენი კავშირები რამოდენიმე ათეულ ათას წევრს აერთიანებენ.

ინტერნაციონალს დღემდი არც ერთი საერთაშორისო გამოსვლა არ ჩაუტარებია.

ეს ფაქტი ყველაზე უფრო ნათელყოფს ინტერნაციონალის ნამდვილ ფიზიონომიას.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

უნდა გაერთიანდნენ

უნდა გაერთიანდნენ

თბილისში, ვერაზე, სამი საწარმოო სახელმწიფო სასმელების ქარხანაა: 1) სპირტის და კონიაკის (ლენინის ქუჩაზე), 2) ღვინის საწყობი სახ. მამულთა ტრესტის, (პეტრიაშვილის ქუჩაზე) და 3) ანანოვისეული კონიაკ-შამპანიური სამზადებელი მარანი (ელბაქიძის ქუჩაზე).

ამ დაწესებულებებს უკავიათ უზარმაზარი შენობები თავისი ფართე კარ-მიდამოებით, განსაკუთრებით ღვინის საწყობს. ეს მოედანი ტყუილ-უბრალოდ ცდება, როდესაც შეიძლება სპირტის და კონიაკის ქარხნები ერთ ალაგას მოთავსდენ, ამით განთავისუფლდება ორი დიდი სახლი უფრო მიზან შეწონილ მოთხოვნილებათა საჭიროებისათვის. გარდა ამისა გაერთიანებულ ორგანოებს ხშირად სიარული აღარ დასჭირდებათ ერთმანეთთან, ამით საქმეც მოიგებს და ზედმეტი ხარჯიც შემცირდება.

რასაკვირველია, საქმის დაწვრილებით გარჩევა შორს წაგვიყვანს, მხოლოდ ეს კი ჭეშმარიტებაა, რომ უზარმაზარი შენობა ღვინის მარნისა თავისი ორ სართულიან სარდაფებით და კარმიდამო-ბაღით, ბევრჯერ ცალიერია და დაიტევს კიდეც კონიაკის და სპირტის სარდაფებსაც.

მაშინ სამი მოურავის ნაცვლად ერთიც კმარა, კანტორაც ერთი იკმარებს და ეს კი ხელს შეუწყობს მომჭირნეობის რეჟიმს.

გარდა ამისა, ბინის მხრივაც კარგია: ბევრი მუშა-მოსამსახურე გარე-უბნებში ცხოვრობს და თითო ოთახი მაინც ერგებათ ზოგიერთ მათგანს.

ჭალარა.

თავისებური მომჭირნეობა

წალვერის დასასვენებელ სახლის ქალთა მთელი შტატი (დიასახლისი და 5 „კელნერშა", გამგეობამ შესცვალა 4 მამაკაცით. ამ გვარი შეცვლით და შემცირებით სურთ მომჭირნეობის რეჟიმის გატარება.

იმედია, ქალთა წრე დროზე მიაქცევს ამ არა ნორმალურ მოვლენას ყურადღებას და მიიღებს სათანადო ზომებს.

ხიდისთაველი ქალი.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

საბინაო მშენებლობა და სასამართლო

მოსკოვის „რაბოჩაია გაზეტა"-ში (№ 108) მოთავსებულია ერთ-ერთ სახალხო მსაჯულის საყურადღებო მოსაზრებანი. საკითხი ეხება სასამართლოს ორგანოების მუშაობას და ამ მუშაობასთან დაკავშირებით მოწმე ან მომჩივან-მოპასუხე მუშა-მოსამსახურეთა გაცდენილ დღეებს.

„მე მქონდა შემთხვევა ორი კვირა ვყოფილიყავ სახალხო მსაჯულად—სწერს ის, ამ ორი კვირის განმავლობაში, ჩვენ ყოველდღე ვარჩევდით ოც-ოც საქმეს, რომელთა შორის საბინაო საგნები იყო ხუთიდან ათამდე. თვითეულ საბინაო საქმეზე გამოწვეული არიან 3—5 კაცამდე. ეს ხალხი წყდება თავიანთ სამუშაოს. ამათგან საშუალოთ 2 კაცს მაინც წარმოება აძლევს ჯამაგირს, დაახლოებით ხუთ-ხუთ მანეთს თვითეულს. ამნაირათ თითო საქმე 10 მან. ჯდება.

თუ ვიანგარიშებთ დღეში მხოლოდ ხუთ საქმეს, ეს უკვე ჯდება 50 მან. მოსკოვში კი, ამბობენ, 56 უბანია, მაშასადამე ვღებულობთ 2.800 მან. ზარალს ყოველ დღე.

გავამრავლოთ შემდეგ ეს თანხა 24 სამუშაო დღეზე და ჩვენ მივიღებთ 67.200 მან. გასავალს თვეში. ერთ წელში კი ეს შეადგენს 806.400 მანეთს. ციფრი მეტის მეტად დამაფიქრებელია. გარდა ამისა, თუ ყოველდღიურათ საშუალოდ ვიანგარიშებთ 4 კაცს თითო საბინაო საქმეზე, იმავე ანგარიშით დღეში ცდება 1.120 კაცი, თვეში—26.880 კ.; წელიწადში—322.560 კაცი."

ავტორი ამის შემდეგ სვამს კითხვას, ვუწყობთ თუ არა ჩვენ ხელს ამგვარ ხარჯებით საბინაო აღმშენებლობას? და სამართლიანად უპასუხებს: „რასაკვირველია, არა, ჩვენ უფრო ვაფერხებთ ამ აღმშენებლობას".

გამოსავალი ამ მდგომარეობიდან შეიძლება მოინახოს. ავტორი ამბობს:

„ჩემის მხრივ წინადადებას ვიძლევი საბინაო საკითხების და სხ. წვრილმანი საქმეების გარჩევა გადატანილ იქნას საღამოებზე, სამუშაო საათების შემდეგ. ამით ჩვენ ნაწილობრივათ შევამცირებთ სახელმწიფო ხარჯებს".

„რაბოჩაია გაზეტა"-ს თანამშრომელის მიერ გამოთქმული აზრი ჩვენთვისაც უთუოდ საგულისხმოა. მართალია წერილში მოყვანილი ციფრები თბილისის სინამდვილისათვის ერთობ შეუფერებელია, მაგრამ უდაოა, რომ ამგვარი უსარგებლო ხარჯები აქაც მნიშვნელოვანია, მით უფრო, თუ თბილისთან ერთად მხედველობაში მივიღებთ დანარჩენ ჩვენს დაბა-ქალაქებს.

როგორ ტარდება მომჭირნეობა

თბ. მუშათა კოოპერატივში

ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებელი კამპანია დაიწყებოდა, თბილისის მუშათა კოოპერატივის გამგეობამ მოიწვია პასუხისმგებელ ამხანაგთა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა საკითხი ეკონომიის რეჟიმის მნიშვნელობის შესახებ. თათბირმა აუცილებელ საჭიროებად სცნო მუშაობას მომჭირნეობის რეჟიმის ჩასატარებლად მისცემოდა გეგმაშეწონილი ხასიათი, ე. ი. მომხდარიყო მუშათა კოოპერატივების აპარატის სტრუქტურის გამოკვლევა და აგრეთვე გამორკვეული ყოფილიყო ხარჯების შემცირების ყველა შესაძლებლობანი. თათბირის დადგენილებით ეკონომია მიღწეული უნდა ყოფილიყო საორგანიზაციო ფორმებისა და მუშაობის მეურნეობის რაციონალიზაციის [illegible]. თათბირმა იმავე სხდომაზე გამოყო ცენტრალური კომისია მუშკოოპის გამგეობის წევრის ამხ. **ერისთავის** თავმჯდომარეობით. კომისიას დაევალა დაეგროვებია და დაემუშავებია მასალები გამგეობისათვის წარსადგენად. კომისია დაიყო შემდეგ სექციებად: შემსყიდველ, საწყობ-სატრანსპორტო, სადუქნო, საფინანსო, საანგარიშო, საქმის საწარმოებლო სექციებად.

დღიდან კომისიების დაარსებისა უკანასკნელ დღემდე დამუშავებული იქნა შემდეგი საკითხები: საწყობი საქმის ცენტრალიზაცია, ანგარიშ ქვეშ მყოფი თანხების სარგებლობის წესი, პირადი შემადგენლობის აღრიცხვის ცენტრალიზაცია, განყოფილებათა მიერ წარმოებული მიწერ-მოწერის და ქაღალდების აღრიცხვის განმარტივების საკითხი, ტრამვაითა და სხვა მისვლა-მოსვლის ხარჯების შემცირება.

ჯერ-ჯერობით დაწვრილებით გამორკვეული არ არის, თუ რას უდრის დაზოგვილი თანხები, რომელიც აუცილებლად მოჰყვება ეკონომიის რეჟიმის გასატარებლად შესრულებულ მუშაობას. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ამ საშუალებით დაზოგვილი თანხა მნიშვნელოვან ჯამს წარმოადგენს.

ბათომის მუშკოოპში

მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას შეუდგა ბათომის მუშათა კოოპერატივის გამგეობაც, პირველ ყოვლისა,—შემცირებულ იქნა კოოპერატივების შტატი 65 კაცით. ეკონომიის რეჟიმის გატარებამ გამოიწვია ათას მანეთის დაზოგვა თვიურად. მუშკოოპის თვიური ბრუნვა კი უდრის 120 ათას მანეთს. ხარჯები შემცირებული იქნა შემდეგი მუხლების მიხედვით საფოსტო-სატელეგრაფო, სატრანსპორტო, მივლინებები, ჟურნალ-გაზეთები, სარემონტო მუშაობა და სხ.

მიუხედავად ღირებულების ზრდისა მუშკოოპს არ მოუმატებია ფასები პირველი მოხმარების საქონელზე, პურის, ხორცის პროდუქტების ფასები დაკლებულია. არ შეცვლილა აგრეთვე ფასები პარფიუმერიაზე, საპონზე და სხვა საქონელზე. საერთოდ ბათომის მუშკოოპმა საქონელს დაუკლო სამი პროცენტი.

საზ. „საქართველოს ჩაი"

საზოგადოება „საქართველოს ჩაის" გამგეობასთან მოწყობილი ეკონომიის რეჟიმის გამტარებელი ცენტრალური კომისია ამჟამად აწარმოებს გამგეობის შტატის შემცირებას. შტატის შემცირება სააქციო საზოგადოებას საშუალებას აძლევს ხელფასის გასასტუმრებელი თანხა შეამციროს 1.329 მანეთით თვეში, რაც ხელფასის გასასტუმრებლად საერთო თანხის 37 პროცენტს შეადგენს. გარდა ამისა კომისიის მიერ გამომუშავებულია მთელი რიგი ღონისძიებისა, რომელიც შეეხება მივლინებისათვის საჭირო თანხების, საფოსტო სატელეგრაფო ხარჯების შემცირებას, სააკორდო. ზედმეტი სამუშაოების გაუქმებას და სხვას. გაუქმებულია აგრეთვე ჩაქვისა და სალაბაურის სახალხო მამულებზე თანხების გაცემა საპატიო სტუმრების მიღებად, ჩაის ნიმუშების გასაცემად. მამულებისათვის სპეციალური ლიტერატურის შესაძენად, ჩაქვის შრომის სკოლის შესანახად. (რადგან ამ სკოლას არავითარი კავშირი არა აქვს სააქციო საზოგადოების მუშაობასთან).

საზოგადოებას წინადადება მიეცა აგრეთვე ჩაის შესახვევი ქაღალდი გამოიყენოს საკანცელარიო საჭიროებისათვის. ჩაის ფაბრიკებში ხდება აგრეთვე სათბობი მასალის და წასასმელი მასალის შემცირება

პარტიული ცხოვრება

ცეკას პლენუმი

30 მაისს, საღამოს 6 ს. სახალხო კომისართა საბჭოს შენობაში გაიხსნება საქა. კომუნისტური პარტიის ცეკას მორიგი პლენუმი.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი **ლ. ქართველიშვილი.**

მიღების პირობები

ამიერ-კავკასიის „26 კომუნარის" სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტში 1926-27 სამოსწავლო წლისათვის

ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში მიღებულ იქნებიან უმთავრესად მუშები და გლეხები. გამონაკლისი არა ფიზიკურ მომუშავეთათვის, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აწარმოებენ აქტიურ მუშაობას პარტიისა ან კომკავშირის ორგანოებში.

მიღებულ იქნებიან ამხანაგები, რომელნიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს: ა) ფიზიკური შრომის საწარმოო შტაჟი წარმოებაში ან სასოფლო მეურნეობაში არა ნაკლები ორი წლისა.

ბ) პარტიის წევრები ორ-წლიანი და კომკავშირის წევრები 3 წლიანი სტაჟით.

შენიშვნა: კომკავშირის წევრთა რაოდენობა დაწესებულია არა უმეტეს 35%-ისა.

3) პარტიულ, კომკავშირის, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციებში მუშაობის სტაჟი არა ნაკლები ორი წლისა.

გ) წლოვანება—20-დან 30-დე.

მიღებულ იქნებიან ამხანაგები, რომელთაც აქვთ მომზადება მე-II საფეხურის საბჭოთა პარტიულ სკოლის—და მუშფაკისა ან 9 წლედის მოცულობით, რომლებიც ერკვევიან მიმდინარე პოლიტიკურ ამბებში.

გადამდებ, მათ შორის ვენერიული, ჰლინიკური ფორმის ნევრასტენიით, ტუბერკულოზით დაავადებულნი და აგრეთვე ფიზიკურათ სუსტნი უნივერსიტეტში მიღებულნი არ იქნებიან.

ორგანიზაციები, რომლებიც უნივერსიტეტში მიავლენენ ამხანაგებს ვალდებულნი არიან:

ა) იკისრონ საგზაო ხარჯები,

ბ) მისცენ მივლინებაში გაგზავნილს ხელზე პირადი საქმე და გადამრჩევი კომისიის დადგენილება,

ვ) მისცენ მოკლე ცნობები: წლოვანობის, განათლების, ეროვნების, სოციალურ მდგომარეობის, პროფესიის, პარტიაში ან კომკავშირში შესვლის დროის, თანამდებობის, პარტიულ და საბჭოთა მუშაობის შესახებ, მივლინებაში გაგზავნილ ამხანაგის მოკლე დახასიათება, როგორც პარტიული მუშაკისა და მისივე ხელწერილი, იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტში მიღების პირობებს ის იცნობს.

მივლინებაში გაგზავნილთ თან უნდა ჰქონდეთ საბუთები მათი სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულების შესახებ. მივლენილი ამხანაგები ამ.-კავკ. უნივერსიტეტში გატარდებიან საექიმო და სამანდატო კომისიაში და ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს.

ამხანაგები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ზემოთჩამოთვლილ მოთხოვნილებებს დაბრუნებულ იქნებიან უნივერსიტეტის მიერ მათ გამომგზავნ ორგანიზაციების ხარჯზე.

ამხანაგებს, რომელთა გამოგზავნას განიზრახავს ადგილობრივი ორგანიზაცია, უნდა მიეცეს ერთი თვის შვებულება იმ დაწესებულების ან წარმოების ხარჯზე, რომელშიაც გამოგზავნილი ამხანაგი მსახურობდა მივლინების დროს.

შვებულება ეძლევა დასვენებისა და უნივერსიტეტში შესასვლელად მომზადებისათვის 10 აგვისტოდან—10 სექტემბრამდე. მიღება ამ. კავკ. კომუნისტურ უნივერსიტეტში იწარმოებს 10 სექტ. 15 სექ-დე. ვინც ამ ვადისათვის არ გამოცხადდება მიღებული არ იქნება.

ამ.-კავკ. კომუნისტურ უნივერსიტეტში სტუდენტები დაკმაყოფილებულნი იქნებიან საერთო ბინით, კვებით, ტან - ფეხსაცმელებით, სამოსწავლო ნივთებით და გარდა ამისა, თვიურად მიეცემად 10 მანეთი.

საერთო საცხოვრებელ ბინაში სტუდენტების ოჯახები არ მიიღებიან.

სტუდენტთა ოჯახების მატერიალურად და აგრეთვე მათი ბინით და სამსახურით უზრუნველყოფის მხრივ უნივერსიტეტი არავითარ ვალდებულებებს თავის თავზე არ იღებს.

ყველა ჩამოსულ ამხანაგები უნდა გამოცხადდენ ამ.-კავკ. კომ. უნივერსიტეტის სამდივნოში (თბილისი ერმოლოვის ქ. №6—9-დან 4 საათამდე).

ადგილების განაწილება

საქართველოს კომპარტიის ცეკას 25, სომხეთის კომპარტიის ცეკას—15, აზერბეიჯანის კოპარტიის ცეკას—25, სის საოლქო კომიტეტს—4, ჩრდი- საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკა- ლოეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს—3, დაღესტანის ოლქს—3 და ამ.-კავკ. წითელდროშოვან არმიის პოლიტსამმართველოს—5.

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი—**ორჯონიკიძე.**

ამიერ-კავკასიის კომ. უნივერსიტეტის რექტორი—**კასიანი.**

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ცირკულიარი

მოსკოვი, 27 მაისი. ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ ცირკულიარული წერილით მიმართა საკავშირო კომპარტიის წევრებს, სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებს და ყველა საკონტროლო კომისიებს. ცირკულიარში ნათქვამია:

ყირიმის საოლქო საკონტროლო კომისიიდან მიღებული ცნობების თანახმად, ზაფხულის პერიოდის დაწყების გამო კურორტებს აწყდებიან დიდძალი რევიზორები, კონტროლიორები, ინსტრუქტორები და სამეურნეო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაკები, რომელნიც ღებულობენ მივლინებებს კურორტებზე ყველგვარ თანამდებობათა დავალებებისათვის, რომელიც აუცილებლობით არ არის გამოწვეული. ეს პირები თითო თუ ორ-ორ თვეებს ატარებენ კურორტზე, ღებულობენ ფულს მივლინების და დღიურ ხარჯებისათვის და ამრიგად მივლინებისათვის მიცემულ თანხებს იყენებენ პირად მიზნებისათვის, მივლინების დროს დასვენების მეტს არაფერს აკეთებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი ორგანიზაციები ამ რაიონებში მხოლოდ ზაფხულობით ნიშნავს „რევიზიას". ასეთი მივლინებები, რომელიც აუცილებლობით არ არის გამოწვეული, დაუშვებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ეს არღვევს პარტიის დირექტივას მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმის შესახებ.

ამის გამო ცენტრალური საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს საკავშირო კომპარტიის ყველა წევრებს და დაწესებულებების ხელმძღვანელებს ზომები მიიღონ იმისათვის, რომ მოისპოს მივლინებები სამსახურის გამო საკურორტო რაიონებში, თუ უკიდურესი საჭიროებით არ არის გამოწვეული. ცენტრალური საკონტროლო კომისია წინადადებას იძლევა ორგანიზაციებმა თვალყური ადევნონ ამ ცირკულიარის ცხოვრებაში გატარებას და მისი დამრღვევნი პასუხისმგებაში იქნენ მიცემული.

კომუნისტების რაოდენობა საბჭოთა კავშირში.

მოსკოვი, 27 მაისი. საკავშირო კომპარტიის სტატისტიკურ განყოფილების ცნობით 1926 წლის პირველი აპრილისათვის საბჭოთა კავშირში ირიცხებოდა 31.019 უჯრედი და 1.790 საკანდიდატო ჯგუფი. სულ კომუნისტების რიცხვი უდრის 1.118.601. მათ შორის 135.289 ქალია და 448.698 კანდიდატი.

სამაზრო პარტაქტივის გადამზადება.

ძირითად პარტიულ ორგანიზაციებში მომუშავე ამხანაგების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა მოაწყო საზაფხულო კურსები, სამაზრო კომიტეტის და ქალაქების რაიკომების ხელმძღვანელ ამხანაგების გადასამზადებლათ.

კურსები ოთხთვიანია, იგი გათვალისწინებულია 100 კაცისათვის და მოთავსებულია მანგლისში. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებზე ადგილები ნაწილდება შემდეგნაირათ: აზერბეიჯანის ორგანიზაციებზე მოდის 42 ადგილი, საქართველოს ორგანიზაციებზე—41 და სომხეთზე—17.

კურსებზე მეცადინეობა იწარმოებს რუსულ ენაზე, იქ ასწავლიან შემდეგ საგნებს: ეკონომიურ გეოგრაფიას, პოლიტიკურ ეკონომიას, დასავლეთის რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიას, რევოლიუციის და მუშათა მოძრაობის ისტორიას საბჭოთა კავშირში და ა.-კ. ფედერაციაში, საკავშირო კომპარტიის ისტორიას, ისტორიულ მატერიალიზმს, ლენინის მოძღვრებას სახელმწიფოზე, საბჭოთა კავშირის და ა.-კ. ფედერაციის კონსტიტუციებს, პროფმშენებლობას, ეკონომიურ პოლიტიკას, კოოპერაციას და პარტმშენებლობას. მეცადინეობის მეთოდათ დაწესებულია სემინარულ-ლექციური სისტემა.

საორგანიზაციო მუშაობა როგორც სამოსწავლო, ისე სამეურნეო მხრივ უკვე დამთავრებულია. კურსანტები ჩამოსული არიან; ისინი შესდგებიან უმთავრესად: სამაზრო კომიტეტების მდივნების, ქალთა, საორგანიზაციო აგიტ-პროპაგანდის განყოფილებათა გამგეებისაგან და კომკავშირის აქტივისტებისაგან.

კურსები გაიხსნება 30 მაისს. მეცადინეობა კი დაიწყება 1 ივნისიდან.

ლენინის რაიკომში.

ლენინის რაიკომის საორგანიზაციო თათბირის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები ბიუროთა გადარჩევის შედეგებზე. მოხსენებები გააკეთეს იმ ამხანაგებმა, რომლებიც ბიუროებს არჩევნებზე დასასწრებად რაიკომიდან იყვნენ გაგზავნილი. საორგანიზაციო თათბირმა აღიარა, რომ ხელ-ახალი არჩევნების დროს სხდომები იყო დაცული შინაპარტიული დემოკრატია და ამასთანავე ერთად, უჯრედების მდივნების მოხსენებათა გარშემო საქმიანი კამათი სწარმოებდა თითქმის ყველა კრებაზე. აღიარებული იქნა, როგორც საერთო მოვლენა, უჯრედების შინა-მუშაობის სისუსტე, რაც ერთის მხრივ, უჯრედების მდივნების, ხოლო მეორე მხრივ, საინსტრუქციო მუშაობის სისუსტით აიხსნება. აღნიშნულ იქნა ის გარემოებაც, რომ როგორც საანგარიშო მოხსენებებში, ისე კამათში არ ჰქონდა მიქცეული საკმარისი ყურადღება ძირითად პარტორგანიზაციებისა და უჯრედებთან არსებულ კომისიების მუშაობას.

საორგანიზაციო თათბირმა დამაკმაყოფილებლად მიიჩნია ბიუროების და უჯრედების მდივნების ახალ წევრთა პროცენტი.

თათბირმა აღნიშნა, რომ სამეურნეო დარგში მომუშავე კომუნისტი ამხანაგები [illegible] საკმარისად თავის მუშაობას უჯრედების წინაშე და გარდა ამისა, პარტიის წევრები სუსტ მონაწილეობას იღებენ საწარმოო თათბირების მუშაობაში.

მ. კოსვი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

განაჩენი შელიას საქმის შესახებ

ქუთაისი, 27 მაისი. დამთავრდა შელიას და სხვების საქმე—28.160 მან. გაფლანგვის შესახებ. ხუთი დღის განმავლობაში ხალხით იყო გაჭედილი ქალაქის თეატრი, სადაც საქმე ირჩეოდა. სასამართლოს დადგენილებით შელიას მიესაჯა 10 წლის სასტიკი იზოლიაცია. სამ მის თანამონაწილეს მიესაჯა ორ-ორი წლით დატუსაღება. განაჩენს ქალაქში დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ.

ტრაქტორი მიიღეს

ახალქალაქი, 24 მაისი. ახალქალაქის საკრედიტო ამხანაგობამ მიიღო ტრაქტორი რომელიც საქ. სასოფლო-მეურნეობის ბანკისგან იყო ნაყიდი. ტრაქტორი—ხოლდის სისტემისაა. ტრაქტორს ამუშავებს ტრაქტორისტი, რომელმაც საქ. მიწათმოქმედების კომისარიატის სატრაქტორო კურსები დაამთავრა.

მარგანეცის გატანა

ფოთი, 27 მაისი. ინგლისური გემი „სიტპული" წავიდა ამერიკაში და წაიღო 5.730 ტონა მარგანეცი.

გურიის პარტიულ კომიტეტის პლენუმი

ოზურგეთი, 27 მაისი. გაიხსნა გურიის პარტიულ კომიტეტის გაფართოებული პლენუმი. პლენუმზე დასასწრებლად ჩამოვიდა საქ. კომპარტიის ცენტ. საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე ამხ. დოლიძე.

სულდინის კომუნა

ახალქალაქი, 24 მაისი. სპეციალურმა კომისიამ დაათვალიერა სულდინის სასოფლო-სამეურნეო კომუნა ამხ. მიასნიკოვის სახელობისა.

კომუნა დაარსებული იქმნა 1924 წელს და ამჟამად აერთიანებს 15 ოჯახს 70 სულით.

კომუნას უჭირავს 300 დეს. მათ შორის 100 დეს. გამოსადეგი მიწაა.

კომუნა მუშაობას აწარმოებს გაუმჯობესებული იარაღებით, მაშინ როდესაც კომუნის ირგვლივ რაიონებში მცხოვრები გლეხობა ძველი, წარღვნის დროინდელი იარაღებით მუშაობს.

კომუნა შეუდგა 15 ერთგვარი ტიპის სახლის აშენებას საერთო აბანოთი, პურის საცხობით, კლუბთან და სხ.

წერილები

ცხემა რა ქნა?

(ხეთა, ზუგდ. მ.)

რაღა გოგია და რაღა ტურავაო, ამბობენ ხეთელი გლეხები. მენშევიკების დროს ტურავამ ჭამა სოფელი და ეხლა გოგიაც მის გზას დადგომიაო. თუ ვინმე მიზანში ამოიღო ჩვენი ალმასკომის თავმჯდომარე გოგიამ, ვაი მისი ბრალი! უვახშმოთ და უფეშქაშოთ ვერ გადარჩება.

ვაჭრები თითქოს ძალიან ეჯავრება თავმჯდომარეს. ყოველ დღე აყალ-მაყალშია მათთან. მაგრამ შერიგებაც ჩქარა იცის. რაა ბოროტი კაცი, რომ ვისიმე მტრობა გულში ჩაიმარხოს და საუკუნოდ გადაეკიდოს. განსაკუთრებით ჩქარა იქარვებს გოგია მოწინააღმდეგეზე გულის ჯავრს, თუ ცოტა ჩააქეიფე და საჩუქარიც კარგი უძღვენი.

ვადაეკიდა გოგია შეძლებულ ვაჭარს—ბეგლარ ბუკიას. დიდხან იდავეს, იკინკლავეს, ბევრი მახეები უგეს ერთმანეთს და ბოლოს გოგიამ გაიმარჯვა. სხვას რომ ავი დავანებოთ, გოგია ხელისუფლების მქონე კაცია და აბა მასთან ბეგლარა ბუკია რას გააწყობდა? მაგრამ მოხერხება და ქონება ხომ ვაჭრის ხელშია. ის ყოველთვის მონახავს ხვრელს ხიფათიდან.

ბუკიამ კარგათ იცოდა გოგიას სუსტი მხარე და იერიშიც აქეთკენ მიიტანა. გამართა თქვენი მოწონებული ნადიმი და მომდურავი თავმჯდომარე დიდი მოწიწებით მოიწვია. თან სახლის აივანთან ისეთი აფხაზურათ შეკაზმული ბედაური ჩამოაბა, რომ მისი შეხედვით ბაბუაც გაახალგაზრდავდებოდა.

ეზოში შემოსვლისთანავე გოგიას სულმა აღარ მოუთმინა და მაშინვე მიაძახა მასპინძელს: „რა ცხენი გყოლია ბეგლარ ჩემო, რა ცხენი!" ვაჭარმა გულში ჩაიცინა ჩავარდა ჩიტი მახეშიო, გაიფიქრა მან და მოფერებით უპასუხა თავმჯდომარეს: „შენი ფეშქაში, გენაცვალე, მოვიკვდეს ბეგლარის თავი, რომ შენთვის ცხენი კი არა სული დასთმოს"-ო.

გოგიამ ერთი ლაზათიანათ იქეიფა, მერე ღვინით შეზარხოშებული მოახტა მერანს ზურგზე და ისარივით გამოჭენდა სახლისაკენ. „ცხენი მყავს, მაგრამ რა ცხენი, ისე გაჩტება ბუჩქში ერთი სკუპით, რომ კუდსაც არაფერს გააკარებსო", ტრაბახობს გოგია თავის შესარცხვენათ მთელ ხეთაში.

დღეს თავმჯდომარე და ბეგლარა დიდი მეგობარი ხალხია. ძველი მტრობა და შური ხობის წყალს გაატანეს. ისე უყვარს თავმჯდომარეს ვაჭარი და ვაჭარს თავმჯდომარე, რომ ერთმანეთს თვალში რო ჩაუვარდენ ხელსაც კი არ ამოისვამენ. აბა რა გეგონათ, ასეთია ყურცქვიტაზე აგებული სიყვარული.

თექ-ვორდი.

ქურდებს დრო ლაუდგათ

(ს. ველისციხე, სიღნ. მ.)

დადგა გაზაფხული და ტყეც ფოთლით შეიმოსა. ამან საშუალება მისცა აქაურ ქურდ-ბაცაცებს თავ-აღებულათ ითარეშონ. სოფლის ბოლოში უხვდებიან უცხო მგზავრებს და უმოწყალოდ სძარცვავენ დღისით თუ ღამით. მათ წინააღმდეგ კი ჯერ-ჯერობით არ არის ზომები მიღებული.

ამას წინათ იყო შემდეგი საძაგელი და წესს გადასული შემთხვევა: სადგურ მუკუზნიდან მიემგზავრებოდენ გაღმა მხარეს, ს. ახალსოფელში, სამი ეტლით თბილისის მოქალაქენი: ოქრომჭედელი ჯანგულაძე, ძმ. ნინიევები და ველისციხის მცხოვრები ზაირამოვი, ყველანი თავ-თავის ჯალაბობით. სოფლის ბოლოში, ვენახებ შუა, ორღობეში, მათ დაუხვდა თორმეტი შეიარაღებული ავაზაკი, გააჩერეს ეტლები, შემოერტყენ გარშემო და დაუწყეს ძარცვა. გაძარცვეს ბავშვებიც კი. ესეც არ აკმარეს და უმოწყალოდ სცემეს მამაკაცებს.

ბავშვების წივილ-კივილის ხმა ცამდის აღწევდა, მაგრამ მშველელი არსაიდან სჩანდა. წაიღეს სამას თუმნამდე ღირებული ნივთები და ტანისამოსი. გაძარცულებმა განაგრძეს გზა ს. ყვარელისაკენ, სადაც ვამოუცხადეს იქაურ მილიციის უფროსს, რომელიც სასწრაფოდ გამოვიდა ველისციხეში და ეჭვით დააპატიმრა ორი მეეტლე.

ავაზაკების აღმოსაჩენად ზომები არის მიღებული, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ აღმოუჩენიათ.

ჩიორა.

წერილებიდან

დიდი-ჯიხაიში (ქუთ. მ.)

რა მოსდის კოოპერატივს? სოფელ დიდჯიხაიში, როგორც მოგეხსენებათ, საკმაოთ მრავალრიცხოვანი მოსახლეობაა, აქ ბაზარიც დიდია. ამ სოფელში არის ერთი კოოპერატივი, რომელიც კარგა ხანია დაარსდა. საუბედუროთ, გლეხობისათვის მას არავითარი სარგებლობა არ მოუტანია. ხალხს შეაქვს საწევრო გადასახადი, მაგრამ გაფართოების მაგიერ კოოპერატივი სულ პატარავდება. საჭირო საქონელი იქ უფრო ძვირია, ვიდრე სხვაგან. და გლეხობას სრულიად უკარგავს კოოპერაციის სარგებლიანობის რწმენას. მინდა ვიკითხო, რაშია საქმე? ნუ თუ ასეთ დიდ სოფელში არ შეუძლია კოოპერატივს არსებობა.

შ. ლო—ძე.

დილომი (თბ. მ.)

ზარალი ნიაღვრისგან. 22 მაისს, საღამოს 7 საათიდან, დაიწყო კოკის პირული წვიმა და გასტანა 12 საათს. საშინელმა ნიაღვარმა მთლად წალეკა ბაღ-ბოსტნები. ყანები და დაანგრია ათიოდე სადგომი ბინები. ზარალი დიდია და ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

საჭიროა ცენტრალურ მთავრობამ მოგვაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

გლეხკომელი.

სამიქაო (სენ. მ.)

მაუზერისტი ახვლედიანი. გრიშა ახვლედიანს მაუზერი აქვს და ამიტომ ქვეყანა თავისად წარმოუდგენია. ამას წინად მიუვარდა გლეხ ნ. ბოკერიას და, მეზობლები რომ არ მიშველებოდენ, მოკვლას უპირებდა. როცა გლეხები ამის შემდეგ მიუთითებდენ ახვლედიანს მისი საქციელის დაუშვებლობაზე. მაუზერისტი კიდევ უფრო გამხეცდა. „ეხლავე ყველას დაგიჭერთ, ხმა გაკმინდეთ, მე ოცი კაცის დახვრეტის უფლება მაქვსო", ყვიროდა. საბედნიეროთ ხელისუფლება არ დასწრებია ახვლედიანის თავხედობას, თორემ საქმე უსისხლოთ არ დასრულდებოდა.

დამსწრე.

ლეძაძამის თ. (სენ. მ.)

ტეხურზე ხიდი არა გვაქვს. ჩვენი თემი მდიდარია მოსახლეობით და კულტურულ ადმინისტრატიულ დაწესებულებებით, საქმეს აჭირვებს მდ. ტეხურზე ხიდის უქონლობა. ადიდების დროს მდინარეზე გადასვლა ყოვლად შეუძლებელია. საჭიროა მაზრამ ითავოს ამ სასარგებლო საქმის მოგვარება და ახლომდებარე სოფლები ყველა გაიღებს წვლილს ხიდის გასაკეთებლათ.

კოჯოლელი.

სოფლის ქრონიკა.

— **იურიდიული ცოდნის** გასავრცელებლად ახალციხის აღმასკომმა შინაგან საქმეთა კომისარიატის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რომ მაზრას გაეგზავნოს იურიდიული ლიტერატურა.

— **საძოვრების დასაცავად** ახალციხეში დაარსდა განსაკუთრებული დარაჯთა შტატი.

— **ველისციხის** გლეხებმა გადასწყვიტეს საერთო ძალით შეიძინონ სეტყვის საწინააღმდეგო მუშხუნები.

— **სიღნაღის აღმასკომმა** მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ჯანმრთელობის საქმეზე დახარჯა 7.000 მანეთი.

— **გზატკეცილი.** ამჟამად სწარმოებს მუშაობა თბილის-ლაგოდეხს შორის გზატკეცილის აღსადგენათ.

— **სვანეთის მაზრაში** განზრახულია პატარა თემების გაერთიანება.

— **ბორჩალოს აღმასკომი** ჰქუობს სასოფლო-სამეურნეო მუზეუმს.

სოფლის ფოსტა

გ. ბ. კ—ძეს (ქვათურა) წერილი გადაეგზავნა წარმკავშირის გამგეობას.

ლ. გ—ს (ბათომი). რეცენზია დაგვიანებულია, არ მიდის.

საგზაო მშენებლობა

ბორჯომ-ახალციხ-აბასთუმანის და ახალციხ-ახალქალაქის გზატკეცილები

აპრილიდან დაწყებული მაისის განმავლობაში საგზატკეცილო სამმართველოს მიერ სამხრეთ საქართველოში შესრულებულ იქნა შემდეგი სამუშაოები: სწარმოებდა გზატკეცილების შეკეთება ორასი ვერსის მანძილზე—ბორჯომიდან—ახალციხეაბასთუმნამდე და ახალციხიდან ახალქალაქამდე. პირველ რიგში გაწმენდილ იქნა თხრილები და თვით გზატკეცილი ნიაღვრებიდან მოტან. სილიდან. საფუძვლიანად შეკეთებულ იქნა აგრეთვე გზატკეცილ ქვეშ ნიაღვრებისგან დაზიანებული მილები. შეკეთებულ იქნა ხიდები ხაშურიდან მეცამეტე ვერსზე, ხოლო ბორჯომიდან ორმოცდამეშვიდე და ორმოცდამეცხრე ვერსზე — ახალციხის მიმართულებით. ახალქალაქის გზატკეცილი მეორე ვერსზე გამაგრებულ იქნა ნიაღვრებისგან დაზიანებული ხიდის ბურჯები და აგრეთვე გზატკეცილის ნაწილი ბორჯომ-აბასთუმანის მე-5 8 ვერსზე და ბორჯომ-ახალქალაქის გზატკეცილი მე-45 ვერსზე.

დიდი სამუშაოები იქნა შესრულებული აგრეთვე ბორჯომ-ბაკურიანის გზატკეცილზე შავი მდინარის რაიონში. ამ ადგილას გზატკეცილი გაწმენდილ იქნა 4 სანტიმეტრის სისქე ტალახისაგან. აქვე გაყვანილ იქნა საწვიმისო თხრილები და წყალსადენი მილები. დასასრულ მოკენჭილ და გატკეპნილ იქნა ღორღით და ქვიშით. ამავე რაიონში შეუდგენ ახალი გზატკეცილის გაყვანას, რისთვისაც დამზადებულ იქნა საჭირო ქვის მასალა. მოსალოდნელ წყალდიდობისათვის დისტანციამ დააწესა სადარაჯო პოსტები. რომელთაც ევალებათ წყლის დონის გაზომვა მტკვრის და მისი შენაკადი მდინარეების კალაპოტებში. სულ გზატკეცილზე ყოველ დღიურად მუშაობდა 50 მუშა.

◆

სვანეთის გზა

შესდგა ზუგდიდის მაზრიდან ს. მესტიამდე (სვანეთი) გზის გამყვანი კომიტეტი. კომიტეტის საპატიო წევრებათ აირჩიეს ამხ. ს. ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი, მ. ცხაკაია, შ. ელიავა, ქართველიშვილი და მათიკაშვილი. საქმიან კომიტეტში კი—დოლობერიძე, ჯუღელი, გაბლიანი, ფალიანი ანდრია და ლუარსაბი, მეგრელიძე, ნავერიანი და სხ.

დამხმარე კომიტეტმა დაადგინა ჩაატაროს დიდი კამპანია რესპუბლიკის ყველა კუთხეებში მესტია-ჯვარის გზის გასაყვანად.

გზის გამყვან საქმიან კომიტეტს ცენტრში უხელმძღვანელებს ცაკი და სახკომსაბჭო, ხოლო ადგილობრივ—სვანეთში — სვანეთის აღმასკომი.

◆

ელექტროფიკაცია

საქართველოში 1926 და 27 წლებისათვის სრულებით დამთავრდება ქალაქების და მათ ირგვლივ მდებარე რაიონების ელექტროფიკაციის საქმე. სადგურები პირველ რიგში დააკმაყოფილებენ კომუნალურ მეურნეობას, წვრილი მრეწველობის და ნაწილობრივ ზოგიერთ სოფლების მოთხოვნილებებს.

მსხვილი მრეწველობის და რკინისგზის ელექტროფიკაციისათვის გამოყენებული იქნება ზაჰესის ენერგია, აჭარისტანის ჰიდროელექტრონის სადგური და ქუთაისის ჰიდროელექტრო სადგური, რომლის ასაგებად განზრახულია ახლო ხანში მუშაობის დაწყება. სადგური იქნება 42.000 ცხენის ძალიანი.

1928 წლისათვის განზრახულია დამთავრდეს სურამის უღელ-ტეხილის ნაწილის (ხაშურიდან ზესტაფონამდე) ელექტროფიკაცია. ამ რაიონებისათვის ელექტრო-ენერგიის მიწოდება მოხდება პირველ რიგში ზაჰესიდან, რისთვისაც საჭირო იქნება მაღალ სიმძლავრის ელექტრო-ენერგიის გადამცემი ხაზის აგება 152 კილომეტრის მანძილზე შორაპნამდე.

მოსალოდნელია, რომ 1930—31 წლისათვის ზაჰესმა ვეღარ დააკმაყოფილოს თბილისის რაიონი და რკინისგზა მოთხოვნილების თანდათანობით გაზრდის გამო, ამიტომ საჭირო იქნება ამ ოვითვე მუშაობის დაწყება ქუთაისში მდინარე რიონზე ჰიდროელექტრონის სადგურის ასაგებად, იმ ვარაუდით, რომ სადგური 1931 წლისათვის ამუშავდეს. ამ სადგურის შეერთებით ზაჰესიდან შორაპნამდე გაყვანილი ხაზთან შესაძლებელი იქნება ჭიათურის მრეწველობის, გორის და ხაშურის რაიონების და აგრეთვე თბილისიდან ზესტაფონამდე რკინისგზის ხაზის ელექტრო ენერგიით მომარაგება.

ჭაობების ამოშრობა

ფოთში

ამჟამად გაცხარებული მუშაობა სწარმოებს ფოთის რაიონში ჭაობების დასაშრობათ. პალიასტომის ტბასა და რიონს შორის განზრახულია 3 ათასი დესეტინა ჭაობიანი ადგილის ამოშრობა. ამჟამად კეთდება ფოთის ირგვლივ დიდი ამაღლებული დამბა, რომლის საერთო სიგრძე უდრის 5 ნახევარ ვერს. ეს დამბა დაიცავს ქალაქ ფოთს მოსალოდნელი წყალდიდობისაგან. ამჟამად უკვე შესრულებულია სამუშაოს 60%. მუშაობა აქ სწარმოებს მექანიკურად—გაყვანილია ვიწრო ლიანდაგიანი რკ. გზა, აშენებულია სხვადასხვა დამხმარე მოწყობილობანი და სხვა. დამბისათვის საჭირო მიწის მოტანა სწარმოებს 8 ნახევარი ვერსის მანძილიდან. ფოთის რაიონის ჭაობებიდან წყლის გაშვება იწარმოებს ოთხი არხიდან.

მცურავი მიწისმთხრელი

ფოთის მუშებმა საკუთარი ძალებით დაამზადეს მცურავი მექანიკური მიწის მთხრელი მანქანები.



მცურავი მიწისმთხრელი

ეს მანქანა მოწყობილია გემზე; შესაძლებელია მისი მიყენება კლდეზე და ისე მუშაობა. ფოთში დამზადებულია ასეთი ორი მანქანა. ერთი მანქანა იმუშავებს ზღვიდან წამოსვლით მდინარე შავადან და გასჭრის ჭაობის წყალის გასაყვან არხს. მეორე კი—მდინარე ცივიდან მიადგება და გადასჭრის გორაკს.

ჭალადიდის ჭაობები

წინასწარი მუშაობა ჭალადიდის ჭაობების ამოსაშრობათ უკვე დასრულებულია.

ამ ადგილების ამოშრობის შემდეგ—გლეხები მიიღებენ სახნავ მიწას 6 ათასი დესეტინის რაოდენობით. მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებებისა, მუშაობა ჩქარი ტემპით სწარმოებს.

◆

5 ათასი ცხვრის დაღუპვა

ნიაღვრისაგან კოჯორის რაიონში დაზარალებულ მწყემსების დიდი ნაწილი დაბრუნდა უკან და დაბანაკდა თბილისის მიდამოებში, სადაც ცხვრის ფარას ნიაღვარზე ნაკლებ მუსრს არ ავლებს უბალახობა. „მწყემსი"-ს გამგეობამ სთხოვა რადიოსადგურის უფროსს—დაუშვას მწყემსები ნავთლულის მიდამოებში სადგურისათვის მიჩენილ საძოვრებზე.

გუშინ ახალქალაქის მაზრიდან დაბრუნდა „მწყემსი"-ს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ამხ. კუხალეიშვილი, რომელმაც ახალქალაქის მაზრაში მწყემსების მდგომარეობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— ახალქალაქის მაზრის მთის საძოვრები ერთიანად თოვლმა დაფარა. ძლიერმა სიცივეებმა ცხვარი საგრძნობლად დააზარალა. არ არის ბინა, რომელსაც არ დაკლებოდეს 100—150 ცხვარი. მარტო ორ მსხვილ მეცხვარეს—**კოტე ჩარგიშვილს და პაპა ხუციურაულს** დაეღუპათ 4.000 ცხვარი.

გზათ მიმავალი მეცხვარეები უფრო დაზარალდენ ბედეთში. აქ სოფლელებს განგებ გაუფუჭებიათ ცხვრის სავალი გზა რვა ვერსის მანძილზე, რის გამო მწყემსები იძულებული იყვენ სოფლის გზაზე გაერეკათ ცხვარი. სოფლელებმა ისარგებლეს ამით და დიდ გადასახადს ახდევინებდენ მეცხვარეებს ამ გზით სარგებლობისათვის. თვითეულ მეცხვარეს ამ რვა ვერსის გავლა დაუჯდა 4—5 სული ცხვარი.

ამას გარდა, დიდი თოვლის გამო მწყემსები ვერ ავიდენ ახალქალაქის მთებზე და ცხვარი ჩააყენეს ბარის ადგილებზე, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებლებს ეკუთვნის. სოფლის მცხოვრებლები სარგებლობენ მეცხვარეების ამ განსაკუთრებული მდგომარეობით და იმდენ გადასახადის აღებას ფიქრობენ, რაც მეცხვარეების გადასახადის უნარიანობას აღემატება.

ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულების ძალით, წელს 10.000 სული ცხვარი გადარეკილი იქნება ოსმალეთის ტერიტორიაზე. მაგრამ ეს მაინც ვერ განელებს საძოვრების კრიზისს, რადგან საქართველოში მაინც რჩება 200.000 სული ცხვარი უბალახოდ.

საზოგადოება „მწყემსი"-ს ჯერ-ჯერობით ცნობები არ აქვს მიღებული თუშეთიდან, სადაც ამ უკანასკნელ ხანებში დიდი თოვლი მოვიდა.

◆

საქართველოს 9-წლედების მუშაკთა კონფერენცია

მესამე დღე.

სასოფლო-სამეურნეო განხრა მე-9 წლედებში.

სასოფლო-სამეურნეო განხრის სექციის სახელით 26 მაისის საღამოს სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. **სალარაძემ.** მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ყველაზე უფრო მკვიდრი ნიადაგი ჩვენს სასოფლო მეურნეობის ქვეყანაში აქვს 9 წლედებს სასოფლო-სამეურნეო განხრით. ამ დებულების სისწორე დაამტკიცა ერთი წლის გამოცდილებამ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მიმდინარე წლის დამდეგს სასოფლო-სამეურნეო განხრა მიეცა სულ 8 სასწავლებელს. მიუხედავად ნივთიერი სივიწროვისა და მატერიალური საშუალებათა უქონლობისა, ასეთი ტიპის ცხრა წლედებმა მაინც შესძლეს სათანადო მუშაობის წარმოება და მკვიდრი საძირკველი დაუდვეს სასოფლო-სამეურნეო განათლებას 9 წლედებში.

სასოფლო-სამეურნეო განხრის თვითეულ ცხრა წლედს სამოსწავლო წლის დასაწყისშივე დაეთმო პრაქტიკული მუშაობის საწარმოებლად მიწის ნაჭერი, რომლის ზომა ერთგვარათ არ იყო ყველა სასწავლებლებისათვის. ალაგ მიწის ზომა უდრიდა ერთ დესეტინას, ალაგ კი—მეტს. საწარმოო საშუალებიდან უმთავრესად იხმარებოდა მარტივი სასოფლო-სამეურნეო იარაღები. იშვიათ შემთხვევაში გაუმჯობესებული ტეხნიკური იარაღებიც. (მაგ., ხონის 9 წლედში მუშაობა სწარმოებდა ტრაქტორის საშუალებით). 9 წლედისათვის მოზომილი მიწის ნაჭერი იყოფოდა ორ ნაწილად: ერთზე სწარმოებდა საცდელი მუშაობა, ხოლო მეორეზე ეწყობოდა სანიმუშო-საჩვენებელი კულტურა. გარდა იმისა, რომ სასწავლებელში მოწაფეები ღებულობენ პრაქტიკულ ცოდნას სასოფლო-მეურნეობის სხვადასხვა დარგში სასოფლო-სამ. განხრის 9 წლედები სას.-სამეურ. კულტურის გამავრცელებლის როლსაც ასრულებენ გლეხურ მეურნეობაში. ახლომახლო სოფლის გლეხები პირველად ნახულობენ 9 წლედების პრაქტიკულ მუშაობას, ეცნობიან მეურნეობის წარმოების გაუმჯობესებულ წესებს და მათთვის საინტერესო შეკითხვებზე ღებულობენ სათანადო პასუხს სამეურნეო მუშაობის ხელმძღვანელ მასწავლებელ აგრონომებისაგან. ამგვარად სასოფლო-სამეურნეო განხრის 9 წლედი არა მარტო მოწაფეთა აღმზრდელია, იგი ამავე დროს სამეურნეო კულტურის გამავრცელებელიც არის სოფლელ მოსახლეობაში. მომავლისათვის ზემოხსენებული ტიპის 9 წლედებში მუშაობის გასაუმჯობესებლად სექცია საჭიროდ სცნობს მარტივი იარაღების—ევროპიული სასოფლო-სამეურნეო იარაღებით შეცვლას, ხელფასის მომატებას სპეციალისტ-მასწავლებლებისათვის და პრაქტიკულად მომაცადინე ჯგუფების რიცხვობრივ შემცირებას.

ამავე სხდომაზე ფრიად საინტერესო მოხსენება იქნა მოსმენილი.

საგარეჯოს სასოფლო-სამეურნეო ცხრა წლედის შესახებ.

საგარეჯოს სასოფლო-სამეურნეო განხრის ცხრა წლედი შეიძლება სანიმუშოდ ჩაითვალოს მთელს რესპუბლიკაში. სასოფლო-სამეურნეო განხრას არსად ისეთი ნაყოფი არ გამოუღია, როგორც საგარეჯოს ცხრა-წლედში. ამ გარემოების მიზეზი არის საქმის კარგი დაყენება და შემდეგ თბილისის განათლების განყოფილების განსაკუთრებული ყურადღება (ნივთიერი დახმარება) ამ 9 წლედისადმი. 9 წლედში პრაქტიკულად გავლილი ყოფილა სასოფ.-სამეურნეობის შემდეგი დარგები: მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, მევენახეობა, მებაღეობა და სხვა. მოწაფეებს გამოცდილი აგრონომის ხელმძღვანელობით საკუთარი ძალებით გაუშენებიათ საადრეო ბოსტანი, ნამყენი ვაზის სანერგეები, ჩინებულად შეუსწავლიათ ვაზის და ხეხილის დამყნა და სხვა. ამჟამად საგარეჯოს 9-წლედს მეურნეობის დარგში იმდენი აქვს გაკეთებული, რომ მიმდინარე წლიდან უკვე ექნება მნიშვნელოვანი შემოსავალი.

მოხსენებათა გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კონფერენციამ დაადგინა მოაწყოს დელეგატთა ექსკურსია საგარეჯოს 9-წლედში.

◆

ინჟენერ-ჰიდრავლიკოსთა თათბირი

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველომ 27 მაისისათვის მოიწვია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მომუშავე ინჟენერ-ჰიდრავლიკოსთა თათბირი.

სხდომის გახსნა

საღ. ექვს საათზე. თათბირი გახსნა წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ამხ. **ნ. ბახტაძემ.**

დღის წესრიგის მიღების შემდეგ, თათბირი შეუდგა მოხსენებების მოსმენას. სულ დღის წესრიგში სდგას 4 საკითხი. 1) მოხსენება სამგორის ველის მოსარწყავ სამუშაოთა წარმოებასა და პროექტზე, 2) საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშაობა მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში და მომავალი პერსპექტივები, 3) მოხსენებანი ადგილებიდან, 4) მიმდინარე საკითხები. მიმდინარე საკითხებში განხილულ იქნება: ა) წყალთა მეურნ. სამმართველოს სტრუქტურა, ბ) საორგანიზაციო მუშაობა და გ) ანგარიშების ჩაბარების წესი.

პირველ საკითხზე, სამგორის ველის მორწყვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ინჟ. **ფირალიშვილი.**

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო სხვადასხვა გეგმებს, განიხილა ისინი დაწვრილებით და აღნიშნა, რომ არხის გაყვანის შემდეგ იქ შეიძლება ბევრნაირი ძვირფასი კულტურების განვითარება, როგორც მაგალითად, მეაბრეშუმეობის, მებაღეობა-მებოსტნეობის, პურეულის და სხ.

მომხსენებელს მისცეს მრავალი სხვადასხვა ტეხნიკური ხასიათის შეკითხვები. შეკითხვების პასუხის გაცემის შემდეგ სამგორის ველის გეოლოგიურ პირობების შესახებ განმარტებითი მოხსენებით გამოვიდა პროფ. ჯანელიძე.

მოხსენებების გარშემო გაიმართა კამათი.

წითელ ჯარში

სათადარიგო მეთაურთა სა მოსწავლო შეკრებისათვის

მიმდინარე წლის 1-ლ ივნისიდან დაიწყება სათადარიგო მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის სამოსწავლო შეკრება, რომელიც გაგრძელდება ექვს კვირას. თანახმად სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს ბრძანებისა, შეკრებაზე გაწვეულ იქნებიან ამიერ კავკასიის მთავარი ეროვნებები: სომხები, ქართველები და აზერბეიჯანელები.

ყველა გაწვეულნი განაწილებულ იქნებიან ჯარის საბანაკო ადგილებზე მიწერილ ნაწილის გვარეობის მიხედვით (მსროლელი, არტილერია, ცხენოსანი, საინჟენერო).

სამოსწავლო შეკრებას მიზნად აქვს გასინჯვა ჯარში სამსახურის დროს შეძენილ ცოდნის და შეთვისება ახალი საკითხების, რომლებიც არიან დაკავშირებულნი ტერიტორიალურ სისტემასთან.

ეს გამოწვეულია იმ მოსაზრებით, რათა სათადარიგო მეთაურნი არ ჩამორჩენ ჯარის ცხოვრებას და ჰქონდეთ კავშირი ყაზარმასთან.

რომ შეკრებამ გაამართლოს თავისი მიზანი და დანიშნულება, საჭიროა რომ ყველა მეთაური, რომელსაც ეხება შეკრება, გამოცხადდეს შეკრების ადგილას თავის დროზე. აქ საჭიროა დახმარება სამოქალაქო ორგანიზაციების. ყველა დაწესებულებები მიიღებენ გაწვეულ ამხანაგების სიებს, და მიღებულ უნდა იქნეს ზომები, რომ აღნიშნული ამხანაგები დროზე განთავისუფლდენ სამსახურიდან და გამოცხადდენ წერტებზე.

რაც შეეხება მატერიალურ დახმარებას, უმუშევრებს და გაწვეულ ამხანაგების ოჯახებისთვის გადადებულია თანხები დახმარების აღმოსაჩენად და მეთაურთა უზრუნველსაყოფად სწავლების დროს.

ე. ხუციშვილი.

ახალწვეულთა მოსამზადებლათ

ქართ. მს. დივიზიის სამხ.-სამეცნიერო საზოგადოებამ დაადგინა ჩაატაროს ფართო კამპანია ახალწვეულთა მოსამზადებლათ სამხედრო-სამეცნიერო დარგში. ამ მიზნით დაარსდებიან წრეები, რომლებიც გამოიმუშავებენ მეცადინეობის გეგმას.

პროგრამებში უმთავრესად შევლენ შემდეგი საკითხები: წითელი არმია, მისი მიზანი და ამოცანები, წრევანდელი ტერ-შეკრების მნიშვნელობა, სამხ.-სამეცნიერო საზოგადოების და ავიაქიმის მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის დაცვის საქმეში, მომავალი ომების ხასიათი, ტეხნიკური საშუალებების მნიშვნელობა მომავალ ომებში, ფიზკულტურა და მისი მნიშვნელობა ჯარის მომზადების საკითხში და სხ.

წრეებმა უშუალო დამოკიდებულება უნდა იქონიონ სოფლებში არსებულ სამხედრო კუთხეებთან განსაკუთრებით იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ახალწვეულები სამხედრო სწავლებაში იქნებიან.

ფიზკულტურა ჯარში

ფიზიკურ ვარჯიშობას ჯარის ნაწილებში არასოდეს არ ჰქონებია მიქცეული ისეთი დიდი ყურადღება, როგორც დღეს. ფიზიკური აღზრდა მეცადინეობის ქვა კუთხედათ შეიძლება ჩაითვალოს. ჯანსაღი და მტკიცე ნებისყოფის მქონე მეომრის და მოქალაქის აღზრდა — აი რა უდევს საფუძვლად წითელარმიელის აღზრდის საქმეს.

წითელარმიელებსაც შეგნებული აქვთ ფიზკულტურის დიდი მნიშვნელობა და მას დიდის სიყვარულით ეკიდებიან. ეს იქიდან სჩანს, რომ თავისუფალ დროს ისინი სავარჯიშო იარაღებზე მეცადინეობენ.

მართალია ჯერ-ჯერობით კიდევ ბევრი არის გასაკეთებელი ამ დარგში, საჭიროა გამოცდილ ინსტრუქტორთა კადრის შექმნა, რა მხრივაც ჯარის ნაწილები დღეს ნაკლებობას განიცდიან, მაგრამ ისეთი ენერგიული მუშაობის გაგრძელებით, როგორიც სწარმოებს ამჟამად, ყოველი დაბრკოლება დაძლეული იქნება და ჩვენი წითელი ჯარი დაუბრუნებს სოფელს არა მარტო წერა-კითხვის მცოდნე, არამედ ფიზიკურად ჯანსაღ და მტკიცე ნებისყოფის მქონე ახალ თაობას.

ტ.

სამხედრო მუშაობა სოფლად

დღეს მთელ საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად მოგვეპოვება სამხედრო კუთხეები. არ არის არც ერთი სოფელი, რომლის ქოხ-სამკითხველოში არ იყვეს ჩამოყალიბებული და ამუშავებული სამხედრო კუთხე.

წითელი ჯარის ნაწილების ბანაკად გასვლის შემდეგ სამხედრო კუთხეების რიცხვი შესამჩნევად გაიზრდება, ვინაიდან ჯარის საზაფხულო მუშაობის გეგმაში პირველი რიგი უკავია გლეხების გასამხედროების საქმეს.

ეს მუშაობა მისი შინაარსით ნაწილდება სამ დარგათ: 1) სამხედრო-პოლიტიკური, 2) სამხედრო-სპეციალური და 3) ფიზიკური მომზადება.

პირველი დარგის მიზანია სამხედრო საკითხების ყოველმხრივი გაშუქება. ამის ირგვლივ სწარმოებს მოხსენებების გაკეთება, საუბრები. გაზეთების ხმა-მაღალი კითხვა და მიმდინარე კამპანიების ჩატარება. ამ მუშაობაში ჩაბმულია ადგილობრივი პარტამხანაგები და სათადარიგო პოლიტშემადგენლობა. ბევრ ადგილას მუშაობის ეს დარგი მოისუსტებს, რადგან არ არიან მომზადებული ამხანაგები, რომლებსაც შეეძლოთ გაუწიონ ხელმძღვანელობა მას.

სამხედრო-სპეციალურ დარგს განაგებენ სამხედრო წრეები. თითქმის ყველა კუთხეში არსებობს სამხედრო წრე. წრეებში ისწავლება წითელი ჯარის ორგანიზაციის საკითხები, მისი ისტორია, ბრძოლები. ეცნობიან აგრეთვე ჯარის სხვადასხვა ნაწილებს, მათ დანიშნულებას და საბრძოლო საშუალებებს.

საპატიო ადგილი უჭირავს მუშაობაში სასროლო საქმეს და კერძოთ შაშხანას შესწავლას. ხშირად ეწყობა შეჯიბრება სროლაში, რაც მთავარი საგიტაციო საშუალებაა მოსახლეობის მისაზიდათ სამხედრო კუთხის მუშაობაში.

ბოლო ხანებში სამხედრო კუთხეებთან არსდება „ავიაქიმი"-ს განყოფილებები. აქ სწარმოებს გაცნობა „ავიაქიმი"-ს მნიშვნელობასთან ბრძოლის დროს, სწავლობენ აგრეთვე წიღბების მოხმარას.

რაც შეეხება მუშაობის მესამე დარგს—ფიზიკურ აღზრდას—უნდა ითქვას, რომ იგი ვერ არის დაყენებული კარგათ. ამის მიზეზია მომზადებულ ამხანაგების უქონლობა. ფიზიკურ აღზრდის მნიშვნელობა კი დიდია; სამხედრო კუთხეში მისი სალ ნიადაგზე დაყენება გააადვილებს სწავლების საქმეს ყაზარმაში.

საზაფხულო პერიოდი გამოყენებულ იქნება აღნიშნულ ნაკლების გამოსასწორებლათ.

მიქცეული აქვს ყურადღება სამხედრო კუთხეების გამგეების მომზადებას. მომზადება იწარმოებს ადგილებზე ჯარის ნაწილების მიერ.

ე. ხ—ი.

◆

სას.-სამ. გამოფენა

ნიაღვარის შედეგები

უკანასკნელ დღეებში მოსულ ძლიერ წვიმების გამო ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორია საშინლად ატალახდა; ნიაღვარმა საგრძნობლად დააზიანა გზები და ყვავილნარები.

მანქანები არ დაზარალებულა, რადგან სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების დიდი უმეტესობა მოთავსებული იყო პავილიონებში და ფარდულების ქვეშ. ის მანქანები და იარაღები კი, რომლებიც მოთავსებული იყო ღია პლატფორმებზე, წვიმების დროს დახურული იქნა ბრეზენტებით.

გამოფენა გაიხსნება კვირას

გამოფენის მომწყობ კომიტეტის მიერ მიღებულია ზომები გამოფენის ტერიტორიის გასაწმენდათ და სათანადოთ მოსაწყობად. გამოფენა გაიხსნება კვირას, 30 მაისს. დილის 11 საათზე.

სატყეო მეურნეობა

სიღნაღის სამაზრო აღმასკომი თანდათან აფართოებს სხვადასხვა წარმოებების აგების საქმეს. ამჟამად მაზრაში მოიპოვება რამოდენიმე კომუნალური წარმოება, რომლებიც საკმაო შემოსავალს აძლევენ აღმასკომს.

ამჟამად სიღნაღის აღმასკომის წინაშე სდგას მორიგი სამშენებლო საკითხი, ეს არის ხე-ტყის სახერხ ქარხნის აგება.

თავის უკანასკნელ სხდომაზე აღმასკომმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა თბილისის კომუნალურ ბანკის სიღნაღის განყოფილების წინაშე, რომ ქარხნის ასაგებათ ბანკის განყოფილებიდან აღმასკომს მიეცეს გრძელვადიანი სესხი 15 ათასი მანეთის რაოდენობით.

ხე-ტყის ქარხანა დიდათ ხელს შეუწყობს მაზრის ეკონომიურად აღორძინებას.

საგლეხო სესხი

ახალი სერიების გამოშვება.

მეორე საგლეხო სესხის სარეალიზაციოთ გამოშვებული იყო ობლიგაციების შვიდი სერია, რომლებიც უკვე გაიყიდა მთლიანად; ობლიგაციებზე მოთხოვნილების სრულიად დაკმაყოფილების მიზნით საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი ახლო ხანში დამატებით გამოუშვებს კიდევ ორ სერიას.

აღნიშნული სერიების მთავარი დანიშნულებაა ობლიგაციების მოთხოვნილების დაკმაყოფილება, უმთავრესად, საგლეხო სესხის მესამე ტირაჟის დროს, რომელიც დაიწყება მიმდინარე წლის 13 ივნისს ქალაქ სვერდლოვსკში (ყოფ. ეკატერინბურგი).

გათამაშებული იქნება 1.125.000 მანეთი მოგებათა შემდეგი განაწილებით: 9 მოგება თვითეული 5.000 მანეთი, 45 მოგება თვითეული 1.000 მანეთი, 225 მოგება თვითეული 500 მანეთი, 450 მოგება თვითეული 100 მანეთი, 6.300 მოგება თვითეული 50 მანეთი და 22.500 მოგება თვითეული 25 მანეთი.

28 ივნისამდე ობლიგაციები შეღავათიან ფასებში გაყიდული იქნება ყველა საკრედიტო დაწესებულებებში.

◆

ჯანმრთელობის საქმე

თათბირი საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატში.

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში შესდგა მთავარ ექიმების და ცენტრალურ საჩვენებელ-სამკურნალო დაწესებულებების მეურნეობის გამგეთა თათბირი. თათბირმა მიიღო მთელი რიგი დადგენილებებისა, რომლებიც შეეხება სარემონტო-საალმშენებლო მუშაობას მომავალი საბიუჯეტო წლისათვის სამკურნალო დაწესებულებებში.

ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტში გადაკეთებულ იქნება ამბულატორიები, მოხდება სხვადასხვა განყოფილებათა შეკეთება და სხვა.

ფიზიოთერაპევტიულ ინსტიტუტში, სამეანო-გინეკოლოგიურ ინსტიტუტში, ფსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში და ქიმიურ ლაბორატორიაში მოხდება შენობათა შეკეთება. საფუძვლიანად შეკეთდება აგრეთვე ბათომისა და ფოთის კარანტინების შენობები. ფოთში შეკეთებული იქნება ტუბერკულიოზის დისპანსერი..

მაზრებში განზრახულია აგებული იქნეს ექვსი სანიტარული აბანო.

გაყვანილი იქნება აგრეთვე ციებ-ცხელებიან ადგილებში წყალსადენები.

◆

ქარხნის გადატანა

საქართველოს უმაღლესმა ეკონომ. საბჭომ დაამტკიცა საქ. სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს შუამდგომლობა ზოგიერთი სახერხი ქარხნების თბილისიდან მცხეთაში გადატანის შესახებ. ქარხნების გადატანა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ზაჰესის დამბების აშენების შემდეგ მდ. მტკვარზე ტივების მოძრაობა შეწყდება.

◆

ქუჩის გაფართოვება

თბილისის აღმასკომი დიდი ხანია აპირებს კომინტერნის (ყოფ. სასახლის) ქუჩის გაფართოებას. ამის გარშემო ყოველგვარი მასალები გადაეცა დასამუშავებლათ აღმასკომის საგეგმო კომისიას.

საგეგმო კომისიამ დაამუშავა ქუჩის გასაფართოებლათ ინჟენერ-არქიტექტორების მიერ წარმოდგენილი გეგმები. ასეთი გეგმის ერთი ვარიანტით გადაწყვეტილია ქუჩის ორივე მხარეზე ძველი შენობების აღება და ახლების ისე შეკეთება, რომ ქუჩა გაფართოვდეს.

უკანასკნელით საგეგმო კომისიას გადაეცა განსახილველად ინჟ. ხაჩატუროვის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ზომებს: აღებული იქნება ქუჩის ორივე მხარეზე შენობები კი არა, არამედ მარტო დარაბები. დარაბების ადგილზე გაკეთდება ფართო ქვაფენილები ფეხით მოსიარულეთათვის, ხოლო ახლანდელი ქვაფენილების ტერიტორიით გაფართოვდება ქუჩის სიგანე. ახალი ქვაფენილები დახურული იქნება შენობის თაღებით და დარაბები შიგნით შეიწევიან.

უკანასკნელ ვარიანტს საგეგმო კომისია განიხილავს ახლო ხანში.

მუშათა ცხოვრება

საინტერესო ლექცია.

გუშინ, 27 მაისს, მე-3-ე საცდელ-საჩვენებელ ტეხნიკუმში ექიმ **აბაკელიამ** წაიკითხა ლექცია ტუბერკულიოზთან ბრძოლის შესახებ. ლექციაზე ტეხნიკუმის გამგის ამხ. ფირცხალავას და მასწავლებელთა ინიციატივით მოწვეული იყვენ მოწაფეთა მშობლები, რომლებიც საკმაო რიცხვით დაესწრნენ ამ მეტად საყურადღებო და საინტერესო ლექციას.

ამხ. აბაკელია დაწვრილებით შეეხო იმ მიზეზებს, რომლებიც იწვევენ ტუბერკულიოზის გავრცელებას ადამიანის სხეულში და რა ზომებია საჭირო მასთან საბრძოლველად. უმთავრესი ყურადღება, ლექტორის აზრით, უნდა მიექცეს სანიტარულ-ჰიგიენურ მხარეს თვითეულ ისეთ ოჯახში, სადაც ეს ჰიგიენა თითქმის არ არის დაცული, რაც ხელს უწყობს ტუბერკულიოზის გავრცელებას.

ლექციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მხრითაც, რომ ლექტორმა მოუწოდა მოწაფეთა მშობლებს და განუმარტა მათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტუბერკულიოზთან ბრძოლას როგორც სახელმწიფოებრივ, ისე საზოგადოებრივი თვალსაზრისით.

შემდეგ ნაჩვენები იქნა ლექტორის მიერ ტილოზე მთელი რიგი ავადმყოფ ბავშვთა და მოზრდილებისა და ის მეთოდები, რომლითაც არჩენენ ჭლექით დაავადებულთ.

ეხლა საერთოდ ტეხნიკუმებში საბჭოთა წესწყობილების წყალობით, უმთავრესად მუშა-მოსამსახურეთა ბავშვები სწავლობენ და საჭიროა, რომ ასეთი ლექციები ხშირად იმართებოდეს, რათა ადვილი გახდეს ბრძოლა საერთო ძალით ამ საშინელ სენთან—ჭლექთან.

ულრმესი მადლობა ექ. აბაკელიას და მე-3-ე ტეხნიკუმის გამგეს ამხ. ფირცხალავას ასეთი ლექციის მოწყობისათვის.

მშობელი ჯ.

„კომუნისტი"-ს მუშკორებში

ჩვენი რედაქციის ბინაზე 26 მაისს მუშკორთა კრებაზე, სხვათა შორის მუშა-მსახიობმა გიორგი ჯაბაურმა, გააკეთა მოხსენება სოფელ **ლამისყანაში** (გორის მაზრა) ამხ. ფილიპე მახარაძის სახელობის კომუნის დაარსების შესახებ. 14 კომლმა, რომელშიაც ითვლება 60 სული, გააერთიანეს თავიანთი ქონება და საერთოდ დაიწყეს მუშაობა ერთის ძალღონით ერთ შენობაში.

მუშკორთა კრება სალამს უძღვნის გლეხების ერთად შეკავშირებას და ძმურად მუშაობას და უსურვებს მათ სრულ გამარჯვებას.

მუშკორი გ.

მუშებს ასეთი მასწავლებლები არ გამოგვადგებიან

ქართულ ცენტრალურ მუშფაკში 70 მასწავლებელია და მსმენელი კი 1.200. წარსულ წლებში სწავლა უფრო ნაყოფიერი იყო, ვიდრე წელს. ეს იმით აიხსნება, რომ მუშფაკის ზოგიერთი მასწავლებელი სხვა საქმეებით არის დატვირთული და მას, დაღლილს, უხდება მუშფაკში ლექციის კითხვა.

ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის მოწაფე ახსნილ საგანს ვერ ითვისებს. ხმამაღლა დაყვირებით მიმართავს: „გინდ გეიგე და გინდ ნუ გაიგებ"-ო! ასე უპასუხებს ნერვებ-აშლილი ლექტორი. ეხლა უკვე მოაწია გამოცდების ჩაბარებებმა. სამწუხაროდ ამ გამოცდებს წელს მუშფაკის მასწავლებლები ძლიერ დაუკვირვებლად ეპყრობიან და მათ სრულებით აღარ ახსოვთ, რომ მუშფაკში სწავლობენ უბრალო მუშები და გლეხები.

მსმენელებს აშინებენ და წინასწარ ეუბნებიან, რომ „ამა თუ იმ ჯგუფიდან ვერ გადავლენ სამ წელიწადსო. მართლაც ასე ხდება: გადის მსმენელი გამოცდაზე და ის წინასწარ დაშინებით იბნევა და ვერც აბარებს გამოცდებს.

ზოგი მასწავლებელი ასეთი სიტყვებით მიმართავს ჯგუფს, რომელშიაც 40 მსმენელი სწავლობს: **„ამ ჯგუფიდან მხოლოდ—10 ან 11 კაცი გადახვალთ"-ო.**

რას ნიშნავს ასეთი მუქარა?—ასეთი წინასწარი დაშინება?!!

თუ 40 მსმენელისაგან მხოლოდ 10 გადავა შემდეგ ჯგუფში, ეს ვისი ბრალი იქნება?

მე ვფიქრობ, რომ აქ მასწავლებელსაც მიუძღვით ბრალი და არა მარტო მუშებს. გამოცდებში სისასტიკე დაუშვებელია. ეს ეწინააღმდეგება მუშათა ინტერესებს.

მუშა მალაროელი.

ალაგმეთ ეს „მაუზერისტი".

(აჭარისტანის შინსახკომის საყურადღებოდ)

პარასკევს, 21 მაისს, სადგურ ნატანების ბუფეტში ადგილი ჰქონდა შემდეგ აღმაშფოთებელ შემთხვევას:

სოფლიდან ქალაქს მომავალ ს. ბახვის მცხოვრებს, ხანში შესულ მშვიდსა და პატიოსან სოფლის მშრომელს, ერმალო პავლეს ძე მახარაძეს, სრულიად უმიზეზოდ მივარდა ასე ოცი, ოცდა ოთხი წლის ახალგაზრდა, ლადიკო დიმიტრის-ძე დოლიძე, (მუშაობს ბათომში), რომელმაც რევოლვერზე ხელის მოვლებით ჯერ დააშინა მახარაძე, ხოლო შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა ხელით. ასეთი თავისი ყოვლად გაუმართლებელი მხეცური საქციელით მოქ. დოლიძემ გამოიწვია იქ დამსწრე გაოცებული ხალხის ზიზღი და გულისწყრომა, გარდა ვიღაც მილიციელისა, რომელიც დოლიძეს მხარს უმშვენებდა და, როგორც ეტყობოდა, აქეზებდა კიდეც ასეთი საქციელისათვის მაშინ, როცა მას, პირიქით, თავისი თანამდებობის შესაფერი ზომა უნდა მიეღო და გამხეცებული დოლიძე უნდა შეეჩერებინა.

ასეთი პირები, საბჭოთა წყობილების შესარცხვენად და მოქალაქეთა დასაშინებლათ იარაღსაც კი არ უნდა ატარებდეს და საზოგადოთ არავითარი დამოკიდებულება მათ არ უნდა ჰქონდეთ რაიმე თანამდებობა-სამსახურთან.

შემთხვევით დამსწრე.

საჭიროა ამის მოგვარება.

თბილისის საყუდში არსებობს ეგრედ წოდებული სარევიზორო ოთახი, სადაც მორიგეობენ ორთქლმავალთა მიმოსვლის რევიზორები. ამ ოთახში მუდამ ხმაურობაა, რადგანაც მთელი დღის განმავლობაში ორთქლმავალთა ბუნდები სამსახურის გამო მიდი-მოდიან, ღებულობენ სხვადასხვა ცნობებს, კითხულობენ განწესს („ნარიადებს"), განკარგულებებს და სხვა.

ამავე ოთახში მოთავსებულია ორთქლმავალთა ბუნდების განმრიგებელი ამხ. თოთაძე. რომელსაც ფრიად რთული საქმე აქვს მინდობილი: აწესრიგებს ორთქლმავალთა სწორ მიმოსვლას, ანაწილებს შვებულებებს, საათების სამუშაო ნორმას და სხვ. ამხ. თოთაძესთანაც მიდიან მემანქანენი სხვადასხვა კითხვების გამოსარკვევად, რაც ხელს უშლის საყუდის რევიზორს.

ამგვარად, სამსახურის ასრულების დროს რევიზორი და განმრიგებელი ერთმანეთს ხელს უშლიან მუშაობაში. საყუდში კი არის ოთახი, რომელიც ეკუთვნის განმრიგებელს, სადაც ის ერთგულად და მყუდროდ იმუშავებს და არც მას და არც ის სხვას ხელს არ შეუშლიან მუშაობაში.

კარგი იქნებოდა ამხ. თოთაძეს ჰქონოდა ის ოთახი, რომელშიაც ეხლა საქმეთა მმართველი ბუტკოვსკი ზის და კანტორის მუშაობის ზედამხედველობას მოშორებულია.

მუშკორი გაბო ბას—აშვილი.

პასუხად ამხ. „გუგუნას"

(იხ. „კომუნისტი" № 79)

1-ლ რაიონულ ამბულატორიის (ტრამვაის პარკთან) შენობის შესახებ ბევრჯელ ყოფილა აღძრული საკითხი, როგორც პრესაში, ისე დაინტერესებულ ორგანოებშიაც. თბილისის დამზღვევ კასის არჩევნების კამპანიის დროსაც ყოფილა წამოყენებული მუშათა კრებებზე მოთხოვნილება 1-ლ ამბულატორიისთვის შესაფერ ბინის აღმოჩენის შესახებ, მაგრამ ქალაქში ბინის საერთო კრიზისის გამო დღემდე შეუძლებელი შეიქნა ამის განხორციელება, მიუხედავად ქვე-განყოფილების მიერ არა ერთხელ მიღებულ მისგან დამოკიდებულ ზომებისა. უკანასკნელ ღონისძიებათა შორის მოვიხსენიებთ შემდეგს:

ქვე-განყოფილებამ აღძრა შუამდგომლობა აღმასკომის წინაშე გადმოეცა 1-ლ ამბულატორიის ბინისთვის მე-10 რაიონში მდებარე ერთ-ერთი დაუმთავრებელი შენობა. როგორც „უქსი"-ს სამმართველოს მომართვიდან სჩანს, ზემოაღნიშნულ შენობის პატრონს მიღებული აქვს წინადადება 3 თვის ვადაში დაამთავროს ეს შენობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეს შენობა ჩამოერთმევა. რასაკვირველია, ეს საკითხს ვერ სწყვეტს; საჭიროა სხვა მიმართულებითაც იქნეს მუშაობა გაცხოველებული.

ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია უფრო მეტი ყურადღება ექნეს მიქცეული 1-ლ ამბულატორიას ბინის შოვნის საქმეში. ქვე-განყოფილებისათვის ეს საკითხი მუდამ პირველ რიგში იდგა და სდგას და აღმასკომი მას უწევს შეძლების და გვარად ანგარიშს.

აღმ. ჯანმ. ქ.-განყოფილება.

გამოგზავნილი წერილებიდან

ჩვენი მუშების საყურადღებოდ

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს და რესპუბლიკის სოც.-დაზღვევის სამმართველოს დადგენილებით მუშათა ყველა დასასვენებელი სახლები გაიხსნება ა. წ. პირველ ივნისს.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ და რესპუბლიკის სოცდაზღვევის სამმართველომ წინადადება მისცეს საქართველოს ყველა პროფორგანიზაციებს და დამზღვევ სალაროებს, რომ დასასვენებელ სახლებში მოთავსებული მუშა-მოსამსახურენი თავის დროზე გაგზავნონ.

— **სპეცტანსაცმლებს არ გვაძლევენ.** რკინისგზის ბევრ მუშა - მოსამსახურეთათვის დღემდე არ მიუციათ სპეცტანსაცმლები და არც საკომპენსაციო ჯილდო, ამიტომ თვით რკინისგზელები იძულებული ხდებიან იყიდონ თავის ფულზე ასეთები და იმით იმუშავონ. ეს მოვლენა ყოვლად მიუღებელი და შეუწყნარებელია.

უბკავშირო, მიიღე გადამჭრელი ზომები!

მუშა-რკინისგზელი.

— **საჭიროა სამუშაო ნორმის გადასინჯვა.** ეკონომიის რეჟიმის კამპანიასთან ერთად აუცილებლად საჭიროა გადასინჯულ იქნას სამუშაო ნორმები. არის ისეთი წამოწყება-დაწესებულებები, რომლის მუშა-მოსამსახურენი (მაგ., რკინისგზა, მთავარ სახელოსნოს სამქროები და სხვ.) ძალზე დატვირთული არიან სამუშაოთი, ზოგიერთ წამოწყებებში კი მუშა-მოსამსახურეები არ არიან დატვირთული სამუშაოთი, როგორც წესი და რიგია. ეს ასე არ უნდა ხდებოდეს. ნორმების გადასინჯვაში უნდა მიიღონ მონაწილეობა თვით მუშა-მოსამსახურეებმა თავიანთი წარმომადგენლების სახით.

მუშა სიმართლის მთქმელი.

— **საწარმოო თათბირები სუსტად მუშაობენ.** საწარმოო და ეკონომ-თათბირებს აქვთ უდიდესი მნიშვნელობა წარმოების შესწავლისა და გაჯანსაღებისათვის. მიუხედავად ამისა, ესენი თითქმის ყველგან სუსტად მუშაობენ; ზოგიერთ წამოწყება-დაწესებულებებში კი დღესაც ასეთები არ არსებობენ. საჭიროა ჩვენმა უმაღლესმა პროფორგანოებმა გამოაცოცხლონ საწარმოო და ეკონომ-თათბირების მუშაობა.

მუშა კეთილი.

— **უნდა აიკრძალოს.** ხშირია ასეთი მოვლენა, როდესაც ამა თუ იმ წამოწყება-დაწესებულების ხელმძღვანელი მუშა - მოსამსახურეს აძლევს დატვირთვის ჯილდოს და მასთან აიძულებს მას იმუშაოს მანამდე, სანამდის სამუშაო დამთავრდებოდეს; ამუშავებს აგრეთვე კვირა-უქმე დღეებში განუწყვეტლად და არ ასვენებს. ეს ნიშნავს ბოროტებას, შრომის კანონების დარღვევას და ამას უნდა მოეღოს ბოლო.

შრომის ინსპექციავ, მიიღე სათანადო ზომები!

მუშა გონიერი.

— **ესეც ბოროტებაა.** მუშა-მოსამსახურეების მიღება-დათხოვნის დროს ბევრ ბოროტებას აქვს ადგილი. ხშირია ასეთი ფაქტები, როდესაც იღებენ მუშა-მოსამსახურეს „ნათლიმამობით", „ნათესაობითი თვალსაზრისით", „ნაცნობობით" და სხვა და ითხოვენ სამსახურიდან კერძო, პირადი ინტრიგანობის და ინტერესების გამო, უყენებენ რა მათ განზრახ სხვადასხვა ბრალდებებს.

შრომის ინსპექციამ და პროფორგანოებმა უნდა მიიღონ სასტიკი ზომები ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად.

მუშა პა—ნოვი.

— **შოფერის თავგასულობა.** თბ. ქალაქის ტრამვაის პარკში შოფერად მსახურობს ვართან ოთაროვი. ეს ვაჟბატონი ხშირად ილეშება ღვინით და იკლებს იქაურობას ლანძღვა-გინება, ჩხუბი, სხვის პიროვნების შეურაცხყოფა და სხვა მან ჩვეულებად აქცია.

მილიციავ, მოიყვანე გონზე ეს თავხედი ვინმე.

ბ.—ლური.

მუშა კოსტა გ—შვილი.

— **ჩვენც ვეხმარებით ინგლისის მუშებს.** 12 მაისს სად. გომში შედგა მთელი რაიონის მუშა-მოსამსახურეთა მასიური კრება ადგილობრივი პროფკავშირების ხელმძღვანელობით. კრებამ მოისმინა მოხსენება ინგლისის მუშების გაფიცვის შესახებ და ერთხმად დაადგინა მათ სასარგებლოდ გაიღოს თავის დღიური ხელფასი.

გომელი კ.—იძე.

რკინის გზებზე

წვიმების გამო

26 მაისს საღამოთი სადგ. ალაგეზის (სომხეთის ხაზი) ახლო ძლიერი წვიმების გამო ხაზი ორი საათით დაიქეტა.

ორთქლმავალის გადავარდნა

26 მაისს ღამის 3 საათზე სადგ. ანში სახალხო მატარებლის № 4 ორთქლმავალი მანევრის დროს ასცდა ლიანდაგს ყველა გოგრებით.

ამის გამო მატარებელი დაკავებული იქნა ოთხი საათით.

რკინისგზელთა ყრილობა

პირველ ივნისს ლენინაკანში (სომხეთი) იხსნება ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა მე-6-ე ყრილობა. ყრილობაზე დასასწრებლად მთელ ამიერ-კავკასიის რკინისგზების ქსელიდან არჩეული არის 132 დელეგატი, ამათგან: 45 დელეგატი თბილისის რკინისგზელებიდანაა, 14—ხაშურის, 14—განჯიდან, 13—სამტრედიიდან. 7—ბათომიდან, 13—ლენინაკანიდან და 26—ბაქოს უბნიდან.

სტუმრების მიწვევა.

გარდა ადგილობრივ რკინისგზელებისა, ყრილობაზე ამიერ-კავკასიის რკინისგზის საგზაო კომიტეტს საპატიო სტუმრებად მოწვეული ჰყავს: უკრაინის და ჩრდილო-კავკასიის რკინისგზების საგზაო კომიტეტის, ცენტრალური გამგეობების, საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, ამიერ-კავკასიის შრომის სახ. კომისარიატის და რკინისგზელთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები.

ყრილობის დღის წესრიგი.

ყრილობაზე მოსმენილ იქნება: მოხსენება საგზაო კომიტეტის წლინახევრის მუშაობის შესახებ, სარევიზიო კომისიის ანგარიში, მოხსენება ამიერ-კავკასიის რკინისგზების საქმიანობის შესახებ, დამზღვევ სალაროს ანგარიში, ამიერ-კავკასიის რკ.-გზ. შრომის ინსპექტორის მოხსენება, ამიერ-კ. რკინისგზელთა სამომხმარებლო საზოგადოების მოხსენება და ჯანმრთელობის განყოფილების მოხსენება.

დასასრულ მოხდება არჩევნები: საგზაო კომიტეტის, სარევიზიო კომისიის, ამიერკავკასიის საგზაო დამზღვევი სალაროსი და საგზაო შრომის ინსპექციის.

რკინისგზელების კრებები.

კრება მთავარ სახელოსნოებში.

გუშინ ამიერ-კავკასიის რკინისგზების მთ. სახელოსნოებში შესდგა სახელოსნოების მუშების მრავალრიცხოვანი კრება, რომელიც მოწვეული იყო 1 ივნისს რკინისგზელთა მე-6-ე ყრილობის ლენინაკანში გახსნის გამო.

კრებაზე მოსმენილი იქნა ამხ. **საბაშვილის** მოხსენება ამიერ-კავკასიის რკინისგზის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ. მომხსენებელი უმთავრესად შეეხო კომიტეტის სატარიფო-ეკონომიურ მუშაობას და მის მიღწევებს კულტურულ-განმანათლებელ დარგში და საორგანიზაციო საქმიანობაში.

მოხსენების ირგვლივ ამხ. საბაშვილს მისცეს მრავალი შეკითხვები, რომლებზედაც მან ამომწურავი პასუხი გასცა.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლის თანახმად კრება საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმის საქმიანობას დამაკმაყოფილებლად სთვლის და მიუთითებს მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებზე.

კრება ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბში.

გუშინვე შესდგა მეორე კრება ს. ორჯონიკიძის სახელობის რკინისგზელთა კლუბში (მუშტაიდში), რომელზედაც საგზაო კომიტეტის საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ამხ. **სტეფანოვმა.**

მოხსენების დამთავრების შემდეგ კრებამ აირჩია კომისია ყრილობაზე მიმავალ დელეგატებისათვის ნაკაზის შესადგენათ.

პროფკავშირებში

აჭარისტანის ფ.-ტ. და ტელეფონის მუშაკთა კავშირში

ტელეფონის მუშაკთა კავშირში აჭარისტანის ფ./ტ. და

აჭარისტანის ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირი 287 წევრს აერთიანებს. კავშირის გამგეობა არჩეულია 1925 წ. დეკემბერში, გამგეობაში 7 წევრი შედის. ამ ხნის განმავლობაში მუშა-მოსამსახურეთა 2 საერთო კრება იყო მოწვეული. მუშა-მოსამსახურენი საერთო კრებებზე დიდ აქტივობას იჩენდენ, ოღონდ გამგეობის მუშაობის ნაკლულოვანებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამდენი ხნის განმავლობაში მან საერთო კრება მხოლოდ 2-ჯერ მოიწვია. შემდეგში ასე არ უნდა ხდებოდეს და საერთო კრებები თვეში ერთხელ მაინც უნდა იწვეოდეს.

საურთიერთო დამხმარე სალაროს ბიურო სამ თვეში ანგარიშს არ უდგენს თავიანთ ამრჩეველებს. არ შეიძლება ესეც ნაკლად არ ჩაითვალოს. შემდეგისათვის საჭიროა ამ მხარეს ყურადღება მიექცეს და საურთიერთო დამხმარე სალაროს ბიუროებმა ამრჩეველების წინაშე ანგარიში გააკეთონ სამ თვეში ერთხელ მაინც. გამგეობის სხდომები ყოველ კვირაში ერთხელაც არ იწვევა. შემდეგისთვის კვირაში ერთხელ უნდა იწვეოდეს.

სატარიფო-საეკონომიო მუშაობა

საანგარიშო ხნის განმავლობაში მოწვეულია სულ შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის სამი სხდომა, რომელზედაც 9 საკითხი გაირჩა, მათგან სამი სასამართლოს გადაეცა, რადგან მუშათა ფრაქცია ადმინისტრაციის აზრს არ დაეთანხმა.

სამუშაო ხელფასი მუშა-მოსამსახურეებს ეძლევათ თავის დროზე. მომუშავეთაგან ყველა დასაზღვეულია და განახლებული აქვთ დასაზღვევი წიგნაკი.

გამოყოფილია ბიურო, რომელსაც დავალებული აქვს ეკონომიური მუშაობის წარმოება, მაგრამ მან საქმიანობა დღევანდლამდე ვერ გააცხოველა. ბიურო უგეგმოდ მუშაობს. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს შესაფერისმა ორგანომ.

ზედმეტ საათებში მუშაობა არ სწარმოებს, შრომის დაცვის კომისია არსებობს და თვალყურს ადევნებს მუშა-მოსამსახურეთა შრომის დაცვას. ამ კომისიას კავშირი აქვს შრომის ინსპექციასთან.

მუშაობა კულტურულ დარგში

კავშირის წევრთა სამი-მეოთხედი ნაწილი იწერს გაზეთებს და ჟურნალებს. დაარსებულია წითელი კუთხე. კავშირის 46 წევრი ირიცხება ბათომის მუშათა ცენტრ. კლუბის წევრად. არსებობს ორი დრამატიული წრე. წრეები ყოველთვიურად მართავენ წარმოდგენებს. ლიტერატურული გასამართლება ეწყობა.

კავშირს საკუთარი ბიბლიოთეკა აქვს.

კავშირთან დაარსებულია აგრეთვე პიონერთა კოლექტივი.

ვ—ნი.

კულტმუშაობა პატიმართა შორის

საბჭოთა ხელისუფლებამ საპატიმროებს გამასწორებელი სახლი უწოდა და ეს სახელი სავსებით გამართლებულია. იქ ყოველი პატიმარი, გარდა იმისა, რომ სწორდება ზნეობრივათ, იხდის სასჯელს, ამავე დროს იძენს ცოდნას და საპატიმროდან გაკულტუროსნებული გამოდის.

ამიტომ სრულებით გასაკვირი არ არის, რომ როდესაც ჩვენ გამსახლებს ნახულობდენ უცხოელი დელეგატები, განცვიფრებაში მოდიოდენ იქაური წესრიგით.

ყოველ გამსახლში დღეს კულტურულ მუშაობას პატიმართა შორის უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა და ეს ანსხვავებს მას, სხვათა შორის, ძველ საპატიმროსაგან.

დასამტკიცებლად იმისა, თუ როგორი ადგილი აქვს დათმობილი კულტმუშაობას იქ, ამისათვის ავსწერთ სპეციალურ დანიშნულების იზოლიატორში (ყოფ. მეტეხი) წარმოებულ კულტმუშაობას.

აქ არსებობს: წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, თეატრი და წრეები: დრამატიული (ქართულ, რუსულ, სომხურ და თურქულ ენებზე), ფიზკულტურის, საჭადრაკო, პოლიტუცოდინარობასთან მებრძოლი და სხვა. ყველა ამათში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს. წრეებში მეცადინეობა სწარმოებს როგორც ადგილობრივი, ისე გარედან მოწვეული ძალებით. ყოველ კვირაში თითოჯერ დრამწრის საშუალებით იმართება წარმოდგენები და ეწყობა კინო, ამ დროს უკრავს სიმებიანი ორკესტრი. საერთოდ, ყველა წრეებში მუშაობა ნორმალურად და ნაყოფიერად მიმდინარეობს.

მართალია, ბიბლიოთეკა - სამკითხველოს სისტემატიურად მოსდის პერიოდული გამოცემები, მაგრამ წიგნების სიმცირის გამო მას არ აქვს საშუალება გააფართოვოს თავის მუშაობა. ეს გარემოება კი მოითხოვს სათანადო ყურადღების მიქცევას.

უნდა ითქვას, რომ თვით პატიმრებიც დიდათ არიან დაინტერესებული სწავლა-ცოდნის შეძენით და მუყაითათ მეცადინეობენ. თითქმის ყოველთვის შეხვდებით საკანში მჯდომ პატიმარს, რომელიც ამზადებს სკოლაში მიცემულ გაკვეთილს, ან კითხულობს ბიბლიოთეკიდან გამოტანილ წიგნს.

განსაკუთრებით მეტი ყურადღება კულტურულად აღზრდის საქმეში ეძლევა მოზარდ ახალგაზრდებს.

ამ რამდენიმე ხნის წინათ იზოლიატორში დაარსდა საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ პატიმრების კოლექტივი, რომელთათვისაც იკითხება ლექციები სხვადასხვაგვარ პოლიტიკურ თემებზე.

ასე რომ ვერც ერთ პატიმარს ვერ შეხვდება კაცი უსაქმოდ მჯდომს საკანში, ყოველი მათგანი რაიმე საქმით არის დატვირთული—იგი კულტმუშაობის ამა თუ იმ დარგში მუშაობს.

კულტგანათლებას იზოლიატორში საერთოდ ხელმძღვანელობს ამხ. **ურბანოვი** და პატიმართა სწავლა-აღმზრდელობითი ნაწილს—ამხ. **სიმონ ჰუმბურიძე.** ამ ამხანაგების დაუღალავი შრომა უსათუოდ აღსანიშნავია. მათ თავისი პასუხისმგებლობა ხალხისა და ხელისუფლების წინაშე უთუოდ შეგნებული აქვთ და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა საზოგადოებას დაუბრუნდეს პატიოსანი და სწავლული წევრი. პატიმართა შორის ისინი ყოველთვის სიმპატიით სარგებლობენ, და ყოველივე ამისათვის უეჭველად მადლობის ღირსნი არიან.

ტ—ა.

პროფმუშაობის ქრონიკა

რკინისგზის პროფკავშირთა საგზაო კომიტეტში.

— **ა.-კ. რკ. გზებზე სპეციალისტების მოწვევის შესახებ.** ხაზზე მომუშავე ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ პერსონალის კვალიფიკაციის სისუსტის გამო, ა/კ. რკ. გზ. საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა ურჩია გზათა სამმართველოს მიიღოს სათანადო ზომები ხაზზე მცოდნე აგენტების გასაგზავნად.

ამ მიზნისთვის სამმართველომ უნდა გამოიყენოს ცენტრში მომუშავე ადმ-ტეხნიკური პერსონალი. ეს ხელს შეუწყობს მათ ხაზზე მუშაობის სტაჟის მიღებას და ადგილებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

— **სარედაქციო კოლეგია.** რკინისგზელთა მე-6-ე ყრილობისათვის ანგარიშის დასაბეჭდათ ა/კ. საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა აირჩია სარედაქციო კოლეგია: ამხ. ამხ. კოლოსოვის, ენიკოლოპოვის, ჯორჯიაკოვის, ბზეკალავას და ეუნეუკოვის შემადგენლობით.

ქრონიკა

საბიუჯეტო წლის დასაწყისი

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით საბიუჯეტო წელიწადის დასაწყისი გადატანილია 1 იანვრისათვის.

წიგნის პალატების დირექტორების თათბირი

გასულ წელს, მოსკოვში შემდგარ საკავშირო წიგნის პალატების დირექტორების მეორე თათბირის დადგენილებით, აღნიშნულ პალატების დირექტორების მესამე თათბირი მოწვეული უნდა ყოფილიყო თბილისში.

ამ მე-3 თათბირის მოწვევის ინიციატივა მინდობილი ჰქონდა საქართველოს წიგნის პალატას, მაგრამ ტეხნიკური დაბრკოლებების გამო, რომელთა მიზეზით შეუძლებელი გახდა თათბირის თბილისში მოწვევა, საქ. წიგნის პალატა შეუთანხმდა უკრაინის წიგნის პალატას თათბირის ხარკოვში მოწვევის შესახებ.

საკურორტო აღმშენებლობა

საგეგმო კომისიამ მიიღო ხარჯთ-აღრიცხვა საკურორტო აღმშენებლობისათვის საქართველოში 268.000 მანეთის რაოდენობით.

სასოფლო-მეურნეობის აღსადგენად

საქ. უმაღლესმა ეკონომ. საბჭომ დაამტკიცა სახ. საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი საქართველოს სასოფლო-მეურნეობის აღდგენის ხუთწლიანი გეგმა.

ნორჩ პიონერთა ამ.-კავკ. ბიუროს პლენუმი

ლენინის ახალგ. კომკავშირის ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტის დადგენილებით 30 მაისს მოწვეულია ნორჩ პიონერების ამ.-კავკ. ბიუროს პლენუმი.

გამოცემულ წიგნების ნუსხა

წიგნების პალატა ამ დღეებში გამოუშვებს წიგნს, რომელშიაც მოთავსებული იქნება 1917 წლიდან საქართველოში გამოცემულ წიგნების სახელწოდებანი ფართე შენიშვნა-ანალებით წიგნის შინაარსის შესახებ.

თბ. ალმასკომში

— ავტომობილების მიმოსვლის სისწრაფე. თბ. ალმასკომის დადგენილებით ქუჩებში ნორმალური მიმოსვლის დასაცავად, მსუბუქი ავტომობილების და მოტოციკლეტების სისწრაფე საათში არ უნდა აღემატებოდეს 25 კილომეტრს, ნახევრათ საბარგო ავტომობილების—20 კილ., სულ საბარგო ავტომობილების—15 კილომეტრს.

— ხანძართან ბრძოლის მიზნით თბ. ალმასკომის დადგენილებით ყველა დაწესებულებები, ქარხნები და ფაბრიკები ვალდებულნი არიან თავიანთ შენობებში მუშა-მოსამსახურეთათვის ყოველ დასამხარ ადგილას დადგან თუნუქის საფერფლეები ნახევრამდე წყალით და სილით სავსე.

— სკოლის ექიმები. თბ. მაზრის იმ თემებში, სადაც სკოლები ბევრია და ადგილობრივი ექიმები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ სკოლის ექიმობა, ვერ უთავდებიან მოწაფეთა საექიმო შემოწმების საქმეს, თბ. მაზრის თემალმასკომების თავმჯდომარეთა თათბირის დადგენილებით, უნდა დაინიშნოს ცალკე სკოლის ექიმები.

მიწათმოქმედ. სახ. კომისარიატში

— ღვინის მოსავალი გასულ წელს ერთ დესეტინაზე უდრიდა 256 ვედროს, წინა წელს კი უდრიდა 170 ვედროს.

— ბამბა. გასულ წელს მთელ საქართველოში მოვიდა 550 ათასი ფუთი ბამბა, 4.885 ფ. დესეტინაზე, წინა წელს კი—4.500 დესეტინაზე მოვიდა—50.000 ფ. ბამბა.

— ვაზის სანერგეები. მიწათმოქმ. კომისარიატის ვაზის სანერგეებს ამჟამად უჭირავს 146 დესეტინა.

— ტყეების გადაცემა. მთელ საქართველოში ავტონომიურ რესპუბლიკებიანად გლეხებს გადაეცემათ 245.517 დესეტინა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე. ამ წლის იანვრის 1-ლამდე უკვე გადაეცა 127.707 დესეტინა.

ჯანმრთელობის კომისარიატში

— ექიმთა რიცხვი. მთელ საქართველოში ჯანმრთელობის კომისარიატს ამჟამად აღრიცხვაზე ჰყავს 1420 ექიმი, 379 კბილის ექიმები, 428 ექიმის თანაშემწე, 498 ბებია, 252 ბებიის თანაშემწე, 203 მოწყალების დაი, 732 ფარმაცევტი.

— ექიმების საჭიროება. ჯანმრთელობის კომისარიატს ამჟამად პროვინციებში დასაგზავნათ სჭირდება 42 შინაგან სნეულების ექიმი.

საპატიმროებში

— საპატიმროები. ამჟამად საქართველოში არსებობს 16 საპატიმრო, აქედან 3 გამასწორებელი სახლია.

— პატიმართა ახალშენი. ნავთლუღში სავსებით დამთავრდა პატიმართა სასოფლო-სამეურნეო ახალშენის მოწყობა. პატიმრებს მუშაობაში ხელმძღვანელობს გამოცდილი აგრონომი. ახალშენში მუშაობს 75 პატიმარი.

სხვადასხვა

— თბ. დამზღვევ სალარომ წყალტუბოში გაგზავნა ავადმყოფების პირველი წყება 38 კაცის რაოდენობით.

კრებები და მოხსენებები

— სასოფლო-სამეურნეო მუზეუმში, 30 მაისს აგრონომი ლომაური წაიკითხავს მოხსენებას ბოტანიკური ბაღის შესახებ.

— საბჭოთა და სავაჭროთა საზ. კლუბში, დღეს, ამხ. სტრელეცკი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „რას დაეძებს ადამიანი ჩრდილოეთ პოლიუსში“.

შემთხვევები

— გვამის პოვნა. 26 მაისს სოღანლუღის ფარგლებში, მტკვრის პირად აღმოჩენილი იქნა გვამი ეკატერინა ქორუღლიშვილის, რომელიც 23 მაისს რომანიულ ნაიდაგზე გადავარდა ვერის ხიდიდან.

— თავდასხმა. 26 მაისს, სად. ნავთლუღიდან 5 ვერსის დაშორებით 12 ყაჩაღი თავს დაესხნენ მეცხვარეებს და გაძარცვეს.

— გვამი. მდ. იორის პირას იპოვეს სოფ. ახალ-სოთლის მცხოვრები, სოფრო რიგიშვილის გვამი.

— შეპყრობა. ქურდობისათვის შეიპყრეს აბრამ გრძელი.

— 26 მაისს შეიპყრეს ქურდი პეტრე კავერკინი.

— ამავე დღეს კავიჩენკოს ბინის გაქურდვისათვის შეიპყრეს აჯი ახმედოვი.

— 25 მაისს, ბერდია ფირცხელაურისათვის 120 მან. ამოცლისათვის შეიპყრეს კარაპეტ სტეფანიანცი.

— ამავე დღეს ქურდობისათვის შეიპყრეს საბედ აჯიევი და ოსმან ალიევი.

სასამართლო

ძალაუფლების გადამეტება.

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **პაპავას** თავმჯდომარეობით გაირჩა **ლევან წინამძღვარიშვილის** საქმე.

წინამძღვარიშვილს ბრალად ედება ძალაუფლების გადამეტება.

ბრალდებული მსახურობდა 1-ლი უბნის მილიციელად. ერთ დღეს გაიგო, რომ მოქ. გაბელოვის ბინაზე არის შენახული კონტრაბანდა. გამოცხადდა აღნიშნულ ადგილზე და სისხლის სამართლის მილიციის სახელით მოახდინა ბინის გაჩხრეკა, რისი უფლება მას არ ჰქონდა. კონტრაბანდა-საქონელი კი მიითვისა.

მოწმეების ჩვენებით კონტრაბანდის მითვისების ფაქტი დადასტურდა.

სასამართლომ ბრალდებულ წინამძღვარიშვილს მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ შესაძლებლად სცნო მისი გამოსწორება და სასჯელი შეუცვალა პირობით.

ბორის ხრაპკინის საქმე.

წინასწარი გამოძიება **ბორის ხრაპკინის** საქმეზე დასრულდა.

ხრაპკინს ბრალად ედება დიდძალი ძვირფასი ნივთების გატაცება.

ბრალდებული ხრაპკინი მიხა ვანიძის მონაწილეობით თავს დასხმია სამსონ კაცუტაშვილის ოჯახობას და განუცხადებია მათთვის, რომ ისინი არიან სისხლის სამართლის მილიციის აგენტები და დავალებული აქვთ მათი ბინის გაჩხრეკა. ბრალდებულებმა აღმოაჩინეს ძვირფასი ნივთები, რაზედაც შეადგინეს სათანადო ოქმი. ნივთები კი წაიღეს და მიიმალენ.

ამ საქმის გამო მილიციამ ეჭვით შეიპყრო ლეონიდ უტულოვი.

სასამართლოს წინაშე უტულოვმა განაცხადა, რომ მას ამ საქმეში ბრალი არ მიუძღვის; როგორც მას სმენია—ეს ბოროტმოქმედება ჩადენილია ბორის ხრაპკინის მიერ. სასამართლომ საქმე გადასცა დამატებითი გამოძიების მოსახდენათ. ამ საქმის გამო წარმოებულმა გამოძიებამ დაადასტურა, რომ ამ საქმეში ბრალი მიუძღვის ხრაპკინს და ვანიძეს, რომელიც შემდეგ გარდაცვლილა.

წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულმა ხრაპკინმა თავი არ სცნო დამნაშავეთ. ექსპერტების დასკვნით, ოქმი ძვირფასი ნივთების აღმოჩენის შესახებ არის დაწერილი ხრაპკინის მიერ.

წინასწარი გამოძიების დროს გამოირკვა, რომ ბრალდებული სისტემატიურად ეწეოდა ავაზაკობა-თავდასხმას.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის 113 ნომერში მოთავსებულ სასამართლოს ანგარიშში ნახსენები იყო, რომ სასამართლომ გაასამართლა მოქ. ეგოროვი მაქაბერიძის ქალის გაუპატიურების ცდისათვის.

უნდა იყოს: „**ნინო** ბეგლარის ასულის მაქაბერიძის“ და სხვა.

აეროლოგია

დღემდე საქართველოში არ არსებობდა ჰაერის ზედა ფენების შემსწავლელი ინსტიტუტი.

უკანასკნელ ხანებში ობსერვატორიამ მოაწყო ასეთი სადგური, რომელსაც უწოდებენ აეროლოგიურ სადგურს. სადგურმა უკვე დაიწყო მუშაობა.

◆

საჩივართა ბიურო

საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიურომ გასულ წელს მიიღო და განიხილა 322 საჩივარი. აქედან მუშებისაგან მთელი საჩივრების 8 პროცენტი, მოსამსახურეებისაგან—31 პროც., გლეხებისაგან—28 პროცენტი, არამშრომელ ელემენტებისაგან—3 პროცენტი.

შინაარსის მიხედვით: ბიუროკრატიზმს შეეხებოდა 4½ პროც., სახელმწიფო აპარატის ნაკლულოვანებებს—18 პროც., მიწის საკითხებს—19 პროც. და სხვა საკითხებს—48 პროც.

ამ საჩივრებიდან სავსებით დაკმაყოფილებულია 7 პროცენტი, უარი ეთქვა 5 პროცენტს, სხვადასხვა სათანადო დაწესებულებებს გადაეცა საჩივრები 73 პროც.

◆

ქალაქების შესასწავლად

ახლო ხანში თბილისში მოწვეულია კომუნალურ მუშათა თათბირი. თათბირისათვის ამზადებენ მასალებს ჩვენი ქალაქების კომუნალური მეურნეობის დარგიდან. ამ მხრივ საქართველო ძლიერ ჩამორჩენილია სხვა ქვეყნებთან შედარებით. ჩვენში არ მოიპოვება საერთო მასალა ქალაქებში არსებულ სხვადასხვა მეურნეობათა და წარმოების შესახებ. ამ მიზნით ცენტ. სტატ. სამმართველომ ამას წინეთ მიიღო ზომები და ყველა ქალაქებში დაარსდა ე. წ. სტატისტიკური ბიუროები. ბიუროების დანიშნულებაა შეისწავლონ უმთავრესათ ქალაქის შემდეგი წარმოებანი: 1) წყალსადენი და მისი ექსპლოატაცია, 2) ტრანსპორტი (ცხენიანი გზა, ტრამვაი, ავტობუსების მოძრაობა), 3) ელსადგურები და მათი ექსპლოატაცია, 4) სასაკლაო, 5) ხე-ტყის წარმოება, 6) სხვადასხვა ქარხნები, თუ ისინი ქალაქს ეკუთვნიან, 7) ასენიზაციის ტეხნიკა, 8) აბანოები, 9) წისქვილები და სხ.

აღნიშნული ბიუროების დაარსებით მტკიცე საფუძველი ეყრება ჩვენში მუნიციპალურ სტატისტიკას.

ქალაქებიდან მიღებულ მასალებს ამუშავებენ კომუნალურ მუშაკთა თათბირისათვის.

ახალი თურქული ალფაბეტი

უკანასკნელმა თურქოლოგიურმა ყრილობამ ბაქოში მიიღო დადგენილება ახალ თურქულ ალფაბეტზე გადასვლის შესახებ.

აზერბეიჯანში უკვე დაიწყო სამოსწავლო ლიტერატურის ბეჭდვა ახალი ალფაბეტით. ბაქოს გაზეთმა „იენი-ოლ“-მა ორჯერ გაადიდა თავისი ზომა და ტირაჟი. ეს გაზეთი კამპანიას ეწევა ახალი ალფაბეტის სასარგებლოდ საკავშირო მასშტაბით.

საქართველოში მიმდინარე წლის მაისიდან ახალი ალფაბეტით გამოდის ყოველთვიური დასურათებული ჟურნალი „დანილდუზ“-ი („აისი“). ამას გარდა, თანდათან იზრდება ტირაჟი გაზეთ „ენი-ფიკირ“-ის, რომელიც აგრეთვე ნაწილობრივ ახალი ალფაბეტით იბეჭდება.

ამჟამად ახალი ალფაბეტი შემოღებულია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების თურქული მოსახლეობის ყველა პირველდაწყებით სკოლებში.

სომხეთში თურქული მოსახლეობისათვის საქმისწარმოება სახელმწიფო დაწესებულებებში სწარმოებს ახალი ალფაბეტით.

ამჟამად ყველა რესპუბლიკებში მიმდინარეობს კამპანია ახალი ალფაბეტის სასარგებლოდ. საქართველოში აჭარისტანთან ერთად სამი წლის განმავლობაში ახალი ალფაბეტი შეისწავლა 3.000 კაცმა. თბილისში გახსნილია ოთხი კურსები, ბორჩალოში—ხუთი, ბათომში—ოთხი და ახალციხეში—9. ახალქალაქის მაზრაში ამ დღეებში გაიხსნება კურსები თურქული მოსახლეობისათვის.

მოძრაობა ახალი თურქული ალფაბეტის სასარგებლოდ დაიწყო ოსმალეთშიაც. გაზეთი „ლია რეპუბლიკ“-ი ნაწილობრივ იბეჭდება ახალი ალფაბეტით. ოსმალეთის ნაციონალური კრების მიერ გამოყოფილია სპეციალური კომისია ამ საკითხის შესასწავლად.

◆

ხელოვნება

სახელმწიფო კონსერვატორიაში

მოწაფეთა მუსიკალური საღამოების ციკლი კონსერვატორიაში დამთავრდა კონცენტრით, რომელზედაც გამოვიდნენ საუკეთესო ვოკალური შემსრულებელნი; მთელმა რიგმა ახალგაზრდა კომპოზიტორებმა პირველად გამოამჟღავნეს თავისი ახალი ნაწარმოები. ნიჭიერია აბდრია ბალანჩივაძე. მან წარმოადგინა თვისი აქტეტი—ლეზგინკა ბალეტიდან და საფორტეპიანო ლიტერატურის ნაწარმოები—მანიეტ (ძველი ცეკვა).

აქტეტი მოითხოვს დამუშავებას, როგორც მუსიკალური შინაარსის, ისე მელოდიურობის შეკეთების მხრივ. მშვენიერია ლეზგინკა ქართული სტილით.

კონსერვატორიის ბრმა მოწაფემ (თულაევის კლასი) საკმაოდ მელოდიურად წარმოადგინა ვოკალური რომანსი. საინტერესოა ალექ. დოლუხანოვის ნაშრომი (ოთხხმოვანი ფუგა ბახის სტილით). აქ მოჩანს ნიჭი, კონტრაპუნქტების ცოდნა და დაფიქრებაც. გრიქუროს ნაშრომთაგან საინტერესოა მუსიკალური „ტაბაკერკა“, რომელიც ლიადოვის სტილითაა დაწერილი. რომანსი ნადსონის ლექსზე—ნაკლებ საინტერესოა: მუსიკა არ შეეხმება ლექსის შინაარსს.

ასლანიშვილმა წარმოადგინა მელოდიურობის მხრივ ლამაზი და ჰარმონიული სიმებიანი კვარტეტი ქართულ თემაზე და „ნანა“. ნაკლებ საინტერესოა მისი სონატა აღმოსავლური სტილით დაწერილი. აქ საჭიროა საკმაო მელოდიური დამუშავება. ჩიგოგაძემ წარმოადგინა პრელიუდია (სამგლოვიარო მარშისებურად). ნაწარმოებს აკლია მთლიანობა, რამდენადმე გაჭიანურებულია — ორკესტრის ხასიათის მიღების პრეტენზიით (აქაა კვარტეტი, როიალი, ფის გარმონიაც). ჩიგოვაძეს უსათუოდ აქვს ნიჭი, მაგრამ საჭიროა რომ მან იგი დეტალურად დაამუშაოს და ისე ისარგებლოს.

ვოკალური შემსრულებელთაგან აღსანიშნავთ ნიკოლაძეს (პროფ. შულგინის კლასი), შეინმანი (ზელენინის კლასი) კარიბოვასა (მასწავლებელ მიხაილოვის კლასი). უკანასკნელს აქვს დრამატიული ბარიტონის მშვენიერი ხმა. მისი მუსიკალური ნიჭი ბევრ იმედებს იძლევა.

ბ. გ.

კინო-სტუდია

სახელმწიფო კინომრეწველობის და პროლეტკულტის კინო-სტუდიამ დამთავრა პირველი სამოსწავლო წელი. სტუდიელები ზაფხულის განმავლობაში იმუშავებენ სახელმწიფო კინომრეწველობის დადგმებში. ზოგიერთ სტუდიელებს უკვე მიეცათ როლები „ხანუმა“-ში, „ორი მონადირე“-ში და სხ.

მიმდინარე წელს აგრეთვე გატარებული იქნა რეორგანიზაცია სტუდიის სასწავლო გეგმაში. ამასთან ერთად მიღებულია ზომები სტუდიის მომავალ მუშაობის ფართე ნიადაგზე დასაყენებლად და სხ.

ხელოვნება

ხელოვნების ქრონიკა

— ახალი მუშათა კლუბი. შაბათს, 29 მაისს, შესდგება ა. მ. კ. საზაფხულო ბაღის სადღესასწაულო გახსნა. დაუკრავს სამი ორკესტრი. გაიმართება დიდი კონცერტი სახ. ოპერის მსახიობთა მონაწილეობით. დასაწყისი საღ. 7 საათიდან.

— „არშინ-მალალან“. კვირას, 30 მაისს, ოპერის თეატრში რესპ. მსახ. ელ. ჩერქეზიშვილის და სახ. ოპერ. პრემ. ლადო კავსაძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „არშინ-მალალან“. ასკარა—ლადო კავსაძე, ხალა—ელ. ჩერქეზიშვილი. აზიური ორკესტრი საშა ოგანეზაშვილის დირიჟორობით და სამსონ კარაპეტოვის მონაწილეობით. მეოთხე მოქმედება აზიური ბალეტი ს. სერგეევის ხელმძღვანელობით.

— ხელოვნების სასახლეში. კვირას, 30 მაისს, საღამოს 8 საათზე, შესდგება მორიგი საჯარო კრება საქართველოს მწერალთა კავშირისა: მოხსენებას წაიკითხავს არჩილ ჯაჯანაშვილი შემდეგ თემაზე: „ი. მანდელშტამის თეორია—ხელოვნებისა“.

— შაბათს, 29 მაისს, საღამოს 8 საათზე, ხელოვნების სასახლეში არტურ ლეისტი წაიკითხავს მოხსენებას.

— პიესა „ძმები“. რედაქციამ მიიღო ს. რემონიძის ხუთ-მოქმედებიანი დრამა „ძმები“.

მეცნიერება და ტეხნიკა

ბოსტნეულის დამყნა.

ფრანგმა პროფესორმა **ლიუსიენ დანიელმა** სცადა ბოსტნეულის და ყვავილების დამყნა. ამით მან შესამჩნევად გაადიდა ნაყოფის სიდიდე, მოსავალის რაოდენობა, შექმნა ახალი ჯიშები და გააძლიერა ყვავილების სურნელება. ასე დამყნეს სალათი, კომბოსტო, ლობიო და მრავალი ყვავილები.

პროფესორმა დანიელმა პირველი ცდა ლობიოზე მოახდინა. შავი (ბელგიური ლობიო) დაამყნა თეთრზე. მიიღო ლობიოს სრულიად ახალი ჯიში, რომელიც უცვლელი დარჩა. დანიელმა აიღო აგრეთვე შვავე, საქმელათ უვარგისი, მაგრამ ყინვების გამძლე კომბოსტოს რამოდენიმე ჯიში და დაამყნა მათზე კომბოსტო, რომელსაც საუცხოვო გემო აქვს, მაგრამ ყინვებს ვერ უძლებს. შედეგი ბრწყინვალე მიიღო. წარმოიშვა კომბოსტოს სრულიად ახალი ჯიში, რომელსაც საუცხოვო გემო ჰქონდა და ყინვებს უძლებდა.

შემდეგ პროფესორმა ბადრიჯანი დაამყნა პამიდორზე. პირველად პამიდორის ღეროზე გამოვიდა ჩვეულებრივი ბადრიჯანის მსგავსი ნაყოფი, შემდეგ იმავე ღეროზე გამოვიდა მეორე—პამიდორის მსგავსი ნაყოფი და ბოლოს გაჩნდა ახალი—მრგვალი ნაყოფი.

დანიელმა დამყნის საშუალებით მიიღო სრულიად ახალი ჯიშის კარტოფილი, რომელსაც ნაყოფი ზევით ჰქონდა, ღეროზე.

ხე, რომელიც არ იწვება.

ინგლისის ლაბორატორიებში მთელ რიგ წლების ცდების შემდეგ დაამზადეს ისეთი ნივთიერება, რომლითაც გაჟღენთილი ხე არ იწვის. ხდება ეს შემდეგნაირად: ფოლადის ქვაბში ჩაწყობილია ხის ძელები, რომლებიდანაც მაღალი წნევის ორთქლის საშუალებით ჰანდევნიან ყველა წვენებს. ამავე დროს ქვაბს ავსებენ ახლად აღმოჩენილი გამჟღენთავი ნივთიერებით. თანდათანობით, ხის გაჟღენთის დროს აღნიშნული ნივთიერებით, ორთქლის წნევას ქვაბში ადიდებენ. გაჟღენთის შემდეგ ხეს აშრობენ და იგი უკვე სავსებით ცეცხლგამძლეა. ეს უკანასკნელი გარემოება შემდეგნაირად აიხსნება: ხის ყველა ჭუჭრუტანები ივსება გამჟღენთავი ნივთიერებით. ცეცხლის გაჩენის დროს ნივთიერება დნება, სქელი ფენებით ფარავს ხეს გარედან და ხელს უშლის წვას.

თეთრი ნახშირი შვეციაში.

შვეცია ღარიბია ქვანახშირით და სხვა საწვავი მასალით, მაგრამ სამაგიეროდ ძლიერ მდიდარია წყალის ენერგიით და ამ მხრივ მას პირველი ადგილი უჭირავს ევროპის სახელმწიფოებს შორის. ამჟამად შვეციაში მუშაობს 2400 ჰიდრო-ელექტრო-სადგური. ამათგან 900 დიდია და ესენი იმუშავებენ მთელი ელექტრო-ენერგიის 90 პროცენტს. ყველა სადგურების საერთო ძალოვნება უდრის 1 მილიონ კილოვატს (1.360.000 ცხენის ძალას). ეს ჯამი ძლიერ მცირე ნაწილია შვეციის წყლის სიმდიდრის. წყლის ენერგიის მთავარი წყაროები ეკუთვნის სახელმწიფოს, რომელმაც ააგო შვეციაში უძლიერესი ელექტროსადგური ტროლჰეტანში. ეს სადგური იძლევა 160.000 ცხ. ძალის ენერგიას, შემდეგი ადგილი უჭირავს ელექტრო-სადგურს ეფკარლებში (75.000 ცხენის ძალა) და სხვ. ლაპლანდიის რკინისგზისათვის სახელმწიფომ ააგო ელექტრო-სადგური პორპუსში (80.000 ცხ. ძალა). კერძო კომპანიების სადგურები უფრო მცირე ძალოვნების არიან.

რადიო — წყალქვეშა ფლოტის სამსახურში.

შეუძლებელია იმაზე უარესი მდგომარეობის წარმოდგენა, ვიდრე ის, რომელშიაც შესაძლებელია მოხდეს წყალქვეშა ნავის რაზმი, თუ მათ რაიმე უბედურება შეემთხვათ ზღვის სიღრმეში. ამერიკული წყალქვეშა ნავის S 51 და ინგლისური M1-ს დაღუპვამ აიძულა ორივე ქვეყნის მთავრობა მიეღოთ ზომები წყალქვეშა ნავების უზრუნველსაყოფად ისეთი საშუალებებით, რომელთა შემწეობით შესაძლებელი იქნებოდა ნავების რაზმის გადარჩენა უბედურების დროს.

დაძირული ნავის გადარჩენის საქმეში უმთავრეს სიძნელეს ამოღება კი არ შეადგენს, არამედ ნავის დაძირვის ადგილის გამორკვევა.

ამერიკელმა როჯერმა გამოიგონა სპეციალური ანტენა წყალქვეშა ნავებზე დასადგმელად. ამ ანტენის საშუალებით შესაძლებელი ხდება წყალ ქვეშ ნიშნების მიღება და გადაცემა 10 ვერსის მანძილზე. ამრიგად, კატასტროფის დროს წყალქვეშა ნავის რაზმს შეუძლია ნიშნების მიცემა უბედურების შესახებ.

◆

ფიზკულტურა

ფეხბურთი

„დინამო“—„დურუჯი“

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, კალენდარული მატჩი პირველობაზე „დინამო“-სა და „დურუჯს“ შორის დამთავრებული არ ყოფილა ზოგიერთი მოთამაშეების უხეში თამაშისა და მაყურებელი საზოგადოების უმართებულო მოქმედების გამო.

ფიზკულტურის თბილისის საბჭოს დადგენილებით, მატჩი აღნიშნულ გუნდებს შორის გათამაშებული იქნება ხელახლა.

მატჩი გაიმართება მომავალ კვირაში.

მორიგი შეჯიბრებები

29 მაისს, დღის 3 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე მეორე კატეგორიის გუნდების—„რკინისგზის პოლკი“-ს და „კომუნისტი“-ს შეჯიბრი.

30 მაისს დილის 11 საათზე იქვე გაიმართება მეორე კატეგორიის გუნდების ნახევრად ფინალური მატჩები.

„პროლეტარი“—„ავტო.-კლუბი“

კვირას, 30 მაისს, საღამოს 5 საათზე ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება მეორე კატეგორიის გუნდების—„პროლეტარი“-ს და „ავტო-კლუბი“-ს ფინალური შეჯიბრი.

პირველი კატეგორიის გუნდების შეჯიბრი გადატანილია მომავალი კვირაში.

ფიზკულტურის საკავშირო დღესასწაული

ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოსთან შეთანხმებით ფიზკულტურის საკავშირო დღესასწაულზე, რომელიც გაიმართება მოსკოვში აგვისტოს პირველ რიცხვებში, გზავნის 40 საუკეთესო სპორტსმენს—პროფკავშირების კოლექტივების წევრებს.

სროლის კურსები

საქართველოს პროფსაბჭომ გახსნა კურსები სროლის ინსტრუქტორების მოსამზადებლად. კურსების პროგრამაში შეტანილია 16 გაკვეთილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს შემდეგი დებულება.

დებულება

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოსი.

1. ზოგადი ნაწილი

1. საქართველოს ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო (ს. ფ. კ. უ. ს.) მოეწყობა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან.

2. საქართველოს ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს მიზანი.

2. საქართველოს ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს მიზანს შეადგენს:

ა) განავითაროს ფიზიკური კულტურა საქართველოს ს. ს. რ. მშრომელთა შორის და აგრეთვე გაავრცელოს ყოველგვარი სპორტი 16 წელს გადაცილებულ ახალგაზდა მშრომელთა შორის, პროლეტარიატსა და გლეხობაში ბრძოლის უნარის გასაძლიერებლად;

ბ) იბრძოლოს მავნე სპორტიული მიდრეკილების წინააღმდეგ;

გ) გასწიოს ფიზიკური კულტურის იდეების პოპულიარიზაცია შესაფერი ლიტერატურის გამოცემით;

დ) მეცნიერულ-მეთოდიური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობა გაუწიოს ფიზკულტურის საქმეს მთლად საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე.

3. საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღლ. საბჭოს შემადგენლობა და სტრუქტურა.

3. საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეს და პასუხისმგებელ მდივანს დანიშნავს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

4. თავმჯდომარე და პ. მგებელი მდივანი შეარჩევენ საქ. ფიზ. კულტურის უმაღლეს საბჭოს შემადგენლობას ფიზ.კულტურის საქმით დაინტერესებულ პირთაგან, იმ უწყებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით, რომელნიც ეწევიან მუშაობას ფ. კ. სფეროში (განათლების სახ. კომის., ჯანმრთელობის სახ. კომის., საქართველოს ლენინელთა კომ. კავშირის ცენტრ. კომ., საქართველოს საზღვაო კომუნ. ორგანიზაციების ბიურო და წითელი არმია) და წარუდგენენ დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

5. საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღლესი საბჭო გამოჰყოფს სამი პირისაგან შემდგარ სამდივნოს.

6. საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღლეს საბჭოსთან არის ორი განყოფილება: მეცნიერულ-ტეხნიკური და საპროპაგანდო ორგანიზაციული და საერთო კანცელარია.

7. განყოფილებებთან მოწყობილია სათანადო კოლეგიები: მეცნიერულ-ტეხნიკური კოლეგია და საგიტაციო-საპროპაგანდო კოლეგია.

8. განყოფილების გამგე ამავე დროს არის კოლეგიის თავმჯდომარე. მას დანიშნავს საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღლესი საბჭო.

4. საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღლესი საბჭოს უფლებანი.

9. საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭო არის უმაღლესი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს ფიზკულტურის საქმეს მთლად საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე. ყველა უწყებასა და ორგანიზაციაში (გან. სახ. კომ. ს. ჯანსახკომი, პროფკავშირები, ქართ. დივიზიაში, ტერიტ. ნაწილებში და სხვ.)

შენიშვნა. ქართულ დივიზიაში ფიზკულტურას ხელმძღვანელობას უწევს და აწესრიგებს დივიზიის პოლიტიკური განყოფილება.

10. ფიზკულტურის ყველა ადგილობრივი ორგანიზაცია (ფიზკულტურის საბჭო სამაზრო აღმასკომებთან, წრეები, სასპორტო კლუბები და სხვ.) და აგრეთვე ყველა ის უწყება და ორგანიზაცია, რომელიც ეწევა მუშაობას ფიზ. კულტურის დარგში (9 მუხ.) ემორჩილებიან საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს მეცნიერული, მეთოდიური და ორგანიზაციული მხრით; საქართველოს ფიზკულტურის უმაღ. საბჭოს უფლება აქვს შესცვალოს, შეაჩეროს და გააუქმოს მათი ყოველგვარი დადგენილება.

საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭო დაამტკიცებს ფიზ. კულტურის ადგილობრივ ორგანიზაციებს. მათ შეუძლიან დაშალოს ეს ორგანიზაციები ან შესცვალოს ფიზ. კულტურის ხელმძღვანელ მომუშავეთა შემადგენლობა უწყებასა და ორგანიზაციებში, უკეთუ მათი მოქმედება არ შეეფერება პროლეტარულ ფიზ. კულტურის მიზნებს.

შენიშვნა. 1. ფიზკულტურის სამაზრო საბჭო ემორჩილება აგრეთვე მაზრის აღმასკომს.

უკეთუ მაზრის აღმასკომისა და საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოს დადგენილებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, საკითხი საბოლოო გადაწყვეტილებისათვის გადაიტანება საქართველოს ცაკ-ში.

შენიშვნა 2. მოკავშირე აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან მოწყობილი ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოები ემორჩილებიან საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს ყველა იმ საკითხის გამო, რასაც საერთო რესპუბლიკანური ხასიათი აქვს, მაგ.: საფინანსო და სასტატისტიკო საკითხები, გუნდების გამგზავრება ს. ს. რ. კ. და საზღვარგარეთ, შეჯიბრების მოწყობა იმ მაზრასთან, რომელიც არ შედის შესაფერ რესპუბლიკაში ან ოლქში, და შეჯიბრების მოწყობა სხვა რესპუბლიკებთან და სხვა.

11. საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოს შეუძლიან იქონიოს თავისი ბეჭდვითი ორგანო, როგორც ქართულ, ისე სხვა ენაზე და, აგრეთვე, განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გახსნას უმაღლესი, საშუალო და დაბალი ტიპის სასწავლებელი ფიზ. კულტურისათვის.

12. საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოს აქვს თავისი ბეჭედი საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო ღერბით.

5. საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოს მუშაობა.

13. საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭო პასუხისმგებელია საქართველოს ცაკ-ის წინაშე თავის მუშაობისათვის, რომელსაც იგი ეწევა ფიზ. კულტურის დარგში საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე.

14. საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოს პრინციპიალური ხასიათის დადგენილება, რათა მას მიეცეს დეკრეტის ძალა, დასამტკიცებლად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს წარედგინება.

15. საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭო განიხილავს სამდივნოს საერთო და საფინანსო ანგარიშებს და დაამტკიცებს მის ოქმებს და მუშაობის გეგმას და შეაქვს მასში საჭირო შესწორება, აგრეთვე განიხილავს ადგილობრივი ფიზ. კულტურის საბჭოებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ანგარიშებს.

16. საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭო, სამდივნოს წარდგენით, დანიშნავს თავის თანამშრომელთა შემადგენლობას, და დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს წარუდგენს.

6. საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოს სამდივნო.

17. საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოს სამდივნო პასუხისმგებელია საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოს წინაშე განყოფილებათა და კანცელიარიის მუშაობისათვის.

18. საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოს სამდივნო განიხილავს განყოფილებათა ანგარიშებს, დაამტკიცებს მათი მუშაობის გეგმას და შეაქვს მათ მუშაობაში საჭირო შესწორება.

19. საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოს სამდივნო განიხილავს კოლეგიების ოქმებს, და უკეთუ საჭიროდ დაინახა, პრინციპიალურ ხასიათის საკითხებს გადაიტანს საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოში.

20. საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოს სამდივნო განიხილავს იმ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის გეგმას, რომელნიც ეწევიან მუშაობას ფიზკულტურის დარგში.

21. საქართველოს ფიზკულტურის უმაღ. საბჭოს სამდივნო კავშირს იქონიებს საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოს სახელით ადგილობრივ ფ. კ. საბჭოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან და აგრეთვე ფიზკულტურის ზემდგომ და პარალელურ ორგანოებთან.

22. საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს სამდივნო თვალყურს ადევნებს ადგილობრივ ფ. კ. უმაღლესი საბჭოების მუშაობას, აძლევს მათ ინსტრუქციებს და გამოიკვლევს მათ მდგომარეობას ადგილობრივ.

23. საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოს სამდივნო მოიწვევს საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოს სხდომას, შეიმუშავებს სხდომის დღის წესრიგს და მოამზადებს მისთვის ყველა საკითხს.

24. საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოს სამდივნო განახორციელებს საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოს დადგენილებებს.

25. საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოს სამდივნოსთან მოწყობილია სამეურნეო ანგარიშზე ს. ფ. კ. უ. ს. სავაჭრო-საქტორი, რომელიც განაგებს სავაჭრო ოპერაციებს და სხვა საწარმოო (მაღაზია, სახელოსნო და სხვ.).

7. სამეცნიერო-ტეხნიკური განყოფილება.

26. სამეცნიერო-ტეხნიკური განყოფილება ხელმძღვანელობას გაუწევს ფიზკულტურის საქმის სამეცნიერო და ტეხნიკურ მხარეს საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე, საქართველოს ფ. კ. უ. ს. მიერ შემუშავებული სპეციალური ინსტრუქციის მიხედვით.

27. სამ.-ტეხნიკურ განყოფილებასთან, სათათბირო ორგანოს სახით, მუშაობს სამეცნიერო-ტეხნიკური კოლეგია. იგი შესდგება ფ. კ. და ყოველგვარი სპორტის სპეციალისტებისაგან და აგრეთვე ფიზკულტურის სამეცნიერო და პრაქტიკული მომუშავეთაგან უწყებებში და ორგანიზაციებში.

სამეცნიერო-ტეხნიკური კოლეგიის შემადგენლობას დანიშნავს ამ კოლეგიის თავმჯდომარე და დაამტკიცებს საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო.

28. საჭიროებისდამიხედვით სამეცნ.-ტეხნიკური განყ. მოაწყობს ამა თუ იმ სახის სპორტისა ან მეცნიერული მუშაობის დარგის სექციას, რომლის თავმჯდომარე შედის სამეცნ.-ტეხნიკურ კოლეგიაში. სექციას ამტკიცებს საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოს სამდივნო.

8. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

29. საგიტ-საპროპაგანდო განყოფილების მიზანია ხელმძღვანელობა გაუწიოს საგიტაციო საპროპაგანდო მუშაობას ფიზკულტურის სფეროში საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მასშტაბით.

საგიტ.-საპროპაგანდო განყოფილება მოქმედებს საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს მიერ შემუშავებული სპეციალური ინსტრუქციების მიხედვით.

30. საგიტაციო-საპროპაგ. განყოფილებასთან, სათათბირო ორგანოს სახით, მუშაობს საგიტ.-საპროპაგ. კოლეგია. იგი შესდგება იმ საზოგადო და პარტიულ მომუშავეთაგან, რომელნიც პირადათ დაინტერესებულნი არიან ფიზ. კულტურით.

საგიტ-საპროპაგ. კოლეგიის შემადგენლობას დანიშნავს საგიტ-საპროპაგანდო კოლეგიის თავმჯდომარე და დაამტკიცებს საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭო.

31. საჭიროებისადამიხედვით საგიტ-საპროპაგანდო განყოფილება მოაწყობს ამა თუ იმ საგიტ.-საპროპაგანდო მუშაობისათვის სექციას, რომლის თავმჯდომარეც შედის საგიტ-საპროპაგ. კოლეგიაში. სექციას დაამტკიცებს საქართველოს ფ. კ. უ. საბჭოს სამდივნო.

32. საგიტ-საპროპაგ. განყოფილებასთან სამეურნეო ანგარიშზე მოწყობილია საგამომცემლო ქვეგანყოფილება.

9. საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს სალარო.

33. საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს სალარს შეადგენს:

ა) სალარო, რასაც საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გასცემს ხარჯთაღრიცხვის წესით;

ბ) სხვადასხვა დაწესებულების ანარიცხი;

გ) შემოსავალი სხვადასხვა ფასიანი გამოსვლისა, რასაც მოაწყობს საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო;

დ) სხვადასხვა სახის შემოსავალი (შემოსავლიანი საწარმოო და სხვა).

34. საქართველოს ფიზკულტურის უმაღ. საბჭოს სამდივნო შეადგენს ხარჯთაღრიცხვას საბიუჯეტო წლისათვის და, საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოს მეშვეობით, წარუდგენს საქართველოს ცაკს დასამტკიცებლად.

35. საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოს სალაროდან ხარჯის გაწევა შეიძლება მხოლოდ პ. მგ. მდივნის განკარგულებით.

ხარჯთაღრიცხვის გარეშე ხარჯების გაწევა შეიძლება მხოლოდ საქ. ფ. კ. უ. ს. სამდივნოს დადგენილებით.

36. პ. მგ. მდივანი თვეში ერთხელ გაწეული ხარჯების ანგარიშს წარუდგენს საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოს.

37. საბიუჯეტო წლის დამთავრებისას სამდივნო წარუდგენს საქართველოს ფიზ. კულტურის უმაღ. საბჭოს ანგარიშს საბიუჯეტო წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ხ. თოდრია.**

1926 წლის, მაისის 5
თბილისი, სასახლე.

იურიდიული დახმარება

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

ვარ რკ. გზის მოსამსახურე, მეძლევა ჯამაგირი 40 მანეთი თვეში. ვინახავ დედას 78 წლისას, რომელიც არის მოხუცებული და დაზღვეულა, მიჭირავს ერთი ოთახი 64 კვად. არშ. რამდენი მეკუთვნის ქირა.

პროფკავშირის წევრი.

პასუხი

ბინის ქირად თითოეულ კვად. არშინზე იხდით სამ კაპეიკს.

მეკუთვნის თუ არა გადამახდევინონ რაიმე გადასახადი?

კითხვა

ვარ ინვალიდი 1-ლი კატეგორიის, 100 პროცენტით შრომის უნარ-მოკლებული. 8 წელიწადია არ გადაუხდევინებიათ ჩემთვის არავითარი გადასახადი. ვიმყოფები უმწეო მდგომარეობაში; ჩემს გარდა მყავს შესანახი ცოლი 50 წლისა და ორი მცირე წლოვანი ობოლი. ჩემს უძრავ-მოძრავ ქონებას შეადგენს, ერთი ხის სახლი და 400 კვ. საჟ. მიწა. დამზღვევი სალარო მაძლევს ყოველ თვიურ დახმარებათ 25 მანეთს.

გთხოვთ მომეცით პასუხი: მეკუთვნის მე გადასახადი თუ არა? და თუ კი არ მეკუთვნის, ვის მივმართო.

ქ. ოზურგეთის მცხოვრები **ზაქარია ნაკაშიძე.**

პასუხი

შრომის და ომის ინვალიდები ბინის და წყლის ქირას იხდიან დიდი შეღავათით: საცხოვრებელ მოედნის თითოეულ კვადრატიულ არშინზე—ესენი იხდიან ერთ კაპეიკს, ერთ ვედრო წყალს დღიურად იღებენ უფასოდ, ამაზე ზევით დახარჯულ თითოეულ ვედრო წყალზე ისინი იხდიან ერთი მეოთხედ კაპეიკს.

ინვალიდები პენსიონერები, რომელთაც სრულიად დაკარგეს შრომის უნარი და სხვის მზრუნველობაში ქვეშ იმყოფებიან და რომელთა პენსია არ აღემატება ას მანეთს, სრულიად თავისუფალი არიან საკლასო გადასახადისაგან, თუ კი მათ არა აქვთ არავითარი შემოსავალი რაიმე სავაჭრო-სამრეწველო წარმოებიდან, შენობიდან ან გასესხებული თანხებიდან და მოიჯარადრეებიდან.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 28 მაისს, დილის 10 საათზე, შესდგება საქ. **კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ს. კ. პ. ლენრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში მოწვეულია ლენრაიკომის გაფართოებული პლენუმი—პარტორგების, უჯრედების ბიუროების და ადგილკომის კომფრაქციების მდივნების თანდასწრებით.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება ორგანიზაციის ამოცანებზე—მომჭირნეობის რეჟიმის ჩატარების საქმეში, 2) მოხსენება საამშენებლო საბინაო კოოპერაციის ფრაქციისა.

საქართველოს უნივერსიტეტთან არსებული ქართულ მუშათა ფაკულტეტის კომუჯრედების გაერთიანებული ბიურო-კოლექტივი იტყობინება, რომ დღეს, პარასკევს 29 მაისს, საღამოს ლექციების შემდეგ შესდგება ცალცალკე უჯრედების ღია კრება.

დღის წესრიგი: 1. სოფლად მიმავალ ამხან.გებში საინსტრუქციო მოხსენება. ევალებათ წევრ-კანდიდატებს დაესწრონ აღნიშნულ კრებას.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციების **მეორე რაიკომი** იტყობინება, რომ დღეს, 28 მაისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგება **გაფართოებული პლენუმი** მეორე რაიკომის უჯრედების მდივნებსა და წევრებთან ერთად.

მეორე რაიკომის ყველა წევრთა, უჯრედების ბიუროების მდივანთა და წევრთა დაუგვიანებლივ დასწრება სავალდებულოა.

დეკანოზი ფარნაოზ ვეფხვაძე შვილები ვანო, კოწია, მედეია, გოგლი და ლევან, რძალი მარიამ ეპიფანეს ასული და სიძე შალვა გიორგის ძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ შაბათს, 29 მაისს, ვერის ნიკოლოზეს სასაფლაოზე ნაშუადღევის 2 ნახ. საათზე გადახდილი იქნება წლის პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი

ზინა რომანოზის ასულის

ვეფხვაძის

ხსოვნის აღსანიშნავად.

თავზარდაცემულნი **გიორგი, თევდორე და იოსებ თევდორეს ძენი ჟორდანიები ოჯახითურთ** აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ მათის ერთად-ერთის საყვარელი დის

თამარის

ტრაღიკულად დაღუპვას.

პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 **საათზე**, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის საავადმყოფო) დასასვენში.

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული

ღრმად დამწუხრებული მშობლები ნაპა სოლომონის ძე და ნინო დავითის ასული წერეთლები, მეუღლე სიმონ (ბუტია) გამრეკელი, ძმები—კუკურა და სოსიკო, დები—ვერა და ფაჩუ, სიძე ვარლამ იანეიშვილი, ბიძები სიმონ წერეთელი და კოწია ქვარიანი, ბიცოლები მაშიკო წერეთლისა და ელენე ქვარიანისა, ბაბუა დავით ქვარიანი, აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 30 მაისს, ქ. ჭიათურაში მღვიმევის მონასტერში იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ

გოგონა (ნადეჟდა)

წერეთელი-გამრეკელის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის აღსანიშნავად 2613

ღრმად დამწუხრებული შვილები: სისო, ოლიმპიადა, ნესტორ, გრიშა, ცაცია, ანა, რძლები მარიამი და ლიზა, შვილიშვილები: გივი და რეზო, სიძე სანდრო ყალაბეგიშვილი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფას და საყვარელ

მაია დავითის ასულ

იოსელიან-ლოლუაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა—კვირას, 30 მაისს, სოფელ პატარა-ჯიხაიში. 2615 2—1

დღეს, ასტა ნილსენის მონაწილეობით.
საუკეთესო სურათი

აპოლო
ართისტო
სოლეი

„მოწყენილი ქუჩა“

დიდი წარმატების გამო გრძელდება ჩვენება სურათ

„ჯავშნოსანი პოტიომკინი“

ბერლინში სურათი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

საუკეთესო სურათი **გარრი პილლის** მონაწილეობით

„სიკვდილზე უფრო ჩქარა“

ანონსი: ჩქარა: **„მეცხრე ზვირთი“**

0—19. 6. 1265

გამომცემლობა „ახალი საქართველო“

ნიკოლოზ მიწიშვილი

„წმინდანიანი“—ლექსები ფ. 50 კ.
„შავი ვარსკვლავი“—პოემა ფ. 50 კ.
„გარდაცვალება“—პოემა ფ. 50 კ.

იყიდება ყველგან და სახელმწიფო გამომცემლობის ყველა მაღაზიებში. 6. 1342

ტ. ჯ. გ. საფთიაქო სამმართველოს ბინაზე
სასახლის ქ. 5, ა | წ. 31 მაისს დღის 12 საათზე მოხდება
თბილისის საპარიკმახეროებისათვის და აბანოებისათვის სტერელიზაცია ქმნილ ფუნჯების და ქისების მიწოდების საქმის

იჯარით გაცემა

საქმის გაცემის კონდიციის გაცნობა შეიძლება საფთიაქო სამმართველოში ყოველდღე, დღის 12—2 საათამდე. უკანასკნელი ვადა განცხადების შემოტანისა, საქმის აღების შესახებ—31 მაისი დღის 12 საათამდე.

2622. **საფთიაქო სამმართველო.**

თბილისის კომუნალური ბანკის
ფოთის განყოფილების ბინაზე
ამა 1926 წ. 8 ივნისის, დილის 10 საათზე,

საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება მოქ. ბურშტეინის მიერ

დაგირავებული და ვადაზე გამოუყიდავი საგალანტერიო საქონელი და სხვა მოწყობილება 3000 მანეთის ღირებული, რომლიდანაც დაიწყება ვაჭრობა. საქონლის დათვალიერება და ცნობების მიღება შეიძლება ხსენებულ ბანკის ფოთის განყოფილებაში ყოველდღე 8-დან 2 საათამდი. 6. 1349

შაბათს 29 მაისს, საღამოს 8 საათზე განათლების მუშაკთა კავშირის სახლში (კალოუბნის ქ. № 3)

გაიმართება

კინო

ამავე კავშირის უმუშევარ წევრთა სასარგებლოდ

თბილისის ქალაქის ლომბარდი (ლორისმელიქოვის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას 30 მაისს დილის 11 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადა გასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. 6. 1348

ქ. თბილისის სახალხო სასამართლოს მე-4 რაიონის აღმასრულებელი ქ. პოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 31 მაისს დილის 11 საათზე მოქ. ალექსანდრე აჯიმამუდოვის ბინაზე, ნარეკოლსკის ქ. (ყოფ. საყდრის ქუჩა) სახლი № 16, პირველ საჯარო ვაჭრობით გაიყიდება მოქ. აჯიმამედოვის შემდეგი ქონება, რომელიც შეფასებულია გასასყიდათ 260 მანეთად: ბუფეტი, პატიფონი 50 პლასტინკით და მაგიდით, „ზინგერის“ საკერავი ფეხის მაშინა და 5 ნაჭერი სასტუმროს რბილი ავეჯი. 2619

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

ამით აცხადებს, რომ 30 მაისში ა | წ. ადგილობ. „შავწყალაზე“ სიღნაღის მაზრაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მოძრავ ქონებისა, ვასილი ივანესძე ხახიშვილისა, რომელიც აწერილია დავით სპირდონისძე ჯმუხაძეს ვალში, თანახმად ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო მოსამართლის აღმასრულებელი ფურცლისა.

სია გასაყიდი ქონებისა: ერთი სახერხი დაზგა საგულადი, ორი „ვაგონეტკა“, ერთი „ლებიოტკა“, ექვსი ხერხი, ერთი „რემენი“, ერთი ასაწევი ჭახრაკი და სხვა.

სასამართლოს აღმასრულებელი (ხელმოწერილია) 2621

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ, თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20 50—3

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე დაბრუნდა და განაახლა მიღება. **მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი.** იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1028, გაცემული სინოდალურ კანტორიდან 1914 წელს მარიამ ილარიონის ასული სვანიძის სახელზე, ჩ. გ. 2616

დავკარგე კავშირის წიგნაკი, ნიკოლოზ მამულაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2616

დავკარგე ავალიშვილის საბუღალტრო კურსის დამთავრების მოწმობა № 208 ილია ამბაკოსძე ლეჟავას სახელზე, ჩ. გ. 2618

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 787 ნინო კვირიკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2620

დავკარგე პირადობის მოწმობა № 692 სინონ შათაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2623

დავკარგე პირადობის მოწმობა № 36005 მიღებული სამტ. რკ. გზის უბანში და რკ. გზის საკავშირო წიგნაკი № 6813 ვლადიმერ ალექსისძე ნინუას სახელზე, ჩ. გ. ქვ. 2615

დავკარგე სამთამადნო კავშირის წიგნაკი № 1406. გიორგი ბადოსძე გელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 6. 1347

დავკარგე კომკავშირის წევრობის მოწმობა № 1279 გაცემული ს. ა. ლ. კ. კ. შორაპნის სამაზრო კომიტეტის მიერ ვასილ ალექსანდრესძე ხაჟავას სახელზე, ჩ, გ. 6. 1347

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი. ფ. № 4. და სხვა საბუთები არქიპო ნესტორისძე ჭელიძის სახელზე, ჩ. გ. 6. 1347

დავკარგე კომკავშირის საკავშირო მანდატი № 12091 მიღებული შორაპნის მაზრ-კომში სიმონ ივანესძე ბარბაქაძის სახელზე, ჩ. გ. 6. 1347

დავკარგე პირადობის მოწმობა და სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების მოწმობა ლავრენტი გოგოლაშვილის სახელზე, ჩ. გ. ქ. 2625

დავკარგე პირადობის უვადო წიგნაკი № 984 შარო ქუთათელაძის სახელზე, ჩ. გ. 6. 1350

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა. 68